წლიწადი მეცამეტე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პასუხ. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხელმძღვანელის—10—56, მთ. კანტორის—3—61.

შაბათი, 15 აპრილი 1933 წ. №87 (3643)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის დისციპლინის განმტკიცება და სოცშეჯიბრების გაშლა
სწყვეტს თესვის წარმატებას

აღმოვფხვრათ ჩამორჩენა საქ. მძიმე მრეწველობაში

საქ. მძიმე მრეწველობამ 1933 წ. პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 83,7 პროც. შეასრულა (ამაში არ შედის ფედერატიული და საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობენ). ცალკე დარგების მიხედვით კვარტალური დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ლითონის მრეწველობამ (104,2 პროც.) და მინერალების ამოღების წარმოებამ (101,2 პროც.), დანარჩენი დარგები საგრძნობლად ჩამორჩნენ საგეგმო დავალებებს. ყველაზე ჩამორჩენილია მარგანეცის მრეწველობა, რომელმაც პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 49.1 პროც. შეასრულა.

გარღვევებს აქვს ადგილი ფედერატიული და საკავშირო მნიშვნელობის საწარმოებშიც. ასე, მაგალითად, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებმა კვარტალური გეგმა შეასრულეს 61,2 პროც., ნავთის ამოღების გეგმა შესრულდა—88,1 პროც., ხოლო ბურღვის გეგმა—37,4 პრ., ჩამორჩენილია ბარიტის წარმოებაც.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ასეთი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ორგანიზაციულ დეფექტებში, რომლებსაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი ჩვენს საწარმოებში. მათ შორის მთავარია მუშაობის „კამპანიური“ ხასიათი მუშაობა „ნახტომებით“ კვარტალის სხვადასხვა თვეებში, ამის შედეგად საწარმოები დამკვრელ ტემპებს ანვითარებენ მხოლოდ მას შემდეგ, როცა თვის დასაწყისში აღებული ნელი ტემპების მეოხებით ღრმა გარღვევის წინაშე დადგებიან. ასეთ შემთხვევაში მუშებს ზედმეტ საათებში ამუშავებენ, ხდება ხელფასის ფონდის გადახარჯვა, საბოლოო ანგარიშში კი ზოგჯერ ესეც არ შველის საქმეს: წარმოება მაინც ვერ გამოდის გარღვევიდან.

მუშაობის ასეთ სისტემას ადგილი აქვს თითქმის ყველა საწარმოებში. დროა ამ მავნე პრაქტიკას ბოლო მოეღოს. საწარმოებმა კვარტალის დაწყებისთანავე გეგმაშეწონილად უნდა გაანაწილონ თავისი ძალები და თანაბრად განავითარონ მუშაობის ტემპები.

მეორე ბოროტება, რომელიც აფერხებს საწარმოო გეგმების შესრულებას ეს არის მუშა-ხელის ნაკლებობა და დენადობა. განსაკუთრებით დიდია მუშა-ხელის სიმცირე ტყიბულში და ჭიათურაში. მარგანეცის მრეწველობას დღეს-დღეობით აკლია 1.000-მდე მუშა; მშენებლობასთან და დამხმარე საწარმოებთან ერთად ეს დანაკლისი 2.400 კაცამდე აღწევს. ამავე დროს არ არის მიღებული გადამჭრელი ზომები მუშა-ხელის გეგმიანად შეგროვებისათვის. არ სწარმოებს ხელშეკრულებების დადება კოლმეურნეობებთან. ცუდი კვებისა და მომარაგების გამო არ ხდება არსებული მუშა-ხელის შენარჩუნებაც. მარტო ძლევისეულ უბნიდან პირველ კვარტალში სამუშაოდან წავიდა 280 მუშა. დენადობას ხელს უწყობს ისიც, რომ ადმინისტრაცია სისტემატიურად არ ასრულებს კოლხელშეკრულების იმ მუხლებს რომლებიც მუშათა მატერიალურ - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ეხება.

დენადობას კიდევ უფრო ფართო ხასიათი აქვს ტყიბულში. მაგალითად, თუ 1932 წლის 1-ლ დეკემბრისათვის მაღაროებს ჰყავდათ 1.339 მუშა, 1933 წლის 1-ლ იანვრისათვის—1209, პირველ მარტისათვის ეს რაოდენობა დავიდა 977-მდე ხოლო მარტში საშუალოდ მუშაობდა 813 მუშა.

ისევე, როგორც ჭიათურაში, ტყიბულშიც დენადობას ხელს უწყობდა კვებისა და მომარაგების მოუწესრიგებლობა და კოლხელშეკრულების შეუსრულებლობა იმ ნაწილში რომელიც სპეცტანსაცმელის გაცემას ეხება.

მუშა-ხელის სიმცირე, გარდა მომარაგების მოუწესრიგებლობისა, გამოიწვია იმანაც, რომ მაღაროების ხელმძღვანელმა ორგანიზაციება დაივიწყეს ამხ. **სტალინის** მითითება მუშა-ხელის გეგმიანად შეგროვების შესახებ კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებების დადების გზით.

უკანასკნელ დღეებში ტყიბულის ორგანიზაციებმა გამოასწორეს მდგომარეობა და პრაქტიკული ნაბიჯები გადადგეს მუშა-ხელის გეგმიანად შეგროვებისათვის. ამ მიზნით შემოღებულია ასეთი პრაქტიკა: კოლმეურნეობა ხელშეკრულებას სდებს მაღაროებთან ყოველთვიურად რამდენიმე კაცის მიწოდებაზე. კოლმეურნეობაში შემდგარი ჯგუფი სამუშაოდ მიდის მაღაროებში ერთი თვით. შემდეგ ის უკან ბრუნდება და მის ადგილს სხვა ჯგუფი იკავებს. ამ წესის განხორციელებამ საგრძნობლად გააუმჯობესა მაღაროების მდგომარეობა მუშა-ხელის მხრივ. ეს პრაქტიკა უნდა გადაიღოს კერძოთ ჭიათურამ.

უდიდესი ამოცანები სდგას საქართველოს მძიმე მრეწველობის წინაშე 1933 წელში. წელს მძიმე მრეწველობამ უნდა მოგვცეს 53,9 მილიონი მანეთის პროდუქცია, ნაცვლად გასული წლის 35,3 მილიონისა. პროდუქციის განსაკუთრებით დიდი ზრდა დასახულია — ელექტრო სადგურების ხაზით (85 პრ.), ქვანახშირის მრეწველობაში (158 პროც.), მარგანეცის წარმოებაში (54 პროც.), და მინერალების ამოღებაში (68 პროც.).

რაც შეეხება ხარისხობრივ მაჩვენებლებს, თვითღირებულება საშუალოდ მთელ მძიმე მრეწველობაში უნდა შემცირდეს 3,5 პროცენტით ხოლო შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 13 პროცენტით.

წლის პირველი კვარტალი გარღვევით დამთავრდა. არ შესრულდა არც რიცხობრივი და არც ხარისხობრივი მაჩვენებლები. ეს გვავალებს დავრაზმოთ მთელი ძალები არსებულ ჩამორჩენათა სალიკვიდაციოთ და მეორე კვარტალში არა თუ მთლიანად შევასრულოთ დავალება, არამედ დავფაროთ პირველი კვარტალის დავალიანებაც.

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც.ს.კ. იანვრის გაერთიანებულმა პლენუმმა მეორე 5 წლედის მთავარ ამოცანად დასახა ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისება. ამის მიხედვით ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების ძირითად ამოცანას წარმოადგენს ახლად აგებულ საწარმოთა სწორი ექსპლოატაციის უზრუნველყოფა, მათი შინაგანი რესურსების მთლიანად გამოყენება, მომზადებული კადრებით გამაგრება და ამით მუშაობის ხარისხის და შრომის დისციპლინის ამაღლება.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ხაზით სდგას კონკრეტული ამოცანები: ათვისებული იქნეს ჩვენთვის სრულიად ახალი მეტალურგიული წარმოება — ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა, ტყვარჩელის მაღაროები, მექანიზაციის გატარება ტყიბულში და ჭიათურაში, რთული მანქანების დამზადება მანქანათმშენებლობის დარგში და სხვ. ყველაფერი ეს მოითხოვს მუშათა კლასის და საინჟინერო - ტექნიკური პერსონალის შრომითი გმირობის ახალ ნიმუშებს.

29 აპრილს სრულდება ოთხი წლის თავი სოციალისტური შეჯიბრების, როგორც სოციალისტური შრომის საუკეთესო მეთოდის შემოღების დღიდან. ეს დღე უნდა გადავაქციოთ ჩვენი მიღწევათა დემონსტრაციათ მუშაობის ამ დარგში. კერძოთ, უდიდესი მიღწევები გვაქვს ამ მხრივ საქართველოს მძიმე მრეწველობაში. მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მუშაობის კიდევ უფრო გაშლა. სოცშეჯიბრება - დამკვრელობის ოთხი წლისთავთან დაკავშირებით საქ. მძიმე მრეწველობაში ჩაბმულმა მუშებმა უნდა იკისრონ კონკრეტული ვალდებულება — აპრილშივე დაფარონ პირველი კვარტალის მთელი ჩამორჩენა და უზრუნველყონ 1933 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

მთავარია მოსავლიანობის გადიდება

სამხრეთ რაიონები უკვე შეუდგენ თესვას ბოსტნეებში. გაზაფხული წელს ადრე დაიწყო. საბჭოთა კავშირის ყველა რაიონები ბოსტნეულის მასიურად თესვის წინ იმყოფებიან. საგარეუბნო მეურნეობებმა გასულ წელს დათესეს 467 ათასი ჰექტარი და მიიღეს ორი ნახევარ მილიონ ტონამდე ბოსტნეული და კარტოფილი 5 მილიონ ტონამდე ბოსტნეული და კარტოფილი—ასეთია საგარეუბნო ქარხნების და კოოპერატიული მეურნეობათა პროგრამა მიმდინარე წელს. აშკარაა რომ ეს ამოცანა —ბოსტნეებში ავიღოთ ორჯერ მეტი ბოსტნეული, ვიდრე გასულ წელს —წარმატებით შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაშლილი იქნება ნამდვილი ბოლშევიკური ბრძოლა თესვის ხარისხისათვის, მოსავლიანობის გადაჭრით გადიდებისათვის. სწორედ ბოსტნეულის მოსავლიანობის გადიდების საკითხი არის ეხლა ძირითადი საკითხი. ამიტომ დაუშვებელია მოსთხოვო ქარხნებს მუშათა მომ. განყოფილებათ და მუშათა დახურულ კოოპერატივების მხოლოდ რაოდენობითი მაჩვენებლების შესრულება, ე. ი. ამდენის და ამდენის დათესვა. აუცილებელია მოვითხოვოთ გეგმის შესრულება მოსავლიანობის გადიდების თვალსაზრისით. თვითეული ქარხნის მუშებმა ზუსტად უნდა იცოდნენ არა მარტო თავისი ნათესების ფართობი არამედ კონკრეტულად უნდა იცოდნენ აგრეთვე —რამდენით უნდა გაიზარდოს მოსავლიანობა, ბოსტნეულისა და კარტოფილის როგორი ხერთი მოსავლისათვის იბრძვიან ისინი. მხოლოდ მაშინ შეიძლება საქმის წარმატების მიღწევა, როცა მუშებს განმარტებული ექნებათ, ამოცანები, როცა თვითეული მუშა გაიგებს, თუ რას მიიღებს იგი ბოსტნეებზე მუშაობაში მონაწილეობით. მაგრამ მთელი რიგ საწარმოებში დირექტორებმა ბოსტნეულის თესვის საკითხი მთლიანად დააკისრეს თავიანთ თანაშემწეებს, არ უწევენ მათ აუცილებელ დახმარებას, ხოლო პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა „ხელი დაიბანეს“ იმ მოსაზრებით, რომ ბოსტნეულით მუშების მომარაგებაში მათ პირადათ პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ. მათ, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ ესმით, რომ ასეთი ოპორტუნისტული უდარდელობისათვის რომ ასეთი უთაური, დაუდევარი მოპყრობისათვის ისეთი უმნიშვნელოვანესი საქმისადმი, რომელზედაც და მოკიდებულია მუშათა მომარაგება, პარტია დაუნდობლად დასჯის დამნაშავეებს. პარტიის ცეკა მოითხოვს მიღებულ იქნეს უაღრესად გადამჭრელი ზომები, პარტიიდან გარიცხვამდე, იმ საწარმოთა ხელმძღვანელების მიმართ. სადაც არ არის ჩატარებული საბრძოლო მომზადება. საჭიროა ხელებდაკაპიწებული შეუდგეთ საბრძოლო მუშაობას და სანამ გვიან არ არის, შევავსოთ დანაკლისი. და არა მარტო უნდა უზრუნველვყოთ საგარეუბნო საქარხნო და კოოპერატიული მეურნეობები თესლეულით. ბოსტნეულის თესვის ყველა საკითხები უკლებლათ სერიოზულად უნდა დავამუშაოთ. თესვისათვის ისე უნდა მოვემზადოთ, როგორც ბოლშევიკებს შეეფერის. საბჭოთა კავშირის მუშები სიამაყით უჩვენებდნენ კოლმეურნეთა შეკრების დელეგატებს მოსკოვში და საოლქო ცენტრებში სოციალისტურ ინდუსტრიის უდიდეს მიღწევებს. პროლეტარიატმა პარტიის ხელმძღვანელობით შეაიარაღა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა ურთულესი მანქანებით. მან უდიდესი ენტუზიაზმი შეიტანა სოფლის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეში. ეს ენტუზიაზმი უნდა გამოვიყენოთ აგრეთვე ჩვენი საგარეუბნო მეურნეობათათვის დახმარების გასაწევად.

უკვე უახლოეს ხანში შეუძლია მუშას მიიღოს საგარეუბნო მეურნეობ. დახმარება სასურსათო ბალანსში, საადრეო ბოსტნეული, მწვანე კიტრი, მწვანე ხახვი და სხვ. არა ზაფხულზე და შემოდგომაზე, არამედ ეხლა შეუძლია მიიღოს. ყოველმა ოლქმა თვითონ უნდა მოამარაგოს თავისი მუშები საადრეო ბოსტნეულით. უნდა აღმოიფხვრას იმის იმედი, რომ საადრეო ბოსტნეულს ვინმეს ათასეულ კილომეტრიდან გადმოუგზავნიან „რასაც დასთეს იმას მოიმკი“—ეს ძველი ჭეშმარიტება მტკიცედ უნდა შეითვისონ ჩვენმა სამეურნეო მუშაკებმა, და მაშინ საქმე უზრუნველყოფილი იქნება. დეფექტები, რომლებიც დღემდე შემჩნეულია თესვის მზადებაში, ჯერ კიდევ არ არის გამოსწორებული.

პარტიის და კომკავშირის ორგანიზაციები — თესვის ავანგარდში! პირადი მაგალითით, ენტუზიაზმით უფრო მძლავრად გაშალეთ სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ტალღა. არა მარტო დავთესოთ მთლიანად, არამედ დავთესოთ შემოწმებული თესლი. მთავარია თესვის ხარისხი, ბრძოლა მაღალი მოსავლიანობისათვის. პროფკავშირებმაც უნდა აღმოფხვრან ჩამორჩენა ბოსტნეულის თესვას ისინი სერიოზულად ჯერ კიდევ არ შესდგომიან ისინი უნდა ჩაებან თესვაში, მათ უნდა უზრუნველყონ საგარეუბნო მეურნეობანი არა მარტო საკადრო ძალებით, არამედ აგრეთვე მობილიზაცია უყონ მუშებსა და მათ ოჯახებს თესვაში დასახმარებლად. შინარესურსების გამოყენებას და მუშათა ფართო თვით მოქმედების საფუძველზე „მოვაღწიოთ გამარჯვებას“.

პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებებმა მუშათა მომარაგების განყოფილებათა მოწყობის და საქარხნო სამმართველოებისათვის დახურული განმანაწილებლების დაქვემდებარების შესახებ განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შექმნეს თესვის წარმატებისათვის. ეხლა საქმე მთლიანად დამოკიდებულია ადამიანებზე, ბოლშევიკურ ხელმძღვანელობაზე, ბოსტნებისათვის კონკრეტულ ყოველდღიურ დახმარებაზე გაწევაზე. ცარიელი დეკლარაციების დრო წავიდა. ქარხნის, ფაბრიკის და საწარმოს ყოველი დირექტორი —პასუხისგებს თესვის წარმატებისათვის მძიმე და მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, „ცენტროსოიუზ“-ის მუშაობას პარტია შეამოწმებს საბოსტნე მინდვრებიდან აღებული ბოსტნეულის ტონების რაოდენობის მიხედვით. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი ძალზე ჩამორჩენილი არიან ბოსტნების თესვის ორგანიზაციაში.., კლასობრივი მტრის და მისი აგენტურის წინააღმდეგობის დაძლევით ფართო მუშათა მასებზე დაყრდნობით უ. შევასრულოთ პარტიისა და მთავრობის დავალება საგარეუბნო მეურნეობებში თესვის ჩატარების შესახებ. ხუთი მილიონი ტონა ბოსტნეული და კარტოფილი არა ნაკლები!

(„პრავდა“-ს 1933 წლის 14 აპრილის მოწინავე წერილი).

თესვა 10 აპრილისათვის რაიონების მიხედვით

(საქ. მიწსახკომის ცნობები)

10 აპრილისათვის მთელს საქართველოში დათესილი იყო საგაზაფხულო კულტურები სულ 59.571 ჰექტარზე, რაც რესპუბლიკანური გეგმის 9,2 პროცენტს შეადგენს. აქედან დათესილია: **ხორბალი** — 12.718 ჰექტ. (გეგმის 25,4 პროც.), **ქერი** — 26.248 ჰექტ. (34,8 პროც.), **სიმინდი**—7.944 ჰექტ. (1,3 პროც.), **კართოფილი** — აღმოს. საქართველოში დათესილია გეგმის 18 პროც. ხოლო დასავლეთ საქ. რაიონებში 2,9 პროც.

ცალკე რაიონების მიხედვით დათესილია:

(გეგმის შესრულება %%-ში)

რაიონები	ხორბალი.	ქერი	სიმინდი	კართოფილი.
ახალციხის	56,7	45,8	—	10,3
ადიგენის	9,7	7,6	—	—
ტოლოშის	15,5	9,8	—	—
სტალინისის	103,6	75,6	3,1	34,7
გორის	3,0	58,1	1,5	12,6
კასპის	45,5	80,8	3,5	33,0
ბორჯომის	7,4	2,3	—	—
გურჯაანის	128,9	49,3	3,7	29,7
სიღნაღის	115,9	103,9	14,4	104,3
ყვარელის	380,0	82,0	1,8	39,2
ლაგოდეხის	200,0	—	34,1	62,4
თბილისის	124,0	107,6	3,3	46,1
ლიუქსემბურგის	76,8	56,5	—	—
წალკის	2,6	3,7	—	—
დუშეთის	21,1	13,6	—	4,2
ალბულაღ-მანგლისის	20,7	27,2	—	29,6
გარე-კახეთის	81,8	46,0	—	24,3
მცხეთის	44,2	27,8	—	5,7
ბაშკიჩეთის	3,5	2,3	—	0,2
სამხ. - ოსეთის	64,7	49,1	11,0	11,4
ქუთაისის	—	—	1,2	—
ბაღდათის	—	—	0,3	—
ვანის	—	—	0,5	—
ჭიათურის	4,6	8,8	0,6	8,8
ჩხარის	—	—	4,1	—
ამბროლაურის	23,5	20,0	1,5	20,0
ონის	23,3	1,6	—	1,6
ცაგერის	72,3	44,7	2,7	44,7
ოკრიბის	—	—	0,8	—
ხობის	—	—	0,3	—
ზემო - სვანეთის	40,0	22,4	1,4	22,4

იმ რაიონებს, რომლებიც არ არიან შეტანილი ცხრილში და, რომლებიც გეგმის მიხედვით სთესენ დასახელებულ კულტურებს, — 10 აპრილისათვის მიწსახკომისათვის არ ქონდათ წარმოდგენილი ცნობები.

120 ახალი წევრი შეემატა კოლმეურნეობებს

(ტყიბული, საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ტყიბულის რაიონში საგაზაფხულო თესვისათვის მზადებასთან დაკავშირებით, სათანადო ახსნა - განმარტების საფუძველზე დღითი-დღე ძლიერდება ღარიბ - საშუალო გლეხთა მისწრაფება კოლმეურნეობებისაკენ.

1933 წლის 1 იანვრიდან **კოლმეურნეობებს შეემატა 120 ახალი წევრი.** გარდა ამისა ჩამოყალიბდა ორი ახალი კოლმეურნეობა: სოფ. გურნაში და მზიურში.

ღარიბ - საშუალო გლეხთა კოლმეურნეობებში შესვლა ძლიერდება.

გ. მერკვილაძე.

მზად შევხვდეთ თამბაქოს გაშენების კამპანიას

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

თამბაქოს პლანტაციების გასაშენებლად საგაზაფხულო ხვნის დამთავრების უკანასკნელი ვადები უკვე ამოიწურა: **აჭარისტანში** ხვნა უნდა დამთავრებულიყო 10 აპრილს, ხოლო საქართველოს დანარჩენ მეთამბაქოობის რაიონებში — 1 აპრილს. მიუხედავათ ამისა, ეს ვადები (აფხაზეთის გამოკლებით) საქართველოს მეთამბაქოობის არც ერთი რაიონის მიერ არ არის დაცული.

10 აპრილისათვის მთელს საქართველოში მოხნული იყო (მძრალად ხვნის ჩათვლით) **სულ 16.072 ჰექტარი, ანუ გეგმის 88,3 პროც. აფხაზეთში** მოხნული იყო 12.050 ჰექტ. (გეგმის 100,4 პროც.), ხოლო საქართველოს მეთამბაქოობის დანარჩენ რაიონებში 4022 ჰექტ., აქედან მძრალად—1341 ჰექტ.

ცალკე სექტორების მიხედვით მოხნულია: **კოლმეურნეობებში** — გეგმის 96,3 პროც., **ერთპიროვნულ მეურნეობებში** — 88,3 პროც., თამბაქოსათვის ნიადაგის მომზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა აჭარისტანი, რომელსაც 10 აპრილისათვის გეგმა მხოლოდ 1,9 პროც. ქონდა შესრულებული; **ჩოხატაურის** რაიონს — 17 პროც., **ყვარელის** 21,9 პროც.

იმავე 10 აპრილისათვის ნერგებისათვის თამბაქოს სათბურები აფხაზეთში მოწყობილი იყო 80680 კვ. მეტრზე, **(გეგმის 100,8 პროც.)**, საქართველოს მეთამბაქოობის დანარჩენ რაიონებში კი — 57.640 კვ. მეტრ. **(80,1 პროც.)**.

აფხაზეთში ნერგებისათვის ღია კვლები მოწყობილია 957.963 კვ. მეტრზე; **(გეგმის 109,5 პროც.)**, საქ. დანარჩენ მეთამბაქოობის რაიონებში — 494056 კვ. მეტ. (141,1 პროც.).

ხვნის დამთავრების ვადების მტკიცედ დაცვის შეუფასებლობა ძირშივე უნდა იქნას აღკვეთილი, აჭარისტანის და სხვა ჩამორჩენილ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების კონკრეტული ხელმძღვანელობით და დახმარებით უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს როგორც ხვნა, ისე სათბურების მოწყობა.

ვ—ლი.

ბოსტნეულის თესვის გეგმას [illegible]

(ვანი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ვანის რაიონში მასიური ხვნათესვა ისევე არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. გეგმის მიხედვით **სიმინდისათვის ხვნა უნდა დამთავრებულიყო 1 აპრილამდე, ფაქტიურად 9 აპრილისათვის მოხნული იყო სულ 955 ჰექტარი, გეგმის 18,4 პროცენტი.** აქედან კოლმეურნეობებში 2.132 ჰექტარის ნაცვლად მოხნული იყო 610 ჰექტ. ხოლო ინდივიდუალურ სექტორში 3.041 ჰექტარიდან 345 ჰექტარი. მიუხედავათ იმისა, რომ ხვნის ვადები უკვე ამოიწურა მინდვრად მუშაობა აღნიშნულ რიცხვისათვის არ ქონდა დაწყებული სოფ. ტობანიერის, საპაიჭაოს და ბარიტის სასოფლო საბჭოებს.

არახისის კულტურისათვის ნიადაგის მომზადება უნდა დამთავრებულიყო 25 მარტს, ფაქტიურად კი 9 აპრილისათვის 100 ჰექტარიდან ნიადაგი მომზადებული იყო 49 ჰექტ. რაოდენობით. ვენახის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული იყო 75 პროც. რამი 17.6 პროცენტით.

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების თესვა აქა იქ უკვე დაიწყო. 10 აპრილისათვის კოლმეურნეობებში 2.661 ჰექტარიდან დათესილი იყო 63 ჰექტარი (გეგმის 2,4 პროცენტი) ერთპიროვნულ მეურნეობებში 4.319 ჰექტარის ნაცვლად 42 ჰექტარი (გეგმის 0,8 პროც.) ხოლო საბჭოთა მეურნეობებს თესვის გეგმა შესრულებული ქონდა 78.6 პროცენტით. თესვის საქმეში **წინ მიდიან** სოფ. დახაშხოს, სულორის, და უხუთის სასოფლო საბჭოები, სადაც მასიური თესვა დაიწყო ჯერ კიდევ აპრილის პირველ რიცხვებიდან.

სრულიად არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ვანის რაიონში კარტოფილის და ბოსტნეულის თესვა, მიუხედავათ, იმისა, რომ იგი აქ ძირითად კულტურას წარმოადგენს.

9 აპრილისათვის ბოსტნის ნიადაგის მომზადების გეგმა შესრულებული იყო 53 პროცენტით. დათესილი იყო 84,6 ჰექტ. გეგმის 20,6 პროცენტი. ცალკე კულტურების მიხედვით დათესილი იყო ხახვი — 169,5 ჰექტარის ნაცვლად 31 ჰექტარი, ხახვი ბელქვი — 40 ჰექტარიდან 13. კარტოფილის თესვის ვადები მთლიანად ამოიწურა, თესვა კი აღნიშნულ რიცხვისათვის დაწყებული ქონდა სოფ. დიხაშხოს, სულორის და ციხესულორის სასოფლო საბჭოებს. კარტოფილი დათესილი იყო სულ 6 ჰექტარი გეგმის 17,6 პროცენტით. მთელ რიგ კოლმეურნეობებში შემცირდა ბოსტნეულის თესვის გეგმები იმის გამო, რომ მათ თავის დროზე არ მიიღეს სათანადო ზომები თესლის მოსამარაგებლად. ასე მაგალითად: სოფ. ზემო ვანის კოლმეურნეობაში ხახვი უნდა დათესილიყო 8 ჰექტარზე, ეს გეგმა შემცირებულ იქნა 3 ჰექტარამდე. ასეთ შემთხვევებს აქვს ადგილი სხვა კოლმეურნეობებშიც.

ხვნა თესვის საქმეში ვანის რაიონში დაუყონებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა. რაიონის და ძირეულ ორგანიზაციებმა პირველ რიგში უნდა იბრძოლონ ბოსტნეულის თესვისა და ბოსტნის მაღალი მოსავლიანობისათვის.



ყარაია, მეთესლეობის ბამბის საბჭოთა მეურნეობის № 4 ბრიგადა ტრაქტორის შემოწმებაზე, მინდვრათ გასვლის წინ.

ინგლისის სამრეწველო წრეები შეშფოთებული არიან შუბლმაგართა პოლიტიკით

ლონდონი, 13 აპრილი. იმ დროს როცა ინგლისის ინტერვენციონისტული წრეები აწყობენ გააფთრებულ ანტისაბჭოთა კამპანიას, ინგლისის მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენლები შეშფოთებული არიან ინგლის — საბჭოთა კავშირის ვაჭრობის მომავალის გამო, რომელსაც საფრთხეში აგდებს ინტერვენტების ავანტიურისტული პოლიტიკა.

იმასთან დაკავშირებით, რომ 17 აპრილს ვადა გადის ინგლის - საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმებას, 11 აპრილს ინგლის - ბრიტანეთის სავაჭრო პალატის აღმასკომის ინგლისური ნაწილის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„აღმასრულებელი კომიტეტის ბრიტანული ნაწილი გულწრფელად გამოსთქვამს იმედს, რომ არ ექნება ადგილი ისეთ გარემოებებს, რომლებიც ხელს შეუშლიან საბჭოთა სავაჭრო დელეგაციის მუშაობას ჩვენს ქვეყანაში“.

შეფილდის სავაჭრო პალატის ყოველწლიურ ანგარიშში გამოქვეყნებულია პალატის საბჭოს შემდეგი განცხადება:

„საბჭო ფიქრობს რომ ახალ სავაჭრო ხელშეკრულებაში უნდა ჩამოყალიბებულ იქნას გარკვეული სავაჭრო პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ რუსეთი ბრიტანეთის პროდუქტებისათვის წარმოადგენს ფართო ბაზას იმ დროს, როცა სხვა ბაზრები არ ყიდულობენ ჩვენს საქონელს. დიდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განმტკიცდეს ჩვენი დამოკიდებულება რუსეთთან და ბრიტანეთის ფირმებს ექნეთ უფრო ფართო პოზიცია რუსეთის ბაზარზე. არ შეიძლება დაუშვათ, რომ პოლიტიკური შეხედულებანი არღვევდენ სავაჭრო ექსპანსიას. საბჭოს აზრით, საჭიროა საექსპორტო საკრედიტო სისტემის განვითარება რუსეთის მიმართ“.

მანჩესტერის სავაჭრო პალატის წლიურ კრებას წარედგინა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია: „ასოციაცია ფიქრობს, რომ ეხლანდელმა მდგომარეობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ინგლის - რუსეთის ვაჭრობაზე, და გამოსთქვამს იმედს, რომ ბრიტანეთის მთავრობა და საბჭოთა კავშირის მთავრობა შესძლებენ უახლოეს ვადაში მიაღწიონ შეთანხმებას ახალი სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ“.

სავაჭრო ჟურნალი „ბრიტიშ რეშნ გაზეტ“-ი ბეჭდავს ტალბოტის წერილს მოსკოვის პროცესის შესახებ. ტალბოტი სწერს:

ბოლდუინმა და ტომასმა გამოიჩინეს, რბილად რომ ვსთქვათ. გულზვიადობა და აჩქარება. განაცხადეს რა, რომ ჩვენი მოქალაქეების დაპატიმრებით საბჭოთა მთავრობამ მოგვაყენა შეურაცყოფა, რომლის გამართლება ყოვლად შეუძლებელია და ამავე დროს პარლამენტში აღნიშნეს, რომ ისინი დაწვრილებით არ არიან გაცნობილი საქმესთან. სანამ რუსეთის ხელისუფლებას ნაჩქარევად გამოუცხადებდით განაჩენს მისი მოქმედებისათვის, ჩვენ უნდა მოვიგონოთ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობას და მოსახლეობას საკმაო საფუძველი აქვთ შეინიდეთ მათ შინაურ საქმეებში გარედან ჩარევისა. ჩვენი საკუთარი ექსტრემისტები მეტად უგუნურად აძლიერებენ რუსების ამ შიშს. ყოველი უგუნური მოქმედება ზიანს მიაყენებს არა მარტო თვით ინჟინრების საქმეს. არამედ აგრეთვე მრავალ ადამიანს ჩვენს ქვეყანაში, რომელნიც სარგებლობას ღებულობენ რუსეთთან ვაჭრობისაგან“. სარედაქციო კომენტარიებში „ბრიტიშ რეშნ გაზეტ“-ი სწერს:

„უკანასკნელ დღეებში ჩვენ ბევრი დამამტკიცებელი საბუთი მივიღეთ იმის, რომ ბრიტანეთის მრეწველებს და ვაჭრებს. ეშინიათ არ იქნას გადადგმული ბრიტანეთ - რუსეთის დამოკიდებულებისათვის საშიში ნაბიჯები, რადგან ეს არ იქნებოდა დაპატიმრებულთა ინტერესებისათვის სასარგებლო და უდიდეს ზიანს მოუტანდა ბრიტანეთის მრეწველობას და ვაჭრობას“.

იზაკოვი.

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის თვითლიკვიდაცია

ბერლინი, 13 აპრლ. „ბერლინერ ბერზენცეიტუნგ“-ი იუწყება, რომ საპარლამენტო წრეებიდან მიღებული სარწმუნო ცნობებით. გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის რღვევა სწრაფად ძლიერდება. გაზეთის მიერ მიღებული ცნობებით, მთელ რიგ სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოაცხადონ თვითლიკვიდაცია, ხოლო უახლოეს დღეებში ხდება სხვა მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციების ლიკვიდაცია. დღითი-დღე იზრდება სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გასვლის შესახებ. შემოტანილ განცხადებათა რიცხვი. დარჩენილი წევრები უარს ამბობენ საწევრო გადასახადის შეტანაზე. გაზეთის სიტყვით, ფართო სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ამბობენ, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვით დაშლა.

„ბერლინერ ბერზენკურიერ“-ი აღნიშნავს, რომ პარტიის რიგებში მეტის მეტად აღშფოთებული არიან სოციალ-დემოკრატიულ ბელადების საქციელით. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თვითდაშლის საკითხი, როგორც ჩანს, წარმოადგენს დროის საკითხს (ადს).

გერმანიის პროფკავშირების ფაშიზაცია

ბერლინი, 13 აპრილი, სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა ეგრედწოდებულმა ნაციონალურ პროფკავშირის (რომელშიაც ირიცხება 400 ათასი წევრი), ახალმა ხელმძღვანელობამ (ნაციონალ-სოციალისტები მელცოვი და რეიხსტაგის დეპუტატი შტერი) დაადგინა შესწყვიტოს დამოკიდებულება კათოლიკურ პროფკავშირებთან, რომლებთანაც იგი იყო დაკავშირებული. „ტეგლიხე რუნდშაუ“ აღნიშნავს, რომ სავაჭრო დარგის მოსამსახურეთა პროფკავშირის „რეორგანიზაციით“ საფუძველი ეყრება „მოსამსახურეთა ერთიანი პროფკავშირის შექმნას ნაციონალ-სოციალისტების ხელმძღვანელობით“. ფორმალურად ამ „ერთიანი პროფკავშირის“ შექმნის ინიციატივა იკისრა მოსამსახურეთა „დემოკრატიული პროფკავშირების გაერთიანებამ —„გეზელ-შაფტბუნდ დერ ანგესტელტენ“-მა, რომელმაც გუშინ გადასცა მთავრობას გერმანიის პროფმოძრაობის „უნიფიკაციის“ პროექტი. პროექტი ითვალისწინებს გერმანიის ყველა პროფკავშირების, მათ შორის რეფორმისტული პროფკავშირების, გაერთიანებას, ვინაიდან „ახალ სახელმწიფოში საჭირო არ არის სამი მსოფლმხედველობით სხვადასხვაგვარი პროფკავშირული გაერთიანების არსებობა“. განზრახულია აგრეთვე მუშათა პროფკავშირების გაერთიანება, მასთან ორივე გაერთიანება ერთად შეადგენენ „ნაციონალური პროფკავშირების კავშირს“. პროექტის თანახმად, კავშირის ამოცანა იქნება ითანამშრომლოს მრეწველთა ორგანიზაციებთან.

როგორც სავაჭრო დარგის მუშაკთა პროფკავშირის „რეორგანიზაციის“ მეთოდიდან და ზოგიერთ თვალსაჩინო ნაციონალ სოციალისტის სიტყვებიდან ჩანს, პროფკავშირების ფაშიზაცია ძირითადად ჩატარდება არა არსებული პროფკავშირების დაშლის გზით, არამედ ნაციონალ-სოციალისტების მიერ პროფკავშირების ხელმძღვანელობის ხელში ჩაგდებით.

გერმანიის ელჩის პროტესტი

ვარშავა, 13 აპრილი. გუშინ გერმანიის ელჩმა მოლტკემ კვლავ განუცხადა საგარეო საქმეთა მინისტრს ბეკს პროტესტი მთელ რიგ ქალაქებში მოწყობილი ანტიგერმანული დემონსტრაციების წინააღმდეგ.

გრუძენცში გამართულ ანტიგერმანულ დემონსტრაციასთან დაკავშირებით, დანციგის სენატმა პოლონეთის კომისარს დანციგში გადასცა წერილობითი პროტესტი გრუძენცში დანციგის მოქალაქეთა ქონების განადგურების წინააღმდეგ. სენატი პოლონეთის კომისარისაგან მოითხოვს დახმარებას დამნაშავეთა დასასჯელად. (ადს).

გერმანელ მუშების გასამართლება საგანგებო სასამართლოებში

ბერლინი, 13 აპრილი. გაზეთების გადმოცემით, საგანგებო სასამართლომ კასელში ერთ მუშას, რომელსაც ბრალი ედებოდა ნაციონალ - სოციალისტებზე თავდასხმაში მიუსაჯა ხუთი წლით პატიმრობა და სამოქალაქო უფლებების აყრა 4 წლის ვადით, მეორე მუშას — სამი წლით პატიმრობა და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლით, ხოლო დანარჩენებს — 18 თვის პატიმრობა თვითეულს.

საგანგებო სასამართლომ ბერლინში მუშა გრუპეს მიუსაჯა 8 თვის პატიმრობა იმისათვის, რომ, თითქოს, გრუპემ ილაპარაკა, რომ მან ნახა თუ როგორ პარსავდენ მოხუც ებრაელს წვერს ნაციონალ - სოციალისტები.

ორ მუშა ქალს რომლებსაც ბრალი ედებათ ანტიფაშისტური ფურცლების გავრცელებაში, მიუსაჯეს ექვს - ექვსი თვითი პატიმრობა (ადს).

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 13 აპრილი. იმის გამო, რომ საღამოს და ღამით რაიონულ ცენტრებში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებში ხანგრძლივი თათბირების მოწვევის არსებული პრაქტიკა იწვევს რაიონის, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების და კოლმეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა დილით სამუშაოზე გამოცხადების დაგვიანებას და ამით ასუსტებს მინდვრად მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევას, საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. აიკრძალოს თესვის კამპანიის განმავლობაში რაიმე თათბირის მოწყობა საღამოს 10 საათზე უფრო გვიან ბრიგადირების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების და სასოფლო - სამეურნეო წარმოების სხვა ხელმძღვანელი მუშაკების მონაწილეობით.

2. დაევალოს რაიონულ მუშაკებს, სამანქანო - სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, კოლმეურნეობის ბრიგადირებს და აგრონომებს შეუდგენ მუშაობას გლეხების მინდვრად გასვლამდე ერთი საათით ადრე იმ ანგარიშით, რომ მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას მემინდვრეობის ბრიგადების მუშაობის დაწყება გლეხობის პრაქტიკაში ჩვეულებრივ დროს — **გათენებიდან.**

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).
საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

ჩხრეკა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის (გერმანიაში) მოადგილის ამხ. ფაინშტეინის ბინაზე

ბერლინი, 13 აპრილი. დღეს დილით საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილის—ამხ. ფაინშტეინის ბინაზე მივიდა ბერლინის პოლიციის პოლიტიკური განყოფილების 2 აგენტი, რომლებიც მისი სახლში არ ყოფნის დროს შეუდგენ ბინის გაჩხრეკას. როცა ცოლის მიერ გამოძახებული ამხ. ფაინშტეინი სახლში დაბრუნდა, პოლიციის აგენტებმა მას განუცხადეს, რომ ბინას ჩხრეკენ მათი უფროსის დავალებით. და მოსთხოვეს ამხ. ფაინშტეინს დოკუმენტები. ამხ. ფაინშტეინის პროტესტის და დიპლომატიური პასპორტის წარდგენის მიუხედავად, აგენტები განაგრძობდნენ ჩხრეკას. მათ ხელში ჰქონდათ სია, რომელშიაც ამხ. ფაინშტეინის გვარის პირდაპირ აღნიშნული იყო მისი დიპლომატიურ პასპორტის ნომერი. აგენტები განსაკუთრებით უხეშად იქცეოდნენ. ოქმი ჩხრეკის შესახებ არ შეუდგენიათ. ამხ. ფაინშტეინის მოთხოვნაზე შეედგინათ ოქმი, აგენტებმა განაცხადეს, რომ ოქმს ისინი შეადგენენ თავის დაწესებულებაში. ჩხრეკა სრულიად უშედეგოდ დამთავრდა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ბერლინში სასტიკი პროტესტი განაცხადა ამხ. ფაინშტეინის ბინის უკანონოთ გაჩხრეკის წინააღმდეგ (ადს).

ანტიგერმანული ბოიკოტი პოლონეთში

ვარშავა, 13 აპრილი. ვარშავაში, კატოვიცაში, პოზნანში ლვოვში და მთელ რიგ სხვა ქალაქებში მიტინგებზე გამოაქვთ გადაწყვეტილებანი გერმანიის საქონლის შეძენაზე უარის თქმის შესახებ.

ზემო სილეზიაში ბოიკოტის გატარებას ხელმძღვანელობას უწევს ზემოსილეზიელ მეამბოხეთა კავშირი ამ კავშირის ადგილობრივ განყოფილებათა თავმჯდომარეების კრებამ მიიღო რეზოლუცია, სადაც მოითხოვს დაუყოვნებლივ აკრძალულ იქნას არა მარტო ყველა გაზეთები და გამოცემანი, რომლებიც გერმანიიდან იგზავნება პოლონეთში, არამედ აგრეთვე ყველა გერმანული ორგანოები, რომლებიც პოლონეთში გამოდის. რეზოლუცია მოითხოვს ყველა გერმანელი მოქალაქეების გაძევებას პოლონეთიდან და პოლონეთის საწარმოებსა და დაწესებულებებში მომუშავე ყველა გერმანელების დათხოვნას. სილეზიელი მეამბოხენი,, სხვათაშორის, აცხადებენ რომ საჭიროა დაწესდეს მეთვალყურეობა ყველა იმ პირებზე რომლებიც ზემოსილეზიის საოლქოში ცხოვრობენ და რომელთაც ამავე დროს აქვთ გერმანიის საზღვარზე გადასვლის მუდმივი ნებართვა. კავშირი მოითხოვს გერმანიის ყველა საქონლის და მაღაზიების სასტიკ ბოიკოტს და გერმანიის ქვეშევრდომთათვის ამა თუ იმ საწარმოს გაძღოლაზე მიცემულ ყველა კონცესიების გაუქმებას.

ლვოვში ვაჭართა კავშირის ინიციატივით დაარსდა დასავლეთ უკრაინაში ბოიკოტის ორგანიზაციის და პროპაგანდის სპეციალური კომიტეტი (ადს).

შეერთებული შტატები და ებრაელთა აწიოკება გერმანიაში

ლონდონი, 12 აპრილი. „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი ებრაელთა აწიოკების რამდენადმე შესუსტებას გერმანიაში ხსნის იმით, რომ ამჟამად ბერლინში იმყოფება დევისი, რომელმაც ჰიტლერს და ნეირატს გარკვეულად განუცხადა, რომ „ჩუმი რბევა“ შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს ამერიკის საზოგადოებრივ აზრზე და მმართველ წრეებზე. კორესპონდენტის სიტყვით, დევისმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების ხელმძღვანელი ფინანსისტები, რომელნიც აქამდე კარგ განწყობილებას იჩენდნენ გერმანიის მიმართ, კატეგორიულად უარს იტყვიან გერმანიისათვის დახმარების გაწევაზე, თუ ებრაელების დევნა გაგრძელდა (ადს).

ინდუსტრიალიზაციის ფრონტიდან

ქვანახშირი

ტყიბული, 14 აპრილი (საკ. კორ.) ტყიბულის მაღაროებში 12 აპრილს ამოღებულ იქნა 569 ტონა ქვანახშირი. სამუშაოზე გამოვიდა 725 მუშა. რკინის გზამ მაღაროებს მოაწოდა 29 ვაგონი.

13 აპრილს ამოღებულ იქნა 600 ტონა. მუშაობდა 709 მუშა. მოწოდებულ იქნა 26 ვაგონი.

საქმე ელექტროსადგურებში აღმოჩენილ მავნებლობის შესახებ

12 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 13 აპრილი. 6 საათზე იწყება ბრალდებულ გუსევის დაკითხვა. გუსევი მოუთხრობს სასამართლოს თავის შესახებ. ოქტომბრის რევოლუციას გუსევი მტრულად შეხვდა. იგი 20 წლის იყო, როცა მოხალისედ შევიდა კოლჩაკის არმიის ერთ - ერთი პოლკის სასწავლო გუნდში. გუსევი თავის შეხედულებებს იმ პერიოდში ახასიათებს, „როგორც ოქტომბრის რევოლუციისადმი მტრულს". უფას გუბერნიაში ის მონაწილეობას ღებულობს ბრძოლებში წითელი არმიის წინააღმდეგ. 1919 წლის აგვისტოდან დეკემბრამდე ისევ სამხედრო სამსახურში იმყოფება. ეხლა უკვე კოლჩაკის არმიის ავტოჯავშნიან ნაწილში. კოლჩაკის ბანდების პანიკურ უკანდახევას გუსევი გამოჰყავს წონასწორობიდან, მაგრამ მისი შეხედულებები უცვლელი რჩება. გარდა ამისა, იმ წრის ზეგავლენით, რომელშიაც გუსევი ტრიალებდა ზლატოუსტის ელექტროსადგურზე (მთელი რიგი პირები მაგალითად, შაპაევი, ბოგოსლავსკი და სხვა. მავნებლობისათვის პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი და მათ სასჯელიც ჰქონდათ დადებული) მისი ანტისაბჭოთა განწყობილება კიდევ უფრო განმტკიცდა.

1922 წელს გუსევი ამთავრებს ზლატოუსტის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გამმართ დანადგარების ინჟინერის სახელწოდებით და იწყებს მუშაობას ზლატოუსტის ელექტროსადგურზე, სადაც თანამიმდევრობით უკავია მთელი რიგი თანამდებობანი და, ბოლოს 1929 წლის მარტიდან ინიშნება ელექტროსადგურის უფროსად.

მავნებლობას და ჯაშუშობას გუსევი, მისი სიტყვით, ეწევა 1930 წლის დამდეგიდან. 1929 წლის დეკემბერში გუსევი გაეცნო ინგლისური ფირმის „მეტროპოლიტენ - ვიკერს"-ის ინჟინერს მაკდონალდს და გააბა მასთან მეგობრული კავშირი. თავდაპირველად მაკდონალდმა წინადადება მისცა გუსევს მიეწოდებია ცნობები ზლატოუსტის ქარხნების წარმოების შესახებ. შემდეგში გუსევმა მაკდონალდისაგან მიიღო წინადადება მიეწოდებია ცნობები თავდაცვის ხაზით მომუშავე ზლატოუსტის ყველა ქარხნების ელექტრომომარაგების შესახებ, იმ მეტალურგიული ქარხნის მუშაობის შესახებ, რომელიც ამზადებს ავტოსატრაქტორო რესორებს, საავიაციო ფოლადს, ბურთულსაკისურების ფოლადს და სხვ; აგრეთვე მექანიკური ქარხნის სამხედრო წარმოებისა და ყუმბარების დამზადების შესახებ.

თავისი მუშაობის მოტივებზე გუსევი ამბობს: „რადგან მე ავარიების მოხდენისათვის ვღებულობდი ფულს, — აქედან გამომდინარეობს, რომ ამას არ ჩავდიოდი წმინდა იდეური მოტივებით. მაგრამ, მე უნდა ვაღიარო, რომ აქ მთავარია ჩემი შეხედულებანი". გუსევი აცხადებს, რომ თავისი მავნებლური და ჯაშუშური მუშაობისათვის ფულს იგი ღებულობდა მაკდონალდისაგან. მაკდონალდი ადასტურებს გუსევის ჩვენებას და აცხადებს, რომ მან გადასცა გუსევს 3.500 მანეთი. ეს ფული მან მიიღო კომპანია „მეტროპოლიტენ - ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორის მთავარი ინჟინერის ტორნტონისაგან. შემდეგ მაკდონალდმა აღიარა, რომ საქმე ეხებოდა სამხედრო ხასიათის ცნობების შეგროვებას.

გუსევის მავნებლური და ჯაშუშური მუშაობის ახალ ეტაპს წარმოადგენდა დავალებათა შესრულება ელექტროსადგურებზე ავარიების მოხდენის ხაზით. „ასეთ დავალებათა შესრულების მიზნით, — ამბობს გუსევი. — მე დავსახე ენერგოსადგურების მოშლის გზები, და, მეორეს მხრივ, მე ეს წარმოდგენილი მქონდა 1.400 ცხ. ძალ. მოტორის და სატკეც საამქროს მსხვილ ხარისხოვანი დაზგის გაფუჭებით. როგორც გუსევი უჩვენებს, ეს დაზგა არჩეულ იქნა სწორედ იმიტომ, რომ თუ იგი არ მუშაობს, მაშინ ყველა დანარჩენი დაზგები, რომელნიც მზა პროდუქციას იძლევიან. მათ შორის ყუმბარების დამამზადებელი დაზგები და ავტოსატრაქტორო რესორებიც, აღარ მუშაობენ". პროკურორის ამხ. ვიშინსკის შეკითხვის საპასუხოდ ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს მავნებლობის მთელ რიგ კონკრეტულ ფაქტებს. 1.400 ცხ. ძალ. მოტორი გაფუჭებულ იქნა თვით გუსევის მიერ, „რომელმაც განზრახ დასტოვა ფურცლოვანი რკინის პატარა ნაჭერი" სავენტილაციო არხში. გუსევი აღიარებს, რომ მან მოაწყო „ავარიების მთელი სერია". მან შეაფერხა № 11 ქვაბის მონტაჟი შეაჩერა სტერლინგის ფირმის № 1-ლი და მე-2 ქვაბების გადაკეთება, მავნებლურად დამალა ქვანახშირის მიმწოდებელი დანადგარი და სხვ.

შემდეგ მაკდონალდი ადასტურებს, რომ იგი აძლევდა გუსევს მითითებებს აღნიშნული ავარიების მოწყობის შესახებ. ამ გეგმის შემუშავებაში, გუსევის სიტყვით, მონაწილეობას იღებდნენ არა მარტო გუსევი და სოკოლოვი, არამედ აგრეთვე მაკდონალდიც. შემდგომ ჩვენებებში გუსევი ხატავს მავნებლური მუშაობის სურათს. 1931—1932 წლის ზამთარში წყლით სავსე ქვაბი № 8, მავნებლების მიერ დასახული გეგმის განსახორციელებლად, დატოვებულ იქნა ყინვაში, ისე რომ კვამლის რეგისტრი ბოლომდე არ იყო დახურული. ქვაბი დაზიანდა და მისი გამოყენება შეუძლებელი გახდა ერთნახევარი თვის განმავლობაში. ქვაბები №1-ლი და მე-2 გადაკეთებულ იქნა მტვეროვანი სათბობისათვის. ქვაბების დადგმას აწარმოებდა ფირმა „რემა". გუსევის მიერ მიღებულ მავნებლურ ზომების გამო ეს დადგმა სამ წელიწადს გაგრძელდა. სტერლინგის ფირმის ქვაბი არ შეკეთებულა ორი წლის განმავლობაში, ხოლო ახალი ქვაბის №11-ის მონტაჟი გაგრძელდა ორ წელიწადს. გუსევი აცხადებს, რომ ყველა ეს მოქმედება იმ შეგნებულ - მავნებლური აქტების ნაყოფია, რომლებიც წარმოადგენენ ავარიების შემუშავებული გეგმის ნაწილს.

ბრალდებულ გუსევის დაკითხვას განაგრძობს პროკურორის მოადგილე ამხ. როგინსკი. უპასუხებს რა ამხ. როგინსკის შეკითხვებზე, ბრალდებული გუსევი აღიარებს, რომ მისი კონტრრევოლუციური მავნებლური მუშაობა მიმართული იყო ოთხი ხაზით. პირველი—საიდუმლო ხასიათის ცნობების შეგროვება. მეორე—მანქანების გაფუჭების მომზადება და განხორციელება. მესამე—სხვადასხვა მოწყობილობის მონტაჟის შეფერხება ზლატოუსტის ელექტროსადგურის გაფართოების გაჭიანურების მიზნით. ბოლოს, მეოთხე—კავშირის გაბმა კონტრრევოლუციური ჯგუფის ცალკე წევრებსა და ინჟინერ მაკდონალდს შორის. შემდეგ გუსევი უჩვენებს, რომ ზლატოუსტში მაკდონალდის იქ ყოფნის დროს ორჯერ ჩამოვიდა ფირმა „მეტროპოლიტენ — ვიკერს"-ის წარმომადგენელი ინჟინერი ტორნტონი — პირველად 1930 წლის ზაფხულში, მეორედ 1930-31 წლის ზამთარში. მისი პირველი ჩამოსვლის დროს გუსევი უკვე აგროვებდა ჯაშუშურ ცნობებს ზლატოუსტის ქარხნების შესახებ. ცნობები შეეხებოდა სამხედრო წარმოებათა ენერგომომარაგებას. ჩამოსულ ტორნტონთან გუსევს რამდენჯერმე ჰქონდა საუბარი. 1930-31 წლის ზამთარში შემუშავებულ იქნა ავარიების გეგმა და კონტრრევოლუციური ჯგუფი შეუდგა უშუალო სადივერსიო აქტების განხორციელებას. ტორნტონის მეორედ ჩამოსვლის დროს დივერსიის გეგმა განიხილა სამეულმა: გუსევმა, ტორნტონმა და მაკდონალდმა. გეგმა ძირითადად დასახულ იქნა ტორნტონის მიერ. ტორნტონი მოითხოვდა ავარიების გეგმის გატარებას ჩელიაბინსკის ჰიდროელსადგურზე, აცხადებდა რა, რომ „ჩელიაბინსკის ჰიდროელექტროსადგური მათი გავლენის ქვეშ იმყოფება".

დაკითხვის დროს გუსევი ამბობს, რომ მისი კონტრრევოლუციური მუშაობის ამოცანას შეადგენდა მეტალურგიული ქარხნის ელექტრომომარაგების ჩაშლა ომის დროს და რომ ავარიების შედეგად მან შესძლო ზლატოუსტის ელექტროსადგურის სიმძლავრის განახევრება. ამხ. ვიშინსკის მიერ ბრალდებულ გუსევის დაკითხვის პროცესში ირკვევა, რომ მაკდონალდ-გუსევი მიწერ-მოწერის დროს სარგებლობდენ პირობითი გამოგონილი გვარებით; ივანოვის, მიხაილოვის, უტკინის გვარით, აგრეთვე გზავნილებზე აღნიშნავდენ გამგზავნელთა ყალბ მისამართებს. გუსევი აღნიშნავს, რომ კონტრრევოლუციური ჯგუფის მონაწილენი ატარებდენ სახელებს: „თედორე", „ზე", „ზეინკალი" და სხვ. ზუევკიდან გამგზავრებისას, სადაც იგი მიწვეული იყო მაკდონალდის მიერ, უჩვენებს გუსევი,— ხარციზკის სადგურზე მას საუბარი ჰქონდა ტორნტონთან მაკდონალდის თანდასწრებით. საუბარი გაგრძელდა 20—30 წუთს. მან, გუსევმა, მოკლედ აუწერა ტორნტონს მის მიერ ჩატარებული ავარიები და უპასუხა ტორნტონის მთელ რიგ კითხვებზე ზლატოუსტის ქარხნებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ამხ. როგინსკი: ბრალდებულო გუსევ, თქვენი გამგზავრება ხარციზკიდან ზლატოუსტში დაკავშირებული იყო თუ არა რაიმე ახალ დირექტივებთან დავალებებთან თუ თქვენი მავნებლური მუშაობის მიმართულების გარშემო?

გუსევი: —მე უნდა მიმეღო ზომები, რომ ელექტროსადგურის სიმძლავრე დარჩენილიყო ისეთი, როგორიც მიღწეულ იქნა ჩვენი მავნებლური მუშაობის შედეგად. ე. ი. ნორმალური სიმძლავრის ნახევარი, ხოლო შემდეგ, ომის შემთხვევაში, უნდა გამოგვეწვია ავარიები ელექტროსადგურში და ქარხნის მოწყობილობაში, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ზლატოუსტის ქარხნების წარმოების ჩაშლა მაღალხარისხოვანი ფოლადის და აგრეთვე ყუმბარების დამზადების დარგში.

ამხ. ვიშინსკის შეკითხვაზე ბრალდებული გუსევი განმარტავს, რომ ზლატოუსტში ტორნტონის პირველი ჩამოსვლის დროს მან. ტორნტონმა, უკვე იცოდა, რომ გუსევი ჯაშუშობას ეწევა მაკდონალდის დავალებით. ბრალდებული ტორნტონი დაკითხვის დროს ცდილობს უარყოს გუსევის ეს ჩვენება. ამხ. ვიშინსკი კითხულობს ცალკე ადგილებს ტორნტონის და გუსევის დაპირისპირების (რომელიც მოხდა 15 მარტს) ოქმიდან, სადაც ტორნტონი აცხადებს, რომ მან იცოდა. რომ გუსევმა მაკდონალდს გადასცა დაწვრილებითი ინფორმაცია ზლატოუსტის რაიონის შესახებ. ტორნტონი ადასტურებს ამ თავის სიტყვებს, რომელიც მან სთქვა დაპირისპირების დროს. მაგრამ, როცა ამხ. ვიშინსკი კითხულობს მის შემდგომ ჩვენებებს დაპირისპირების დროს, რომლებშიაც ტორნტონი აღიარებდა, რომ გუსევი იყო ტორნტონის და მაკდონალდის ნდობით აღჭურვილი პირი ზლატოუსტში ჯაშუშობისა და მავნებლობის ხაზით. ტორნტონი თავისი ჩვენების ამ ნაწილს უარყოფს. შემდეგ გაიმართა ასეთი საინტერესო დიალოგი:

ამხ. ვიშინსკი:—მაშინ ნება მომეცით შეგეკითხოთ: ეს თქვენა სთქვით?

ტორნტონი:— ვსთქვი.

ამხ. ვიშინსკი:—მაშასადამე, ოქმში ჩაწერილია ის, რაც თქვენ სთქვით?

ტორნტონი:—დიახ, მე ესა ვსთქვი.

ამხ. ვიშინსკი —თქვენ სიმართლე სთქვით თუ ტყუილი?

ტორნტონი:—ამ შემთხვევაში ვსთქვი ტყუილი:

ამხ. ვიშინსკი:—თქვენ საერთოდ სიმართლეს ლაპარაკობთ თუ ტყუილს?

ტორნტონი:—ამ შემთხვევაში არ მითქვამს სიმართლე: მე აღელვებული ვიყავი.

ამხ. ვიშინსკი:—მაშასადამე, როცა თქვენ აღელვებული ხართ. მაშინ ტყუილს ამბობთ?

ტორნტონი:—დიახ.

ამხ. ვიშინსკი: —ეხლა თქვენ აღელვებული ხართ?

ტორნტონი — არა ვარ აღელვებული.

ამხ. ვიშინსკი: — მაშასადამე ოქმში ეხლა სიმართლეს ამბობთ?

ტორნტონი:—ეხლა სიმართლეს ვამბობ.

ამხ. ვიშინსკი:—მაგრამ რატომ დასწერეთ თქვენ ასე და არა სხვანაირად? თქვენ სთქვით: „ვფიქრობ, რომ ეს ასეა". გეკითხებით, როცა თქვენ აღელვებული იყავით, რატომ ფიქრობდით სწორედ ასე და არა სხვანაირად? იქნებ თქვენ გაიძულეს?

ტორნტონი:—არა.

ამხ. ვიშინსკი: —თქვენ ნებაყოფლობით სთქვით ეს?

ტორნტონი:—ნებაყოფლობით.

ამხ. ვიშინსკი:— შეიძლება თქვენს წინააღმდეგ მიმართეს განსაკუთრებულ მეთოდებს?

ტორნტონი:—არა.

ამხ. ვიშინსკი:—გაწამეს თქვენ?

ტორნტონი:—არა.

ამხ. ვიშინსკი:—მესამე ხარისხი? *)

ტორნტონი:—არა.

ამხ. ვიშინსკი:—მე მეტი შეკითხვები არა მაქვს.

დამცველი კაზნაჩეევის მიერ ბრალდებული გუსევის დაკითხვის დროს გუსევმა განაცხადა, რომ მაკდონალდმა ურჩია მას, ორგანიზაციის ჩავარდნის შემთხვევაში, უარყოს ყოველგვარი კავშირი მასთან (მაკდონალდთან) და შეჰპირდა, რომ თუ საჭირო იქნება მოუხერხებს საზღვარგარედ გაქცევას. დამცველი კაზნაჩეევი სთხოვს გუსევს დაახასიათოს მისი ეხლანდელი დამოკიდებულება თავის მავნებლურ მუშაობისადმი. გუსევი ამბობს, რომ მასში ჯერ კიდევ დაპატიმრებამდე მოხდა გარდატეხა, დაპატიმრების შემდეგ მას არ დაუფარავს თავისი ბოროტმოქმედებანი და თუ შეუნარჩუნებენ სიცოცხლეს, იგი გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ გამოასწოროს თავისი დანაშაული.

მაკდონალდის დამცველი სმირნოვი ეკითხება გუსევს, რით აიხსნება ის, რომ მავნებლური აქტები განხორციელებულ იქნა მაკდონალდის ზლატოუსტთან გამგზავრების შემდეგ. გუსევი აცხადებს, რომ მან ტორნტონისა და მაკდონალდისაგან მიიღო დირექტივები, რომ ყველა დასახული სადივერსიო აქტები გატარებულიყო მხოლოდ მათი ზლატოუსტში არაყოფნის დროს. შემდეგ სმირნოვი გუსევს აძლევს შეკითხვას მის მიერ მაკდონალდისგან მიღებულ ფულადი თანხების შესახებ. გუსევი აღნიშნავს, რომ მან მაკდონალდისაგან მიიღო 5 ათასი მანეთი უკანასკნელის გამგზავრების წინ.

მაკდონალდის დამცველი სმირნოვი ცდილობს დაიჭიროს ტყუილში გუსევი და აღნიშნავს, რომ, თითქოს, მას წინად კვლევა-ძიების დროს არაფერი უთქვამს ამ 5 ათასი მანეთის შესახებ. თავმჯდომარე ამხ. ულრიხი აჩერებს დამცველს და აქვეყნებს გუსევის მიერ კვლევა-ძიების დროს მიცემულ ჩვენებას ამ 5 ათასი მანეთის შესახებ.

ტორნტონის დამცველი—ბრაუდე ეკითხება ტორნტონს, ადასტურებს თუ არა იგი გუსევის ჩვენებას ვიტვიცკისთან შეხვედრის შესახებ. ტორნტონი კვლავ ცდილობს დაამტკიცოს, რომ მან არაფერი არ იცოდა გუსევის მავნებლური მუშაობის შესახებ და რომ გუსევმა შეაგროვა ფირმისათვის ინფორმაცია, ფირმის მიერ მიწოდებული მოწყობილობის მუშაობის შესახებ, ქვაბების და ტრანსფორმატორების შესახებ. რათა დროზე აგვეცილებია თავიდან ავარიები.

ტორნტონი უარყოფს, რომ იგი აძლევდა ფულს გუსევს ინფორმაციის მიწოდებისათვის.

ამხ. ვიშინსკი ხელმეორედ მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს ტორნტონის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებისა და ბრაუდეს შეკითხვაზე გაცემულ პასუხს შორის. გამოძიების დროს ტორნტონმა განაცხადა, რომ, ფირმის ინტერესების თვალსაზრისით, მას ზლატოუსტი ნაკლებად აინტერესებს, ვინაიდან იქ იყო მხოლოდ ერთი პატარა ტურბინა, ხოლო დამცველს მან უპასუხა, რომ მას ესაჭიროებოდა ცნობები ზლატოუსტის ელექტროსადგურის მდგომარეობის შესახებ. ტორნტონი აღიარებს, რომ წინააღმდეგობას მართლაც აქვს ადგილი, მაგრამ მისი სიტყვები გაგებულ უნდა იქნას ისე რომ ზლატოუსტი მას აინტერესებდა უფრო ნაკლებად, ვიდრე დიდი სადგური. ტორნტონი, რომელიც აქამდე იძლეოდა ჩვენებას რუსულ ენაზე, იმ მიზნით, რომ თავი დაალწიოს ზუსტ ფორმულირებებს, გადადის რუსულიდან ინგლისურ ენაზე და შემდეგ ჩვენებას იძლევა თარჯიმნის მეშვეობით. სასამართლო აკმაყოფილებს მის თხოვნას თარჯიმნის მოწვევის შესახებ და ამასთან ერთად სასამართლოს თავმჯდომარე არკვევს. რომ ტორნტონი დაბადებულია პეტერბურგში და უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში სცხოვრობდა საბჭოთა კავშირში. ამის შემდეგ ტორნტონი კვლავ გადადის რუსულ ენაზე.

ამხ. ვიშინსკი აძლევს შეკითხვას ტორნტონის მიერ მაკდონალდისათვის 1.500 მანეთის გადაცემის შესახებ იმ პირთა დასაკმაყოფილებლად რომლებიც აწოდებდენ ცნობებს ზლატოუსტის სადგურის მდგომარეობაზე, პროკურორის შეკითხვაზე ტორნტონი უპასუხებს, რომ მან გადასცა მაკდონალდს 2.000 მანეთი. ამხ. ვიშინსკის შეკითხვაზე: თუ ეს ფული არ მიუცია მას ინფორმაციის საჭიროებისათვის, მაშინ რა მიზნებისათვის გაიღო მან ეს 2.000 მანეთი? ტორნტონს არ შეუძლია უპასუხოს რაიმე.

ამხ. როგინსკის და დამცველ სმირნოვის ზოგიერთი დამატებითი შეკითხვების შემდეგ გუსევის დაკითხვა დამთავრდა.

სხდომა გადაიდო 13 აპრილის დილის 10 საათამდე.

13 აპრილის დილის სხდომა

მოსკოვი, 13 აპრილი. 13 აპრილის დილის სხდომა დაიწყო ბრალდებულ სოკოლოვის დაკითხვით, რომელმაც აცნობა სასამართლოს, რომ 1918 წელს მექანიკურ-ტექნიკურ საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი შევიდა ჯარში, მსახურობდა მე-22 ზლატოუსტის პოლკის სასწავლო ასეულში გუსევთან ერთად. მონაწილეობას ღებულობდა ლაშქრობაში წითელი არმიის წინააღმდეგ. თეთრი არმიის დამარცხების შემდეგ, სოკოლოვი დარჩა ტომსკში და როცა ქალაქი დაიკავა წითელმა არმიამ, იგი, სოკოლოვი, მოეწყო სანიტრად სამხედრო ჰოსპიტალში. შემდეგ შევიდა სამხედრო-რადიო სკოლაში. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამხედრო რადიო-ტელეგრაფის სახელოსნოში. დემობილიზაციის შემდეგ, 1924 წელს ჩავიდა ზლატოუსტში და იქ დაიწყო მუშაობა მექანიკურ ქარხანაში, ხოლო შემდეგ — მეტალურგიულ ქარხანაში. 1932 წლის მაისიდან მუშაობდა ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნის მთავარი მექანიკოსის თანაშემწედ ელექტრო ნაწილში, თვეში ღებულობდა 700 მანეთს.

სასამართლოს თავმჯდომარის, ამხ. ულრიხის მიერ მიცემულ კითხვებზე სოკოლოვმა განაცხადა, რომ იგი ეწეოდა მავნებლურ მუშაობას 1927 წლიდან ზლატოუსტის ელექტროსადგურის მაშინდელი უფროსის, ინჟინერ ვიტვიცკის წინადადებით. ვიტვიცკის დავალებით სოკოლოვმა შეაფერხა სადგურზე გადამცემი ტრანსფორმატორების შეთვის მუშაობა, ვესტინგაუზის ტურბოგენერატორის გადაყვანა არა მთავარ ალყზნებაზე და გააჩერა ცელლის ტურბინების მუშაობა. 1930 წლის იენისიდან, როცა იგი გუსევმა წარუდგინა მაკდონალდს როგორც „საიმედო კაცი" და საბჭოების წინააღმდეგ განწყობილი, სოკოლოვი მონაწილეობას ღებულობდა მაკდონალდის ბინაზე გამართულ „საღამოებში" (რომლებზედაც სწარმოებდა ანტისაბჭოთა ლაპარაკი, წარმოსთქვამდენ ანტისაბჭოთა ტოსტებს), ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ სოკოლოვი, მაკდონალდის დავალებით, შეუდგა ქარხნების მუშაობის სისტემატიურად შეფერხებას, ამავე დროს იგი აგროვებდა და აწვდიდა მაკდონალდს ცნობებს სამხედრო ქარხნების მუშაობის შესახებ. განაგრძობს რა ჩვენების მიცემას, სოკოლოვი ამბობს: „მაკდონალდი მეუბნებოდა მე — თქვენ და გუსევს გეკისრებათ ავარიების და სადივერსიო აქტების მოწყობა. ყოველივე ამის შესახებ თქვენ შეუთანხმდით გუსევს". გუსევი, პროკურორის ამხ. ვიშინსკის შეკითხვის საპასუხოდ, ადასტურებს, რომ მაკდონალდმა ნამდვილად უთხრა მას, რომ სოკოლოვი შეიძლება გამოყენებულ იქნას ავარიის შემუშავებული გეგმის განსახორციელებლად.

ამხ. ვიშინსკის, მოაგონებს რა მაკდონალდს მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას, მოჰყავს შემდეგი ამონაწერი მაკდონალდის ჩვენებიდან:

„წინად მიცემულ ჩვენებების დამატებით ვაცხადებ:—მე ვადასტურებ, რომ 1930 წლ. დამლევს, სოკოლოვთან საუბრის დროს, მე არ მიმიცია მისთვის კონკრეტული დავალება მოწყობილობის გაფუჭების შესახებ, აღვნიშნე, რომ მას და გუსევს ეკისრება მუშაობის ჩატარება მოწყობილობის გასაფუჭებლად და რომ იგი, სოკოლოვი, ამ საკითხზე უშუალოდ უნდა შეუთანხმდეს გუსევს". პროკურორის მიერ მაკდონალდისათვის მიცემულ შეკითხვაზე —რისთვის მისცა მან ასეთი ჩვენება, — მაკდონალდმა განაცხადა, რომ იგი „უფრო მიზანშეწონილად სთვლიდა ასეთი ჩვენების მიცემას დაკითხვის მაშინდელი პირობების დროს". არკვევს რა, თუ დაკითხვის როგორი პირობები არსებობდა მაშინ, ამხ. ვიშინსკი მიაქცევს სასამართლოს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ეხლახან წაკითხულ ჩვენებებს თავის საკუთარ ხელს აწერს მაკდონალდი. მაკდონალდი კითხულობს მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებებს და აცხადებს:

„კი, ამას მე მოვაწერე ხელი".

ამხ ვიშინსკი ეკითხება: — „რა პირობებში მოაწერეთ თქვენ ამას ხელი? თქვენ მიმართ ხომ არ ყოფილა გამოყენებული რაიმე განსაკუთრებული მეთოდები"?

მაკდონალდი:—არა.

მაკდონალდი ცდილობს უარყოს თავისი წინანდელი ჩვენება, რომელიც მან მისცა წინასწარი გამოძიების, დროს—12 მარტს იმის შესახებ, რომ მან ტორნტონისაგან მიიღო ფული ჯაშუშური მუშაობისათვის. მაგრამ მთელი რიგი შეკითხვების შემდეგ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მან მიიღო ფული „მეტრო-ვიკკერს"-ის კანტორის სამონტაჟო განყოფილების მთავარი ინჟინერის ტორნტონისაგან.

ამხ. ვიშინსკიმ უჩვენა მაკდონალდს მის მიერ 12 მარტს ინგლისურ ენაზე საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენება ამ საკითხზე.

ამხ. ვიშინსკის შეკითხვაზე, თუ რატომ სწერდა მაშინ იგი ერთს, ხოლო დღეს კი ცდილობს ილაპარაკოს სულ სხვა, მაკდონალდი, თარჯიმნის მეშვეობით, ამბობს, რომ „როცა მას წარუდგინეს ტორნტონის ჩვენება და მთელი რიგი სხვა ჩვენებები, მაშინ მან გადასწყვიტა, რომ, შექმნილი მდგომარეობის გამო, როცა მის წინააღმდეგ არსებობს ამდენი ჩვენება, მან უნდა მისცეს სწორედ ისეთივე ჩვენება, როგორიც არის საქმეში" და რომ განსაკუთრებით მასზედ იმოქმედა ტორნტონის ჩვენებამ, რომელმაც გამოამჟღავნა, რომ მან, ტორნტონმა, გამოიყენა მაკდონალდი ინფორმაციის შესაკრებად ზლატოუსტის რაიონის პოლიტიკურ, ეკონომიურ და სამხედრო მდგომარეობის შესახებ.

ამხ. ვიშინსკი: და გადასწყვიტეთ, რომ შემდეგი უარყოფა უსარგებლო იყო? სწორია?

მაკდონალდი:—კი.

ამის შემდეგ ამხ. ვიშინსკი აძლევს ტორნტონს მთელ რიგ შეკითხვებს მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებების შესახებ, რომელთა უარყოფასაც ეხლა ცდილობს ტორნტონი, რომელიც აღიარებს, რომ მაშინ მან მისცა არასწორი ჩვენება.

ამხ. ვიშინსკი: რატომ მიეცით თქვენ არა სწორი ჩვენება?

ტორნტონი: იმიტომ, რომ მაშინ მე ძალიან აღელვებული ვიყავი და დავკარგე გამბედაობა...

ამხ. ვიშინსკი აძლევს მაკდონალდს შემდეგ კითხვას:—„როგორ მოხდა, რომ თქვენ ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მოსამსახურე ღებულობდით ისეთ ცნობებს, რომლებსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ფირმასთან? ვისთვის ღებულობდით თქვენ ცნობებს ყუმბარების დამზადების შესახებ?

მაკდონალდი: არავისთვის, ჩემთვის...

ამხ. ვიშინსკი: — რისთვის გაინტერესებდათ თქვენ ყუმბარები?

მაკდონალდი: ცნობის მოყვარეობისათვის.

თავმჯდომარე ამხ. ულრიხი, აღნიშნავს რა, რომ ტორნტონმა წინასწარი გამოძიების დროს მისცა ჩვენება, ვითომდა, ისეთ მდგომარეობაში, როცა მან, როგორც იგი ამბობს, დაკარგა გამბედაობა, — ეკითხება ტორნტონს, თუ როდის დაუბრუნდა მას დაკარგული გამბედაობა 12 მარტს?

ტორნტონი: გამბედაობა დამიბრუნდა მე 4 აპრილს.

თავმჯდომარე: რომელ საათზე?

ტორნტონი: 6 საათზე..

ამხ. ვიშინსკი, აჯამებს რა სოკოლოვის ჩვენებას, ამბობს.

„ამრიგად სოკოლოვმა გუსევისაგან მიიღო 1,000 მანეთი. გუსევმა მაკდონალდისაგან მიიღო 1,000 მანეთი და კიდევ მეტი. ამას ადასტურებენ სოკოლოვი, გუსევი და მაკდონალდი. სოკოლოვი აგროვებდა და აწოდებდა სამხედრო ხასიათის ცნობებს, ეს დაადასტურეს სოკოლოვმა და მაკდონალდმა, რომელიც ღებულობდა ამ ცნობებს.

ამხ. ვიშინსკი აძლევს სოკოლოვს შეკითხვას — ასეა თუ არა?

სოკოლოვი: დიახ ასეა.

ამხ. ვიშინსკი: გუსევ, სწორია?

გუსევი: — დიახ, სწორია.

ამხ. ვიშინსკი: მაკდონალდ, სწორია?

მაკდონალდი: დიახ, სწორია.

ამხ. ვიშინსკი: მე არა მაქვს მეტი კითხვები სოკოლოვისადმი.

იწყება დაკითხვა ბრალდებულ მაკდონალდისა, რომელიც მოუთხრობს სასამართლოს, რომ მისი მავნებლური და ჯაშუშური მუშაობა დაიწყო მისი საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის ცოტა ხნის შემდეგ. 1928 წლის დამლევს იგი მუშაობდა მოსკოვში მოსკოვის პირველ ჰიდროელექტრო სადგურზე, შემდეგ ლენინგრადში — მე-5 ჰიდროელექტროსადგურზე. ლენინგრადში იგი აგროვებდა ტორნტონისათვის სამხედრო-ჯაშუშური ხასიათის ცნობებს.

ამხ. ვიშინსკი: რა მიზნებისათვის და რისთვის იყო საჭირო ეს ცნობები?

მაკდონალდი: ეს.. ჩემთვის იყო საინტერესო.

შემდეგ შეკითხვებიდან ირკვევა, რომ მაკდონალდი აგროვებდა და გზავნიდა ცნობებს საავიაციო მოტორების და პოლიგონებზე ზარბაზნების გამოცდის შესახებ. მაკდონალდის სიტყვით, ტორნტონი კმაყოფილი იყო მისი მუშაობით.

ამხ ვიშინსკი ტორნტონს აძლევს მთელ რიგ შეკითხვებს, მაკდონალდის ჩვენებებთან დაკავშირებით. ტორნტონი უპასუხებს ძალიან ფრთხილად, ყოველი სიტყვის აწონდაწონის შემდეგ. იგი ზოგჯერ ხმარობს ისეთ გამოთქმებს, როგორიც, მაგალითად, „მე გადავამლაშე" წინასწარი კვლევა-ძიების დროს, „ეს ძალიან მაგრად არის ნათქვამი" და სხვ. ტორნტონი ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი საბჭოთა კავშირში არ ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას. კითხვაზე, რატომ „ძალზე გადაამლაშა მან წინასწარი კვლევა-ძიების დროს". ტორნტონი კვლავ უპასუხებს, რომ მაშინ „დაჰკარგა გამბედაობა". ის ცნობები კი, რომლებსაც მისი დავალებით აგროვებდენ მაკდონალდი და გუსევი, თითქოს, იყო, არც მეტი არც ნაკლები, „ობივატელური ცნობები".

ტორნტონი ცდილობს პროკურორის ამხ. ვიშინსკის მთელ რიგ კითხვებზე პასუხისგაცემისაგან თავი დაიძვრინოს განცხადებით—„არ მახსოვს".

ამხ. ვიშინსკი: მაშ თქვენ არ გახსოვთ? თქვენ საერთოდ სუსტი მეხსიერება გაქვთ?

ტორნტონი: რიცხვებზე ცუდი მეხსიერება მაქვს.

ტორნტონის, მაკდონალდის და გუსევის შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ტორნტონი ჯაშუშური მუშაობისათვის ფულს აძლევდა მთელ რიგ პირებს. ინჟინერ დოლგოვისათვის მიცემული 3.000 მანეთი გატარებულ იქნა ფირმა „მეტრო-ვიკკერს"-ის წიგნებში, „გარდამავალი თანხების" ანგარიშში. ტორნტონი ცდილობს ამ სახსრების გაცემა ახსნას, როგორც „ზედმეტ საათებში მუშაობის", მივლინების ხარჯების და სხვ. ანაზღაურება.

პროკურორის მოადგილის ამხ. როგინსკის შეკითხვაზე:—რისთვის აგროვებდა იგი სამხედრო ხასიათის ცნობებს, ტორნტონი უპასუხებს: — „ეს ობივატელური ფაქტებია"... კითხვაზე—როგორ აღწევდა მასთან ეს „ობივატელური" ცნობები — ტორნტონი უპასუხებს: ჩემამდე ამ ცნობებმა შემთხვევით მოაღწია.

ამხ. ვიშინსკი: ვისგან?

ტორნტონი: ღმერთმანი არ ვიცი თუ დაწვრილებით ვილაპარაკებთ...

ამხ. ვიშინსკი: — გვითხარით მოკლეთ, ვისგან?

ტორნტონი ცდილობს თავი დაიძვრინოს პასუხისგან, იბნევა და, ბოლოს, აცხადებს რომ უბრალო პასუხი აქ არ გამოდგება რადგან მისი განცხადებით, ეს მას „ამხელს".

ამხ. როგინსკის მოჰყავს ცალკე ადგილები ტორნტონის ჩვენებიდან, რომელიც მან მისცა წინასწარი კვლევა-ძიების დროს რესპუბლიკის პროკურორის თანდასწრებით, სადაც მან დამნაშავედ სცნო თავი ჯაშუშობაში და აღიარა, რომ ჯაშუშურ მუშაობაში აბამდა რუს ინჟინერებს და ტექნიკოსებს, რომ მათ გასამრჯელოს აძლევდა ჯაშუშური მუშაობისათვის და, რომ ამ მუშაობას ორგანიზებულად ატარებდენ აგრეთვე ფირმა „მეტრო-ვიკკერს"-ის მთელი რიგი მუშაკები. ტორნტონი აღიარებს, რომ მან მართლაც მისცა ეს ჩვენებები, მაგრამ აცხადებს, რომ მისი ჩვენებანი ჩაწერილი იქნა არა მის მიერ არამედ ამხ. როგინსკის მიერ. ამხ. როგინსკი სთხოვს სასამართლოს წარუდგინოს ტორნტონს მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებანი და შეეკითხოს მას, ბრალდებულ ტორნტონს, ვინ დასწერა ისინი. ტორნტონი ათვალიერებს ჩვენებათა ტექსტს.

ამხ. როგინსკი: ეს თქვენი ხელია?

ტორნტონი: ჩემია.

კითხულობენ ტორნტონის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა 19 მარტს:

„ეს ჩვენებანი მე მივეცი სრული ნებაყოფლობით, ყოველგვარი გავლენისა და ზემოქმედების გარეშე. ჩვენებანი ჩემ მიერ მიცემულია ინგლისურ ენაზე და მოწერილია საკუთარი ხელით. ჩემი და გუსევის, და ჩემი და კუტუზოვას დაპირისპირების ოქმი, რომელიც მე წარმომიდგინეს ამ დაკითხვაზე და, რომელშიაც მე დავადასტურე ჩემი ჯაშუშური მუშაობის ფაქტი და ჩემი კავშირი სხვა პირებთან, მე წავიკითხე და არავითარი შენიშვნის გაკეთება ოქმის შესახებ არ შემიძლია. ოქმი ჩაწერილია სწორად და დადასტურებულია ჩემი ხელმოწერით. ოქმი მე წავიკითხე. ტორნტონი. 1933 წლ. 19 მარტი".

ამხ. ვიშინსკი: თქვენ ადასტურებთ, რომ ნებაყოფლობით, უყოველგვარი გავლენისა და უყოველგვარო ზემოქმედების გარეშე მიეცით ეს ჩვენებანი?

ტორნტონი:—დიახ.

ამხ. ვიშინსკი: თქვენ წაიკითხეთ და შემდეგ ხელი მოაწერეთ?

ტორნტონი: დიახ, და ეხლა სასამართლო მათ გაარჩევს.

შემდეგ ტორნტონი ცდილობს ახსნას, რომ მაშინ მისცა არასწორი ჩვენება, ვინაიდან დაშინებული იყო.

თავმჯდომარე: როგორ დაშინებული? ვის მიერ დაშინებული?? სად და ვინ დაგაშინათ თქვენ? გვიპასუხეთ ზუსტად, როდის დაგაშინეს, რომელ ოთახში?

ტორნტონი: არა, მე ისე მეშინოდა და რისი—თვითონაც არ ვიცი.

ამხ. ვიშინსკის კითხვაზე ხომ არ დაუმახინჯებიათ, გაუყალბებიათ ან შეუცვლიათ მისი ჩვენება — ტორნტონი უარყოფითად უპასუხებს.

ამხ. ვიშინსკი აძლევს მთელ რიგ კითხვებს მაკდონალდს, რომელიც აცხადებს, რომ იგი სწვავდა ყველა წერილებს, რომლებსაც გუსევისაგან ღებულობდა.

უპასუხებს რა თავის დამცველს—სმირნოვს, მაკდონალდი აღნიშნავს, რომ იგი ინგლისში კვირაში ღებულობდა 2 ნახევ.—3 გირვანქა სტერლინგს, ხოლო რუსეთში ფირმა მას აძლევს 12 გირვანქა სტერლინგს კვირაში. საბჭოთა ვალიუტით იგი ღებულობდა 189 მანეთს თვეში. ხოლო დანარჩენი თანხა ფირმას გადაჰყავს მის მიმდინარე ანგარიშზე ლონდონში. მაკდონალდი ამბობს, რომ მას ფირმის მოსკოვის კანტორის დიდი ვალი დაედო, რადგან იგი ბევრ ფულს ხარჯავდა საკუთარ საჭიროებაზე. ტორნტონის დამცველი ბრაუდე ცდილობს დაამტკიცოს, რომ ტორნტონი მაკდონალდს ფულს აძლევდა პირად საჭიროებისათვის და ამის დასამტკიცებლად სასამართლოს ურდგენს დოკუმენტს მაკდონალდის მიერ ლონდონიდან ტორნტონისათვის 66 გირვანქა სტერლინგის გადმოგზავნის შესახებ, ვითომდა, ტორნტონისადმი დავალიანების დასაფარავად.

შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ტორნტონმა ინგლისიდან მაკდონალდისაგან მიიღო 66 გირვანქა სტერლინგი და ამ ფულით ერთ-ერთ გერმანელ სპეციალისტისაგან იყიდა საბჭოთა ვალიუტა 2,000 მანეთის რაოდენობით. ტორნტონი აღიარებს, რომ საბჭოთა ვალიუტის ყიდვის ეს აქტი უკანონოა. ამხ. ვიშინსკის კითხვაზე, აქვს თუ არა რაიმე დამოკიდებულება ფირმასთან მის მიერ მაკდონალდისათვის ფულადი ანგარიშის გასწორებას, ტორნტონი უარყოფითად უპასუხებს. მაშინ ამხ. ვიშინსკი ეკითხება, მაშ რატომ არის რომ მისი პირადი ანგარიშები მაკდონალდთან გატარებულია „მეტროპოლიტენ - ვიკერს"-ის მოსკოვის კანტორის პირადი ანგარიშების წიგნში, რომელშიაც აღნიშნულია 2.000 მანეთის მიცემა მაკდონალდისათვის.

ტორნტონს არ შეუძლია აუხსნას სასამართლოს რატომ იქნა გატარებული ეს თანხა წიგნებში, რომელთა ანგარიშები უნდა გამოხატავდენ მხოლოდ ფირმის ურთიერთობას მის მოსამსახურეებთან.

დილის სხდომის დასასრულს სასამართლო გადადის ბრალდებულ ტორნტონის დაკითხვაზე.

13 აპრილის საღამოს სხდომა

მოსკოვი, 13 აპრილი. საღამოს სხდომაზე გრძელდება ბრალდებულ ტორნტონის დაკითხვა. ამხ. როგინსკი ეკითხება ტორნტონს: აძლევდა თუ არა ის, ტორნტონი, ან სხვა ვინმე „მეტრო-ვიკკერს"-ის მოსკოვის კანტორის ხელმძღვანელ პირთაგან დავალებებს მონტიორებს ან მემონტაჟე ინჟინერებს — შეგროვებიათ რაიმე ინფორმაცია და რაიმე ცნობა ელექტრო სადგურებზე.

ტორნტონი: დიახ, ისინი მე ცნობებს მაწვდიდენ.

მაკდონალდი ადასტურებს, რომ ტორნტონისაგან მას დავალებული ჰქონდა ცნობების შეგროვება. ტორნტონი ახლა, გასამართლებაზეა, უარყოფს ამას, თუმცა მაკდონალდთან დაპირისპირებისას წინასწარ კვლევა-ძიების დროს, მან აღიარა, რომ მაკდონალდს აძლევდა დავალებებს. შეეგროვებია ცნობები, როგორც ეს დაადასტურა გუსევთან დაპირისპირების დროსაც. მაგრამ ის აღიარებს, რომ მაკდონალდისაგან მას არა ერთხელ მიუღია ცნობები.

ამხ. როგინსკი ეკითხება: რა ხასიათისა იყო ეს ცნობები? შეეხებოდა თუ არა ეს ცნობები სამხედრო წარმოებას, ყუმბარების დამზადებას, ყუმბარების ტიპებს, სამხედრო საამქროების გაფართოებას და სხვა?

მაკდონალდი: დიახ, მართალია.

ამხ. როგინსკი: სწორედ ამ ცნობებს ღებულობდით თქვენ გუსევისაგან და აწვდიდით მათ ტორნტონს?

მაკდონალდი: დიახ.

— რისთვის ესაჭიროებოდა ასეთი „ობივატელური" ცნობები ტორნტონს, — ეკითხება ამხ. ვიშინსკი განა მათზეა დამოკიდებული ტურბოგენერატორის, ტურბინის საზეთურის მუშაობა? ამ კითხვებზე ტორნტონი უარყოფითად უპასუხებს და იძლევა უკვე ახალ ახსნა-განმარტებას. ეს ცნობები ტორნტონს სჭირდებოდა, მისი სიტყვით, იმიტომ, რომ „ვიკერსის [illegible]" კრედიტებს აწვდის საბჭოთა კავშირს.

ამხ. ვიშინსკი: ესე იგი, თქვენ ამოწმებდით საბჭოთა კავშირის კრედიტუნარიანობას თქვენი აგენტების საშუალებით, თქვენ ამოცანად ისახავდით შეგემოწმებიათ საბჭოთა მთავრობის კრედიტუნარიანობა?

ტორნტონი: დიახ.

ამხ. ვიშინსკი: ნება მომეცით გამოვიყვანო ასეთი დასკვნა: თქვენ საკუთარი აგენტების — გუსევების სოკოლოვების და სხვათა საშუალებით ამოწმებდით, თუ რამდენად მტკიცეა საბჭოთა ხელისუფლება. მართალია?

ტორნტონი: დიახ, თანახმა ვარ.

ამხ. ვიშინსკი: თქვენ გაინტერესებდათ „მუშების ყოფა-ცხოვრება და პოლიტიკური განწყობილება" იმისათვის რომ წარმოდგენა გქონოდათ საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცეზე? მართალია თუ არა?

ტორნტონი: დიახ.

ტორნტონის შემდეგი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ჯაშუშურ ცნობებს აგროვებდენ „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის ფირმის სხვა ინჟინერებიც — კუშნი, ოლეინიკი, ნორდვოლი და სხვ. ტორნტონს არ შეუძლია, ყველაფერი ეს არ აღიაროს, მაგრამ მას ძალიან არ მოსწონს სიტყვა „ჯაშუშური".

დაკითხული მონკჰაუზი არ უარყოფს, რომ ინფორმაციას აგროვებდენ, რომ მას ლონდონში გზავნიდენ. ფირმის ყველა აგენტები საბჭოთა კავშირში ვალდებული იყვნენ მიეწოდებიათ მონკჰაუზისათვის ეს ცნობები სამსახურებრივი მოვალეობის წესით.

ამხ. როგინსკი ასახელებს მთელ რიგ გვარებს ლევინსონს ალექსეევ - პოპოვს, შლიუშელს, ვიტვიცკის, გუსევს [illegible], ზორინს ზივერტს კრაშენინნიკოვს რომელნიც არ იმყოფებოდენ „მეტრო-ვიკკერს"-ის სამსახურში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იძლეოდენ ტორნტონის და მონკჰაუზისათვის საინტერესო ცნობებს. ამ ფაქტს არც ტორნტონი, არც მონკჰაუზი არ უარყოფს.

ამხ. როგინსკი: მაშასადამე თქვენი მოსამსახურეების გარდა, თქვენ გყავდათ კიდევ ისეთ პირთა მთელი ჯგუფი, რომელნიც თქვენი მოსამსახურეების შემადგენლობაში არ შედიოდა, მაგრამ რომელნიც თქვენთვის განსაზღვრულ ინფორმაციას აგროვებდენ?

ტორნტონი: აგროვებდა.

ამხ. როგინსკი: გაძლევდენ განსაზღვრულ ინფორმაციას, თქვენ კი მას ღებულობდით?

ტორნტონი: დიახ, ჩვენ ვღებულობდით თუ რა ხასიათის იყო ეს ინფორმაცია, ამას ნათლად გვიჩვენებს ფირმა „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის მონტიორის ბრალდებულ ოლეინიკის პასუხი. ოლეინიკი იუწყება, რომ ცნობები ეხებოდა რკინის გზის ტრანსპორტის მუშაობას, სამხედრო ტვირთ ზიდვას. ჯარების გადაყვანას, სამხედრო სა[illegible], სამხედრო ქარხნის მდგომარეობას და სხვ.

ტორნტონი ცდილობს თავი დაიძვრინოს პასუხის გაცემისაგან იმ კითხვებზე, რომლებიც ეხება ზლატოუსტში ყუმბარების წარმოების შესახებ ცნობების შეგროვებას ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას აინტერესებდა ეს მხოლოდ „ობივატელურად". ტორნტონი ცდილობს უარყოს სამხედრო ხასიათის ცნობების შეგროვების ფაქტი, მას შემდეგაც კი. როცა ოლეინიკი და კუტუზოვა აღიარებენ, რომ ტორნტონი და მონკჰაუზი ასეთ დავალებებს იძლეოდენ. ბრალდებული კუტუზოვა უჩვენებს, რომ მასთან არა ერთხელ გამართულა მოლაპარაკება ტორნტონსა და მონკჰაუზს შორის, რომლებიც ხაზავდენ სადგურების დანგრევის, მოწყობილობის გაფუჭების და ავარიების გეგმას. კუტუზოვას თანდასწრებით ისინი მისი სიტყვით. იმიტომ საუბრობდენ რომ მას არ ერიდებოდენ, კუტუზოვა „იქ თავისი კაცი იყო". ტორნტონი ადასტურებს. რომ ის არ ერიდებოდა კუტუზოვას თანდასწრებით ესაუბრა „საქმიან თემებზე".

ამხ. ვიშინსკის კითხვების საპასუხოთ ტორნტონმა უჩვენა რომ მის მიერ შეგროვილი ცნობები ინგლისში ეგზავნებოდა ტორნერ რიჩარდს, „მეტროპოლიტენ-ვიკერს"-ის დირექტორ ადმინისტრატორს, რომელიც 1923 წლიდან დაწყებული თითქმის ყოველ წელიწადს ჩამოდიოდა საბჭოთა კავშირში. რიჩარდსი, როგორც ტორნტონი აღნიშნავს, 1917 წელს იყო მოსკოვში, შემდეგ პეტროგრადში ბრიტანეთის ვესტონ—გაუზის წარმომადგენლად, 1918 წელს რიჩარდი შედიოდა არხანგელსკში მყოფ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მომქმედ ბრიტანულ ინტერვენციულ ჯარებში. როგორც ინგლისის კონტრდაზვერვის („ინტელიჯენს-სერვის") ოფიცერი.

მონკჰაუზი რომელიც ამავე დროს შედიოდა ბრიტანეთის იმავე ინტერვენციული ჯარების შემადგენლობაში, ამტკიცებს, რომ რიჩარდსი მართლაც იყო კონტრდაზვერვის ოფიცერი 1918 წელს, შემდეგ დაბრუნდა ინგლისში და უფრო გვიან. 1918 წელს, არა ლეგალურად გადავიდა საბჭოთა კავშირის საზღვარზე ფინეთში, ამხ. ვიშინსკის თხოვნით სასამართლოს წევრი ამხ. მარტენსი აქვეყნებს ინგლისურ ენაზე ტორნტონის 13 მარტის ჩვენებას. ამხ. ვიშინსკი ნაწილნაწილად კითხულობს რუსულ ენაზე ამ ჩვენებას, რომელიც ასე იწყება:

„მთელ ჩვენ ჯაშუშურ მუშაობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობას უწევდა ბრიტანეთის მზვერავი ნაწილი აგენტ რიჩარდსის საშუალებით, რომელსაც უკავია კომპანია „მეტროპოლიტენ ვიკერს ელექტრიკალ-ექსპორტ"-ის დირექტორ ადმინისტრატორის პოსტი.

ტორნტონი: მე მსურს უარვყო ეს დოკუმენტი მთლიანად.

თავმჯდომარე: მარტო თქვენი სურვილი არ კმარა.

ამხ. ვიშინსკი: ხომ თქვენ დასწერეთ

ტორნტონი: მე დავწერე.

ამხ. ვიშინსკი: რატომ აბრალებთ რიჩარდს.

ტორნტონი: მე ვიცი, რომ მაინც ცილი დავწამე.

ამხ. ვიშინსკი განაგრძობს ბრალდებულ ტორნტონის ჩვენების კითხვას. აი ჩვენების ტექსტი.

ბრიტანელ ქვეშევრდომის ინჟინერ ლ. ჩ. ტორნტონის 1933 წლის 13 მარტის ჩვენების ოქმი

(თარგმანი ინგლისურიდან)

მთელს ჩვენს ჯაშუშურ მუშაობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობას უწევს ბრიტანეთის მზვერავი ნაწილი („ინტელიჯენს-სერვის" თარგმ.). მისი აგენტის ჩ. ს. რიჩარდსის საშუალებით, რომელსაც უკავია კამპანიის „მეტროპოლიტენ-ვიკერს — ელექტრიკალ-ექსპორტ"-ის დირექტორ ადმინისტრატორის პოსტი.

ჯაშუშურ მუშაობას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხელმძღვანელობას უწევდით მე და მონკჰაუზი—წარმომადგენლები ზემოთ ხსენებული ბრიტანული ფირმისა, რომელიც ოფიციალური შეთანხმების მიხედვით არის ტურბინების და ელექტრო-მოწყობილობის მიმწოდებელი საბჭოთა მთავრობისათვის, აგრეთვე ტექნიკური დახმარების გამწევი.

ჩ. ს. რიჩარდის ინსტრუქციის თანახმად, რომელიც მე მქონდა მიცემული, ამ მიზნით ბრიტანელი პერსონალი თანდათან ებმება ჯაშუშურ ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მისი ჩამოსვლის შემდეგ და მას ეძლეოდა ინსტრუქციები ჩვენთვის საჭირო ინფორმაციის მოწოდების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ჩვენთან სამსახურში მყოფ ბრიტანეთის ქვეშევრდომ მთელი პერსონალიდან 27 კაცი ეწეოდა ჯაშუშურ მუშაობას, აქედან 15 კაცი. სახელდობრ:

მონკჰაუზი, ბერკი, შიპლი, კოკსი, რიდლი, პოლიტი, ტორნტონი, მაკდონალდი. უოტერსი, ტერლი. ანნისი ა, ნორდვოლი, სტროტერსი, ანნისი ზ. კლარკი, ეწეოდენ ეკონომიურ და პოლიტიკურ შპიონაჟს, აგრეთვე საბჭოთა კავშირის თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევას. დანარჩენი 12 კაცი. სახელდობრ:

თული, რიჩარდსი ჩ.ს. ფალოუსი, ჯოლლი, კუშნი, ნოელი; კორნელიუ, გრეგორი, ჩარნოკი, მაკრაკენი, სმიტა. ვატმოუ ეწეოდენ პოლიტიკურ და ეკონომიურ ჯაშუშობას.

1933 წლის 11 მარტისათვის ჯაშუშურ მუშაობას ეწეოდენ შემდეგი პირები:

ნორდვოლი —ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა და თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევა.

გრეგორი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა.

პოლიტი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა და თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევა.

ვატმოუ-ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა.

რიდლი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა და თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევა.

ტორნტონი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა და თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევა.

მონკჰაუზი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა და თავდაცვითი და შეტევითი შესაძლებლობათა გამოკვლევა.

კუშნი—ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობა.

ჩემს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ზემო აღნიშნულ პირთა ჯაშუშური მუშაობის ფაქტებს მე დავასახელებ შემდეგ ოქმებში.

ლესლი ჩ. ტორნტონი.
13 მარტი 1933 წელი.

ამხ. ვიშინსკი ყოველ ნაბიჯზე ამხელს ტორნტონს, რომელიც დაჟინებით ამტკიცებს, რომ „ასე დასწერა. მაგრამ ეს ასე არ არის".

— თქვენ არ ამბობდით მართალს, მაგრამ ეს თქვენი „ნათქვამი" ეთანხმება იმას, რასაც სასამართლოში ამბობს მაკდონალდი.

ტორნტონი: — კი.

ამხ. ვიშინსკი: —როგორ მოხდა, რომ თქვენს ცხრილში ჩვენ წავაწყდით ზოგიერთ ისეთ პუნქტებს, რომლებიც უკვე დადასტურდა აქ მაკდონალდის, ოლეინიკოვის და კუტუზოვას ჩვენებით?

ტორნტონი:—თითქოს ყველაფერი ეს ერთი საქმეა.

ამხ. ვიშინსკი როგორ შეგეძლოთ თქვენ ამ ჩვენებაში, როცა თქვენ, როგორც ეხლა ამბობთ იყავით აღელვებული. ასეთი სიზუსტით დაგესახელებიათ რიცხვი 27 და ეს გარემოება ეთანხმება იმ ცნობებს რომლებიც თქვენ შემდეგ განმარტეთ? თქვენ ეხლა შეამოწმეთ და სწორად სთქვით — 27. თუ თქვენ ნამდვილად აღელვებული იყავით, როგორ შეგეძლოთ დაგემახსოვრებიათ ციფრი ხოლო რაკი თქვენ სწორად დაიხსომეთ ეს ციფრი მაშინ ნება მიბოძეთ ეჭვი შევიტანო იმაში, რომ თქვენ ასე აღელვებული იყავით.

ტორნტონი:—მე ნამდვილად აღელვებული ვიყავი.

ამხ. ვიშინსკი: —მაგრამ არა იმდენად, რომ დაგვიწყებოდათ ციფრი?

ტორნტონი:—არ ვიცი ეს ციფრები ჩემის აზრით სწორია.

ამხ. ვიშინსკი. ჩემი აზრითაც სწორია,

ტორნტონი:—მაგრამ მე უარს ვაცხადებ სამხედრო ჯაშუშობაზე. მე ვამბობ რომ ჩემი ჩვენება სიცრუეა.

ამხ. ვიშინსკი: მაგრამ საჭიროა გამორკვევა. თქვენ ამბობთ, რომ აღელვებული იყავით, ხოლო ციფრი 27 არის სწორი ციფრი. თქვენ სწორად გაჰყავით 15 და 12 კაცზე.

ტორნტონი: მე მქონდა სია და პირდაპირ გავუსვი ხაზი ანგარიშმიუცემლად.

ამხ. ვიშინსკი: მიპასუხეთ უკანასკნელ კითხვაზე:—რითი ხელმძღვანელობდით თქვენ როცა ზოგს აკუთვნებდით ეკონომიური და პოლიტიკური ჯაშუშობის კატეგორიას, ხოლო ზოგს კი ეკონომიურ პოლიტიკურს და ისიც სამხედროს, ესე იგი თავდაცვითი და შეტევითი ჯაშუშობის კატეგორიას. მაგალითად, ნორდვოლი ეწეოდა ეკონომიურ და პოლიტიკურ ჯაშუშობას, პოლიტი—ასეთივე ხასიათის ჯაშუშობას, ვატმოუ—არა სამხედრო ხასიათის ჯაშუშობას, კუშნი—არა სამხედრო ხასიათის ჯაშუშობას. ხოლო მონკჰაუზს კი მიუმატეთ სამხედრო ჯაშუშობა.

ტორნტონი: ეს ისე შემთხვევითაა.

ამხ. ვიშინსკი: ისევ ანგარიშის მიუცემლად?

ტორნტონი: დიახ.

ამხ. ვიშინსკი: რა მიზანს ისახავდით, როცა ამას ჩადიოდით? მე გეკითხებით რისთვის ჩადიოდით ამას?

ტორნტონი: ეს მე არ ვიცოდი. მაგრამ მთხოვეს, რომ [illegible] ამაში.

ამხ. ვიშინსკი: და თქვენ დააკმაყოფილეთ თხოვნა?

ტორნტონი: მე დავაკმაყოფილე ეს თხოვნა.

ამხ. ვიშინსკი: მე მეტი შეკითხვა არა მაქვს.

13 აპრილის საღამოს სხდომის მეორე ნაწილში ბრალდებულ ტორნტონის დამცველი ბრაუდე აძლევს ტორნტონს მთელ რიგ ბიოგრაფიული ხასიათის შეკითხვებს, აგრეთვე აძლევს მას შეკითხვას იმ პირთათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ, რომლებიც ტორნტონის მიერ ჩაბმული იყვნენ ჯაშუშურ მუშაობაში.

ბრალმდებლის შეკითხვებზე ბრალდებული კუტუზოვა აცხადებს. რომ ტორნტონი და მონკჰაუზი არ მალავდენ მისგან თავის საიდუმლოებას და ადასტურებს, რომ მან იცის, რომ ტორნტონი აწარმოებდა არალეგალურ მუშაობას, აბამდა ამ მუშაობაში რუს ინჟინერებს, მონტიორებს, აძლევდა მათ ქრთამს და მათთვის აწარმოებდა ჩანაწერებს სპეციალურ წიგნებში. ტორნტონი აღიარებს. რომ მან მისცა 3.000 მანეთი მხოლოდ ინჟინერ დოლგოვს და კიდევ რამდენიმე მონტიორს, ნამდვილად აწარმოებდა სპეციალურ წიგნებს, რომლებშიაც სწერდა ამ გასავალს, შემდეგ ატარებდა მათ ფირმის წიგნებში არ არსებულ საგასავალო მუხლების მიხედვით და რომ 9 ასეთი წიგნი ჩანაწერებით მან წაიღო ლონდონში 1932 წლის დეკემბერში. ტორნტონის მტკიცებას, რომ 3.000 მანეთი, რომლებიც სპეციალურად გატარებულია წიგნებში. მიეცა დოლგოვს სესხის სახით, აბათილებენ სხვა ბრალდებულები თავის ჩვენებებით, ამასთან ირკვევა, რომ ეს ფული დაფარულ იქნა 250 მანეთის „ტორგსინ"-ის ბონების სპეკულიატიურ ფასებში 3.000 მანეთად გაყიდვის გზით.

იმის გამო, რომ ინჟინერ დოლგოვის გვარი მოხსენებულია ბრალდებულთა მთელ რიგ ჩვენებებში, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობით გამოიტანა დადგენილება გამოიწვიოს ინჟინერი დოლგოვი ჩვენების მისაცემად.

ამით დამთავრდა სასამართლოს საღამოს სხდომა.

შემდეგი სხდომა შესდგება 14 აპრილს დილის 10 საათზე (ადს).

---

*) პროცესის დაწყებამდე ინგლისის პრესაში იყო ცნობები იმის შესახებ, რომ. თითქოს, ბრალდებულთა შეუფარდეს დაკითხვის ეგრედწოდებული „მესამე ხარისხი", რომელიც გამოიხატება კვლევა-ძიების განსაკუთრებულ, კანონით დაუშვებელ მეთოდებში. ტორნტონი იძულებული იყო თვითონ უარეყო ეს ცილის წამება.

ინგლის-გერმანიის სავაჭრო შეთანხმება

ბერლინი, 13 აპრილი. („პრავდა"-ს საკუთარი კორესპონდენტისაგან). გაზეთები აქვეყნებენ მოკლე ოფიციალურ ცნობას, რომ დამთავრდა მოლაპარაკება ინგლის-გერმანიას შორის. სავაჭრო შეთანხმების დადების შესახებ. მოლაპარაკება სწარმოებდა ლონდონში. ამასთან ინგლისი დასთანხმდა საგრძნობლად შეამციროს ტარიფები მთელ რიგ საქონელზე, რომელიც შედის გერმანიიდან თავის მხრით გერმანიამ იკისრა გაადიდოს ინგლისიდან შემოტანილ ქვანახშირის კონტინგენტი. ინგლის-გერმანიის შეთანხმება უახლოეს დროში გადაეცემა დასამტკიცებლად თემთა პალატას. გადაწყდა შეთანხმების დამტკიცებამდე არ იქნას გამოქვეყნებული დაწვრილებითი ცნობები ამ დათმობების შესახებ, რომელზედაც წავიდენ მხარეები (ადს).

მათემატიკური ფიზიკის კათედრა ეინშტეინისათვის კოლეჟ დე ფრანსეში

პარიზი. 12 აპრილი. განათლების მინისტრმა დე-მონზიმ შეიტანა თემთა პალატაში კანონპროექტი, რათა კოლეჟ დე ფრანსში მოეწყოს მათემატიკური ფიზიკის კათედრა ეინშტეინისათვის.

კოლეჟ დე ფრანსე არის თავისუფალი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც დაარსებულია 1530 წელს. იგი წარმოადგენს სამეცნიერო - საგამოკვლევო მუშაობის ცენტრს, სადაც სწარმოებს უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნის გაღრმავება. (ადს).

ვენაში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენელი

ვენა, 12 აპრილი. ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ახლად დანიშნული სრულუფლებიანი წარმომადგენელი ავსტრიაში ამხ. პეტროვსკი. (ადს).

იტალია და ავსტრო-გერმანიის კავშირი

ლონდონი, 12 აპრილი. როგორც „ტაიმს"-ის კორესპონდენტი რომიდან იუწყება, იტალიის ელჩს ვენაში ამას წინად დავალა მოუთითოს ავსტრიის მთავრობას, რომ იტალია ისევ უარყოფითად ეკიდება ანშლუსის (კავშირის) შესაძლებლობას. როგორც თავის დროზე იგი უარყოფითად მოეკიდა ავსტრია - გერმანიის საბაჟო შეთანხმების პროექტს. კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ავსტრიის კანცლერის რიგში ყოფნის დროს შეიძლება წინადადება მისცენ გამოარკვიოს თავისი პოზიცია ამ მხრით (ადს)

ყინულის მჭრელი „მალიგინი" მზადაა ახალ გამარჯვებათა მისაღწევად

ყინულისმჭრელი „მალიგინი". 13 აპრილი დილით. 12 აპრილს, „მალიგინი" რამოდენიმე საათს ტრიალებდა გრინგარბურგის ყურეში და ამოწმებდა. კომპასს, გუშინ გაეშურა ბარანცბურგის ნავსადგურს.

„მალიგინის" დამოუკიდებელი ლაშქრობა შპიცბერგენის საბჭოთა კოლონიაზე არა ნაკლებ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე მისი აწევა ჩრდილოეთის განივის 78 გრადუსით. კაპიტანი ფილატოვი მუშაობის ხანგრძლივი შეწყვეტის შემდეგ პირველად იძლევა ბრძანებას: „წინ სრული სისწრაფით" განვლეს დინამიტის აფეთქებით განმენდილი გზა. „მალიგინი" შევიდა აის-ფიორდის მთლიან ყინულებში, რომელთაც მთელი სიმძლავრით სჭრის (ადს).

სასამართლო - საგამომძიებლო და საკონტროლო კომისია-მუშგლეხინის ორგანოების მუშაკთა სამხარეო თათბირი

14 აპრილს, დილის 10½ საათზე გაიხსნა სასამართლო - საგამომძიებლო და საკონტროლო კომისია - მუშგლეხინის ორგანოების მუშაკთა ა.-კ. პირველი სამხარეო თათბირი. რომელიც მოწვეულია საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის მიერ.

თათბირი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ და ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მუშგლეხინის სახალხო კომისარმა ამხ. დოგადოვმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა თათბირის მიზანი და იუსტიციის და საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანები, საკავშირო მთავრობის მიერ რევოლუციური კანონიერების და სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ გამოცემულ დეკრეტებთან დაკავშირებით.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. შავერდოვას მოხსენება სასამართლო - საგამომძიებლო და საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის ორგანოების მუშაობის შესახებ რევოლუციური კანონიერებისა და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის ბრძოლაში. მომხსენებელმა მოგვცა სასამართლოს, პროკურატურის და საკონტროლო კომისია — მუშგლეხინის ორგანოების მუშაობის სრული ანალიზი, დასახა კონკრეტული გზები ისეთ ღონისძიებათა გატარებისათვის, როგორიცაა: არსებული დეფექტების აღმოფხვრა, საკონტროლო კომისია. — მუშგლეხინის კავშირის განმტკიცება სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოებთან და ბრძოლის შემდგომი გაშლა რევოლუციონური კანონიერების და სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის იმ გვარად, რომ მაქსიმალურად იქნენ ჩაბმული ამ ბრძოლაში კოლმეურნეობებსა, და საბჭოთა მეურნეობებსა და საწარმოებში არსებულ ხელისშემწყობი ჯგუფები. საკონტროლო საგუშაგოები, საწარმოო - საამხანაგო, სასოფლო და საკოლმეურნეო სასამართლოები, მსუბუქი კავალერიის ჯგუფები და სხვ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისარმა ამხ. ჯაფაროვმა, ამხ. ვაცეკმა, კავკასიის წითელდროშიან არმიის სამხედრო პროკურორმა ამხ. კაზარინსკიმ, სომხეთის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ და მთელმა რიგმა სხვა მუშაკებმა (ადს).

პარტიული მშენებლობა

საკოლმეურნეო უჯრედებმა უნდა უზრუნველყონ

სისტემატიური ხელმძღვანელობის და დახმარების გზით თვითეული კომუნისტის კლასობრივი სიფხიზლის ამაღლება და პრაქტიკულ მუშაობაში აღზრდა

ივანდიდის პარტუჯრედი მოწინავე რიგებში

(ხონის რაიონი)

ივანდიდის სასოფლო საბჭოსთან არსებული პარტიული უჯრედი მომსახურეობას უწევს სასოფლო საბჭოს და სამ. კოლმეურნეობას. კოლმეურნეობებში გაერთიანებულია 165 კომლი, 207 ჰექტარი სათესი ფართობით. ივანდიდში მხოლოდ უკანასკნელ ხანებში ჩამოყალიბდა უჯრედი. პარტმუშაობის გარდაქმნამდე კოლმეურნეობაში ფიზიკურად მუშაობდა მხოლოდ ორი კომუნისტი. პარტიის სხვა წევრები მუშაობენ რაიონის ცენტრში მეორეხარისხოვან სამუშაოზე. ასეთივე მდგომარეობა იყო კომკავშირის ხაზით. პარტიული უჯრედის ჩამოყალიბების შემდეგ კომუნისტები და კომკავშირელები, რომლებმაც უკანასკნელ წლებში გასწყვიტეს კავშირი მეურნეობასთან, გაიგზავნენ კოლმეურნეობებში სამუშაოდ.

გაიზარდა კომუნისტების გავლენა და ავანგარდული როლი. სიმონიძემ (პარტიის წევრია) გამოიმუშავა 203 შრომა-დღე, ხურმავამ კი 265 შრომა-დღე და სხვ.

ცალკე ბრიგადებში შეიქმნა პარტიული ჯგუფები, გამოიყო პარტორგანიზატორები. პარტორგანიზატორებს პარტიის და ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი დადგენილებები გადააქვთ ბრიგადებში და ჯგუფებში. გაძლიერდა პარტიის წევრების კლასობრივი სიფხიზლე და ბრძოლა საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის. ბრიგადირებად შერჩეულია დამკვრელი კოლმეურნე კომუნისტები. პარტუჯრედი სისტემატიურად ისმენს და პარტორგების მოხსენებებს.

პარტიული გავლენის და კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერების შედეგად კოლმეურნეობა განმტკიცდა სამეურნეო და ორგანიზაციული მხრივ. გასულ წელს კოლმეურნეობაში მიღებულ იქნა 6 კომლი.

შრომა-დღეები ყოველ ხუთ დღეში იწერება შრომის წიგნაკებში. 1932 წელში არც ერთ კოლმეურნიდან არ ყოფილა საყვედური შრომა-დღის დაკლების შესახებ. გათანაბრება, რომელსაც ადგილი ქონდა ბრიგადაში ნ. მაჭარაძის ხელმძღვანელობით დროულად იქნა გამომჟღავნებული და გამოსწორებული.

ივანდიდის პარტიულმა უჯრედმა გასული წლის დეკემბრიდან გაშალა მუშაობა მოსავლიანობის გასადიდებლად. იანვარში მოხნულ იქნა 25 ჰექტარი, თებერვლის მეორე ნახევრიდან დაიწყო მასიურად ადრეული ხვნა და დამთავრებულ იქნა 12 მარტისათვის. მანქანა-იარაღები მთლიანად შეკეთებულია.

კოლმეურნეობებში წელს სიმინდი უნდა დაითესოს 131 ჰექტარი, არაჩისი — 6 ჰექტარი, ჯუგანა — 12 ჰექტარი, სასილოსე ბალახი 6 ჰექტ., ბოსტანი — 5,5 ჰექტარი, სხვადასხვა ბალახები (იონჯა, სამყურა) 8 ჰექტარი.

გამწევი მუშა-პირუტყვი საკვებით უზრუნველყოფილია; ხვნის დაწყებამდე ხარები გადაყვანილ იქნენ გაძლიერებულ კვებაზე. უჯრედმა თავიდანვე ყურადღების ცენტრში დააყენა მუშა-ხარების მოვლის საქმე. გამოყოფილი იქნა სპეციალური ბრიგადა ხარების მოვლის ხარისხის შესამოწმებლად. ხარების კარგი მოვლისათვის დაჯილდოვებულ იქნენ ვ. ტაბიძე, ს. ტაბიძე, ე. ჩხიკვაძე, ა. მაჭარაძე, კ. რამიშვილი და სხვ. ცუდი მოვლისათვის ხარები ჩამოერთვა და საყვედური გამოეცხადა პეტრე გალდავაძეს, ხარის ცუდი მოვლისათვის საყვედური გამოეცხადა ნ. მაჭარაძეს, რამოდენიმე დღის შემდეგ კი შემოწმებულ იქნა მისა მაჭარაძისათვის მიბარებული ხარების მდგომარეობა და აღმოჩნდა კარგად მოვლილი.

უნდა აღინიშნოს, ის გარემოება, რომ პარტუჯრედმა თავიდანვე ყურადღების ცენტრში ვერ დააყენა ერთპიროვნულ მეურნეობის თესვისათვის მომზადება. ადრეული ხვნა დიდი დაგვიანებით დაიწყეს ერთპიროვნულ მეურნეებმა. კოლმეურნეობებს სათანადო დახმარება არ აღმოუჩენიათ ადრეული ხვნის დასამთავრებლად. არის მხოლოდ ცალკე შემთხვევები, როდესაც კოლმეურნეობებმა ღარიბ ინდ. მეურნეებს მოუხნეს მიწა.


ამხ. ძაძამია, პარტიის წევრი ტექნიკური წრის ხელმძღვანელი, დაჯილდოებულია დამკვრელი მუშაობისათვის

ამხ სტალინის სიტყვის დამუშავების შემდეგ პარტიული უჯრედის და ცალკე კომუნისტების კლასობრივი სიფხიზლე კიდევ უფრო გაძლიერდა. შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ კოლმეურნეობაში მოკალათებული იყვნენ უცხო ელემენტები, შრომის დეზერტირები, სიმულიანტები. კოლმეურნეობიდან გარიცხეს კ. სალინაძე, რომელიც დამრღვევ მუშაობას ეწეოდა ე. მენაბდე სიმულიანტი, ვ. მაჭარაძე სპეკულიანტი და კ. მენაბდე საკოლმეურნეო ქონების მითვისებელი. კოლმეურნეობაში მიღებულ იქნა 12 ღარიბი და საშუალო გლეხი.

ყოველივე ამას ივანდიდის პარტიულმა უჯრედმა მიაღწია რაიონულ კომიტეტის სწორი ოპერატიული და კონკრეტული ხელმძღვანელობით. რაიონული კომიტეტიდან უჯრედზე მიმაგრებული არიან პ. მგ. ამხანაგები, რომლებიც უჯრედს უწევენ უშუალო პრაქტიკულ დახმარებას.

ა. ბახტაძე, ვ. ფანცულაია

ვიბრძვით დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობაზე მონაწილეობის უფლებისათვის

(ქუთაისის რაიონი)

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილებამ სოლნცევის რაიონის კოლმეურნეობების „ისკრა"-ს ახალი მოსკოვის რაიონის „ვპერიოდი"-ს პარტუჯრედების მუშაობის შესახებ საგაზაფხულო თესვის სამზადისთან დაკავშირებით — ფართო გამოხმაურება ჰპოვა რაიონის პარტიულ ორგანიზაციაში.

იმ მიზნით, რომ კოლმეურნე მასების ფართო მონაწილეობით ყოფილიყო დამუშავებული აღნიშნული დადგენილება, ადგილებზე მიმაგრებულმა პ-მგ. ამხანაგებმა გამოჰყვეს თვითშემმოწმებელი ბრიგადები. პარტდღის სამზადისში ძირეული პარტორგულების აქტიური მონაწილეობით უზრუნველყოფილ იქნა პარტდღის წარმატებით ჩატარება მუხიანის, პატრიკეთის, ოფურჩხეთის, წყალტუბოს და სხვა საკოლმეურნეო პარტჯგუფებში.

22 მარტის დადგენილების დამუშავების დროს ამ საკოლმეურნეო უჯრედებში პარტწევრების დასწრება 90—95 პროცენტს აღწევდა, ამასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა აქტივობა.

მუხიანის სამანქანო - სატრაქტორო სადგურში პარტკრებაზე მოხსენების დამთავრების შემდეგ თანამოხსენებაში გამოსულმა ბრიგადის წევრებმა აღნიშნეს, რომ სადგურის სახელოსნოში ვერ სდგას თავის სიმაღლეზე ტრაქტორების რემონტიდან დროზე გამოშვების საქმე; 3 თვეა 8 ტრაქტორი რემონტშია, სახელოსნოში არ არის მოწესრიგებული შრომის ორგანიზაცია, არ არის მთლიანად დანერგილი სანარდო სისტემა და სხვა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ უბნებში ადგილი აქვს კოლმეურნეობების შრომა-დღეების წიგნაკებში დაგვიანებით ჩაწერას და სხვ.

ცხუნკურის კომუჯრედმაც მომზადებულად ჩაატარა ერთიანი პარტიული დღე. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ამხილეს მთელი რიგი დეფექტები, რომლითაც ადგილი აქვს უჯრედის მუშაობის პრაქტიკაში. პირველად ყოვლისა უნდა აღინიშნოს, პარტორგანიზაციების მუშაობის სისუსტე; საკითხებზე უმოქმედობას იჩენენ პარტიის წევრები: ბ. მესხი, კ. კაკაურიძე უჯრედის მიერ დაკისრებულ მოვალეობის შესრულებაში, პარტწევრი ლ. ბენიძე კი პარიკმახერობას ამჯობინებს კოლმეურნეობაში მუშაობას; ასეთ პარტწევრის მიმართ უჯრედს არ მიუღია გადამჭრელი ზომები.

კოლმეურნეთა ცხოველი მონაწილეობის და აქტივობის ნიშნის ქვეშ ჩატარდა კოლ. „წინსვლა"-ს პარტუჯრედის კრება. თვით შემმოწმებელმა ბრიგადებმა ამხილეს არსებული ნაკლოვანებანი, რომელიც აქვს თავის მუშაობაში „წინსვლა"-ს პარტიულ უჯრედს...

— საგაზაფხულო თესვის პერიოდისათვის ჩვენ შევძელით მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით ჩატარება — აღნიშნულ ბრიგადები, საწარმოო ბრიგადებში სწორადაა განაწილებული პარტძალები, მაგრამ არის სერიოზული დეფექტებიც, ჩამოვრჩით ხილეულის და ვაზის დარგვის საქმეში, სუსტად ვმუშაობთ საკოლმეურნეო აქტივთან აქა იქ ადგილი აქვს შრომა-დღეების აღრიცხვის მოუწესრიგებლობას (ბრიგადა № 4) ცალკე ბრიგადებში სოცშეჯიბრების ხელშეკრულების შემოწმება არ სწარმოებს და სხვა.

კოლმეურნეობა „წინსვლა"-ს პარტორგანიზაციამ ამავე კრებაზე განიხილა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 31 მარტის დადგენილება 25 მაისს საქართველოს დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობაზე მონაწილეობის უფლების მოპოვების მიზნით ბრიგადებმა აიღეს ვალდებულებანი თესვის გეგმების ბოლშევიკურად შესრულებისათვის და სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს ტყაჩირის „ლენინის გზით" და „ოქტომბერი"-ს კოლმეურნეობები.

ქუთაისის რაიონის სასოფლო და საკოლმეურნეო უჯრედებმა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილების საფუძველზე დამუშავებული ღონისძიებათა ნამდვილად გატარებით უნდა უზრუნველყონ თესვის გეგმის შესრულების მაღალი რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ვ. ლ.

22 მარტის დადგენილება კოლმეურნეთა მასებში

(ჩხარის რაიონი)

3 აპრილს საქ. კ. პ. (ბ) ჩხარის რაიონულმა კომიტეტმა მოიწვია პარტუჯრედებზე და კოლმეურნეობებზე მიმაგრებულ პასუხისმგებელ ამხანაგების თათბირი, რომელზედაც დამუშავებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილება „ისკრა"-ს და „ვპერიოდი"-ს საკოლმეურნეო უჯრედების შესახებ და „პრავდა"-ს 25 მარტის მოწინავე წერილი. მიმაგრებულ ამხანაგებს დაევალათ აღნიშნული საკითხის დამუშავება პარტკომკავშირის უჯრედებში და კოლმეურნეთა შორის.

წინასწარ შემოწმებულ იქნა, თუ როგორ გარდაქმნეს მუშაობა პარტუჯრედებმა „სოფლად მუშაობის შესახებ", ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე და რამდენად დაეუფლენ საკოლმეურნეო წარმოებას. შემოწმებამ გამოამჟღავნა, რომ ზოგიერთი უჯრედები კოლმეურნეობებს არ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობას. არ არის მიღწეული პარტკომკავშირული ძალების სწორი განაწილება საკოლმეურნეო „ბრიგადის თვითეულ რგოლში გამძღოლ სამუშაოებზე", სუსტია პარტორგების მუშაობა საკოლმეურნეო ბრიგადებში, ზოგიერთი კომუნისტები გაურბიან კოლმეურნეობაში მუშაობას (ს. თერჯოლა, ჩხარი და სხვა).

4 აპრილს რაიონში ჩატარებულ იქნა ერთიანი პარტდღე; პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებებზე საკოლმეურნეო აქტივთან ერთად დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილება და დასახულ იქნა პრაქტიკული ღონისძიებანი პარტმასიური მუშაობის საკოლმეურნეო ბრიგადებში გადატანისა და კოლმეურნეობებში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების მიზნით.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილება მუშავდება აგრეთვე კოლმეურნეთა საერთო კრებებზე. ამ მიზნით ჩატარებულ იქნება პოლიტდღე 12 კოლმეურნეობაში. უკვე გაშლილია მოსამზადებელი მუშაობა პოლიტდღის ჩატარებისათვის სოფ. თერჯოლას, ჩხარის, რუფოთის, საზანოს, ეწერის და თავაზის კოლმეურნეობებში.

შ. ქინქლაძე.

საკოლმეურნეო აქტივთან მუშაობა სუსტია

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილება „ისკრა"-ს და „ვპერიოდი"-ს საკოლმეურნეო უჯრედების მუშაობის შესახებ საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით და „პრავდა"-ს 25 მარტის მოწინავე წერილი კოლმეურნეთა ფართო მასებში დამუშავებისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა ლანჩხუთის რაიონში დაიწყო 29 მარტიდან.

2 აპრილს ჩატარებულ იქნა რიგს გარეშე პარტიული დღე. პარტიის რაიკომთან მოწვეულ საინსტრუქციო თათბირის შემდეგ მიმაგრებული ამხანაგები შეუდგნენ საკოლმეურნეო უჯრედებში სამზადისის ჩატარებას.

ორაგვის ღელის საკოლმეურნეო უჯრედი მოსამზადებელ მუშაობას შეუდგა 30 მარტს. საკოლმეურნეო ბრიგადებში ჩატარებულ იქნა საუბრები მომავალი პარტდღის მნიშვნელობის და ამოცანების შესახებ. გამოყოფილი ბრიგადების საშუალებით, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდნენ უპარტიო დამკვრელი კოლმეურნეები, შემოწმებულ იქნა საგაზაფხულო თესვისათვის მზადყოფნა, კომუნისტების ავანგარდული როლი და ძირეული პარტორგულების მუშაობა. 2 აპრილს ჩატარდა პარტიის და კომკავშირის უჯრედების ღია კრება საკოლმეურნეო აქტივის მონაწილეობით.

როგორც წინასწარ ჩატარებული შემოწმებიდან გამოირკვა ორაგვის ღელის საკოლმეურნეო უჯრედს თვალსაჩინო მიღწევები მოეპოვება ორგანიზაციულ პარტიული მუშაობის გარდაქმნის დარგში, რის შედეგადაც წარმატებით იქნა ჩატარებული საგაზაფხულო თესვისათვის მზადება, 10 მარტისათვის დამთავრებული იყო მანქანა-იარაღების შეკეთება. თავის დროზე გამოიყო და დაიჯავშნა მუშა - პირუტყვის საკვები, ხვნა - თესვის დაწყებამდე მუშა - საქონელი გადაყვანილი იქნა გაძლიერებულ კვებაზე. მოხნულია სიმინდის დასათესად 45 ჰექტ., ფართობი, მომზადებულია ნიადაგი 2 ჰექტ., ბოსტნეულისათვის და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სათესლე ფონდის დროულად გამოყოფას, კოლმეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილია მაღალ ხარისხოვანი სათესლე მასალით. დამთავრებულია ჩაის პლანტაციების რემონტი.

ამ მიღწევებთან ერთად უჯრედის მუშაობაში სერიოზულ დეფექტად უნდა ჩაითვალოს საკოლმეურნეო აქტივთან მუშაობის სუსტად გაშლა. საკოლმეურნეო უჯრედის მიერ არც კი არის დღემდე შესწავლილი და აღრიცხული საკოლმეურნეო აქტივი. სუსტად სწარმოებს მათში მასიურ პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ზოგიერთი საკოლმეურნეო ბრიგადებში შრომის დისციპლინა არა სდგას სათანადო სიმაღლეზე. უჯრედის კრების მიერ მიღებულია დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და დასახული ღონისძიებები როგორ უნდა გაშალონ მუშაობა პარტორგანიზაციებმა, მაგრამ არ სწარმოებს ამ დადგენილებათა შესრულების შემოწმება. ამის გამო ბრიგადებში არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, საკოლმეურნეო ბრიგადებში გამოყოფილი პარტორგანიზატორები კ. ჩხაიძე და წილოსანი სუსტად იბრძვიან საწარმოო დავალების შესრულებისათვის.

ორაგვის ღელის საკოლმეურნეო უჯრედმა საბრძოლო ამოცანად უნდა დაისახოს საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილების საფუძველზე პარტიულ მასიურ მუშაობის გარდაქმნა. ყურადღების ცენტრში უნდა იქნეს დაყენებული საკოლმეურნეო ბრიგადებში მასიური პოლიტიკური მუშაობის გაშლა, მტკიცე საკოლმეურნეო აქტივის შექმნა და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. მხოლოდ ამ გზით შესძლებს ორაგვის ღელის საკოლმეურნეო უჯრედი ნამდვილი ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობაზე.

ა. ჩხაიძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პარტკონფერენცია

13 აპრილს საღამოს 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლუბში გაიხსნა საუნივერსიტეტო პარტიული ორგანიზაციის პირველი პარტკონფერენცია. კონფერენცია გახსნა ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივანმა ამხ. მიშა გობეჩიამ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. კ. ორაგველიძე.

თავის მოხსენებაში ამხ. ორაგველიძემ ფართოდ გაშუქა უმაღლეს სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების როლი და ამოცანები: ბრძოლა სამეცნიერო ხარისხის ამაღლებისათვის, სტუდენტთა კადრების სოციალისტური აღზრდა, შრომის დისციპლინის ამაღლება და სასწავლო გეგმების შესრულების მაღალხარისხოვნობის უზრუნველყოფა და სხვ.

გასული წელი უმაღლესი სასწავლებლების პარტიული ორგანიზაციების სუსტი მუშაობით ხასიათდება. ეს უმთავრესად გამოიხატა იმაში, რომ სერიოზული გარღვევები იყო სასწავლო გეგმების შესრულების საქმეში; ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას სასწავლო დისციპლინის განმტკიცებას, მეორეხარისხოვან საქმედ სთვლიდნენ აკადემიურ წარმატების საკითხს. ფორმალური ხასიათს ატარებდა სოციალისტური შრომის მეთოდების გამოყენება მეცნიერული დონის ამაღლების საქმეში. არ სჩანდა კომუნისტების ავანგარდული როლი სასწავლო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, ვერ ეხმარებოდა პარტიული ორგანიზაცია უმაღლეს სასწავლებლების დირექციას კადრების სოციალისტური აღზრდის და განაწილების საქმეში და სხვ.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (გარეჯენის რაიონი) № 9 ბრიგადის დამკვრელი პარტორგი ამხ. გ. გულიაშვილი

ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შემდეგ უმაღლესი სასწავლებლებმა ნაწილობრივ მოახდინეს გარდატეხა თავიანთ მუშაობაში. კერძოდ ამ ორი თვის განმავლობაში თბილისის სახ. უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გაშალოს პარტმასიური მუშაობა, იბრძოლოს აკადემიური დონის ამაღლებისათვის.

უმაღლესი სკოლის და ტეხნიკუმების სასწავლო პროგრამების და რეჟიმის შესახებ ს.ს.რ.კ. ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის 1932 წლის 19 სექტემბრის დადგენილების განხორციელების საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა და ბოლომდე უნდა გამოასწორონ უმაღლეს სასწავლებლებში გასულ წელს დაშვებული დამახინჯებები.

ამხ. კ. ორაგველიძის მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ამხ. ივ. ვაშაყმაძემ (განათლების კომისარიატი), ერქომაიშვილმა, მინდაძემ, ბარათელიამ, სიჭინავამ კალანდარიშვილმა, კეკელიძემ და სხვ.

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად აღნიშნავდნენ, რომ თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ ორი თვის განმავლობაში საკმაო მუშაობა ჩაატარა შრომის დისციპლინის განმტკიცების, სამეცნიერო კადრების შერჩევის და აკადემიური დონის ამაღლების საქმეში.

ამასთან ერთად აღნიშნავდნენ შემდეგ დეფექტებს უკვე სამოსწავლო წლის მეორე სემესტრი მთავრდება და ზოგიერთ საგნებში ჯერ კიდევ არ არის სასწავლო პროგრამები დამუშავებული და დაყვანილი სტუდენტებამდე; ადგილი აქვს ლექტორების მიერ საათების გაცდენას და სხვ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც დასახულია სახ. უნივერსიტეტის პარტორგანიზაციის საბრძოლო ამოცანები.

ამის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პარტიული კომიტეტი.

პარტკომის პლენუმმა აირჩია ბიურო 11 წევრის და 3 კანდიდატის შემადგენლობით. სახ. უნივერსიტეტის პარტკომის პასუხისმგებელ მდივნად არჩეულ იქნა ხუფ. მინდაძე.

კონფერენციის მიერ მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნა ამხ. სტალინს, ს.კ.პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის მდივანს—ამხ. ლ. ბერიას, საქ. კ.პ. (ბ) ცეკას—ამხ. აღნიაშვილს და თბილისის კომიტეტს—ამხ. მელაძეს.

ალ. გვინჩიძე.

ვამუშავებთ 22 მარტის დადგენილებას

ცაიში, 12 აპრილი. კოლმეურნეობა „ისკრა"-ს და „ვპერიოდი"-ს უჯრედების შესახებ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილების დამუშავების მიზნით, პარტრაიკომის მიერ პარტუჯრედებზე მიმაგრებულ იქნა 23 პ-მგებელი მუშაკი. წინასწარ შემოწმებულ იქნა პარტუჯრედების ხელმძღვანელობა საგაზაფხულო თესვზე, აგრეთვე როგორ გარდაქმნეს უჯრედებმა პარტმასიური მუშაობა, კომუნისტების ავანგარდული როლი საკოლმეურნეო წარმოებაში და სხვა.

11 აპრილს რაიონში ჩატარებულ იქნა ერთიანი პარტდღე. პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ ღია კრებებზე ფართოდ დამუშავდა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 22 მარტის დადგენილება და დასახულ იქნა ღონისძიებანი ამ დადგენილების საფუძველზე მუშაობის გარდაქმნისათვის.

რ. ჭაბუკიანი.

16 აპრილს საღამოს 6 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში
გაიხსნება
ამხ. სტალინის სახ. შემკეთებელი ქარხნის
მე-2 პარტიულ-ტექნიკური კონფერენცია
დღის წესრიგი: ვაგონებისა და ორთქლმავლების შეკეთების ხარისხის შესახებ.
ტექნიკის ათვისების ამოცანები შემკეთებელ სახელოსნოში.
სტალინის სახ. შემკეთ. ქარხნის პარტკ. მდივანი ვ. დარსაძე.

საქ. ლითონის მრეწველობამ პირველი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

მძიმე მრეწველობის დანარჩენი დარგები საგრძნობლად ჩამორჩენ

მუშაობის ტემპები უნდა გაძლიერდეს

პირველი კვარტალის შედეგები საქ. მძიმე მრეწველობაში

საქართველოს მძიმე მრეწველობამ მეორე ხუთწლედის პირველი წელი შენელებული ტემპებით დაიწყო. იანვრის გეგმები მძიმე მრეწველობის ყველა დარგებში საგრძნობი გარღვევით შესრულდა. ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო ზოგიერთ დარგებს თებერვალში და მარტში, რამაც საბოლოო ანგარიშში დადებითი გავლენა იქონია საერთო კვარტალური მაჩვენებლების შესრულებაზე.

პირველი კვარტალის საწარმოო - საფინანსო გეგმების შესრულების დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა: ლითონის მრეწველობამ კვარტალური დავალება შეასრულა 104,2 პროცენტით, ქიმიურმა მრეწველობამ —80,9 პროც., მარგანეცის მრეწველობამ— 49,1 პროც., მინერალების მოპოვების მრეწველობამ—101,2 პროც., საშენებელ მასალათა მრეწველობამ—91,5 პროც., მთლიანად საქართველოს მთელმა მძიმე მრეწველობამ პირველი კვარტალის საწარმოო-საფინანსო გეგმა შეასრულა—83,7 პროც., მარგანეცის გამოკლებით გეგმა შესრულებულია 98,5 პროც.

ამაში არ შედის ფედერატიული და საკავშირო მნიშვნელობის საწარმოები, რომელთა ხაზით ასეთი მდგომარეობა გვაქვს: ქვანახშირის ამოღების გეგმა ტყიბულში შესრულდა 61,2 პროც., ნავთის ამოღების გეგმა—88,1 პროც., ხოლო ბურღვის გეგმა —37,4 პროც.; საგრძნობ ჩამორჩენას აქვს ადგილი ბარიტის ამოღების დარგში; გარეცხილი ბარიტის გეგმა შესრულებულია — 30,9 პროც., დაფქვილი ბარიტის გეგმა კი — 20,6 პროც.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო გარღვევებს, უნდა ეძებოთ იმ „ნახტომებით" მუშაობაში, რომელიც ახასიათებს თითქმის ყველა საწარმოებს და ტრესტებს. მუშაობას ბევრგან „კამპანიური" ხასიათი აქვს. ამის შედეგად ამა თუ იმ კვარტალის დამთავრების შემდეგ იწყება „შესვენება", ტემპები ნელდება და შემდეგ წარმოება იძულებულია ზედამკვრელი ტემპები განავითაროს, რომ გამოასწოროს გარღვეული ფრონტი.

ლითონის მრეწველობის ქარხნებმაც კი, რომლებიც პირველ ადგილზე გამოვიდნენ კვარტალური დავალების შესრულებაში, ვერ აიღეს საჭირო ტემპები კვარტალის დაწყებისთანავე (იანვრის გეგმა შესრულდა 87 პროც.) და მხოლოდ თებერვალში მოგვცეს დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელი.

მუშაობის ასეთ სისტემას, რომელთანაც უკვე პირველი წელიწადი არაა, რაც ბრძოლა სწარმოებს, ჯერ კიდევ აქვს ადგილი და საწარმოების წინაშე სდგას ამოცანა — რაც შეიძლება გეგმაშეწონილად და თანაბრად განავითარონ მუშაობის ტემპები.

საქართველოს მძიმე მრეწველობის ცალკე დარგების მუშაობა პირველ კვარტალში ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

ლითონის მრეწველობა

ლითონის მრეწველობამ, როგორც ვსთქვით, პირველი კვარტალის დავალება შეასრულა—104,2 პროც., მაშინ როდესაც კადრის მუშები შეადგენდნენ გეგმის—98,4 პროცენტს. შრომის ნაყოფიერების გეგმა შესრულდა—105,5 პროც.

პროდუქციის გამოშვების და შრომის ნაყოფიერების გეგმის შეუსრულებლობას ადგილი აქვს მხოლოდ ბათომის თუჯის ჩამოსასხმელ ქარხანაში და თბილისის სპილენძის სატკეცი ქარხანაში.

კვარტალური გეგმის შესრულებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მარტში აღებულმა ტემპებმა, როდესაც მთელი საქართველოს საზოგადოებრიობა დარაზმულ იქნა გარღვევების სალიკვიდაციოთ და მარტი გამოცხადებულ იქნა დამკვრელ თვეთ.

ამგვარ დადებით მაჩვენებლებთან ერთად ლითონის მრეწველობაში აღსანიშნავია მთელი რიგი უარყოფითი მომენტები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს წარმოების ორგანიზაციაზე და არ მისცეს საშუალება ქარხნებს ზუსტად დაეცვათ პროდუქციის გეგმით გათვალისწინებული ასორტიმენტი

სპილენძის სატკეცი ქარხანა. ყველაზე მეტი გარღვევა კვარტალური გეგმის შესრულებაში ამ ქარხანას აქვს. ქარხანამ სულ გამოუშვა—24,7 ტონა სპილენძი და მთელი თებერვალი რემონტში იდგა.

მარტში ქარხანა ნედლეულის ნაკლებობას განიცდიდა. მიმწოდებელმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად შეამცირეს ქარხნისათვის სპილენძის მიწოდების ნორმები და დღემდე დადებული არ არის ხელშეკრულება. ლითონის საჭირო რაოდენობის მიწოდებაზე. ამ გარემოებამ შეიძლება აიძულოს ქარხანა უახლოეს მომავალში გადავიდეს ბიმეტალების დამზადებაზე, რომელზეც უკვე სწარმოებს საკვლევა-ძიებო მუშაობა.

ლითონის კონსტრუქციების ქარხანა. ამ ქარხანამ პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 102,2 პროც., ძირითადათ ანგარების გამოშვების დაჩქარების ხარჯზე. ერთგვარ გარღვევას აქვს ადგილი სამონტაჟო სამუშაოებში, რომლებიც შენელებული ტემპებით სწარმოებს შემკვეთებლების (მარგანეცის ტრესტი, რიონჰესი და სხვ.), მოუმზადებლობის გამო მონტაჟისათვის. სამონტაჟო სამუშაოების გამოკლებით ქარხანამ გეგმა შეასრულა—107,2 პროც.

26 კომუნარის სახელობის ქარხანა. ქარხანამ კვარტალური გეგმა შეასრულა — 107,4 პროც., (მარტში კი—115,2 პროც.). ჩაის მოწყობილობის დამზადების დარგში ადგილი აქვს გეგმის შეუსრულებლობას — 52.000 მანეთით. საგრძნობ გარღვევას აქვს ადგილი აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების გამოშვების დარგში: საწოლები გამოშვებულია სულ გეგმის—63,4 პროც., წვრილი საგნები—49,5 პროც., „ბერანჟეს" სისტემის სასწორები კი სრულებით არ არის გამოშვებული. ქარხნის მასალებით მომარაგება არ სწარმოებდა დამაკმაყოფილებლად.

პირველ კვარტალში ქარხანამ დაიწყო საფეიქრო მანქანათმშენებლობის ტეხნიკის ათვისება. უკვე მიღებული და დაშლილია „შერერ-ნუსბაუმერის" და „ბრიუგერის" მანქანები, რომლებიდანაც იღებენ ნახაზებს და ადგენენ ხარჯთაღრიცხვას. ზოგიერთი ნაწილების დამზადება უკვე დაიწყო მარტში. მაგრამ ქარხანა არ არის უზრუნველყოფილი ამ ახალი სახის წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობით, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მუშაობის მსვლელობაზე.

ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა. ქარხანამ კვარტალური გეგმა შეასრულა 111,4 პროც., მარტის გეგმა კი—121,8 პროც. ძირითადათ გეგმის გადაჭარბება მოხდა გეგმის გარეშე შეკვეთების და ფართო მოხმარების საგნების ხარჯზე.

კალინინის სახელობის ქარხანა. ქარხანამ პირველი კვარტალის გეგმა შეასრულა — 108,5 პროც., მარტის გეგმა კი—143,5 პროც. გეგმის გადაჭარბება ძირითადათ მოხდა ტრაქტორცენტრის შეკვეთების დაჩქარების ხარჯზე. ერთგვარ ჩამორჩენას აქვს ადგილი ელექტრონის ღუმელების და შემდუღებელ აპარატების გამოშვების დარგში. მთლიანად არ შესრულდა აგრეთვე ფართო მოხმარების საგნების გამოშვების გეგმა (ჩამორჩენა უდრის 16,5 პროც.).

ცემენტის წარმოება

საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა პირველ კვარტალში შესრულდა—99,5 პროც., მარტში კი ადგილი ქონდა გეგმის გადაჭარბებას—2,5 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მარტში მოხდა ავარია, რომელმაც ერთ-ერთი წისქვილი გააჩერა 16 დღით, ამავე დროს საჭირო ხდებოდა ღუმელების გაჩერებაც რემონტის გამო. ამის შედეგად ღუმელები მოქმედების დროს გადიდებული დატვირთვით მუშაობდნენ, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მათ მდგომარეობას.

მარგანეცის მრეწველობა

მარგანეცის მრეწველობამ 1933 წელში უნდა მოგვცეს—8.209.500 მანეთის პროდუქცია. ამავე დროს მარგანეცის მრეწველობამ პირველ კვარტალში მუშაობის სრულიად არადამაკმაყოფილებელი ტემპები გამოიჩინა და გარღვევა თვიდან თვემდე გრძელდება. მადნის ამოღების კვარტალური გეგმა შესრულებულია 54,3 პროც., მადნის გარეცხვის გეგმა კი—42,9 პროც.; ეს მდგომარეობა ძირითადათ გამოწვეულია მაღაროებიდან მადნის გამოტან ტრანსპორტის სრული მოშლით.

მოპრილი მადნის გამოტანა თითქმის ყველა მაღაროებში ცხენებით სწარმოებს, ამავე დროს ცხენების ნაყოფიერება ცუდი მოვლისა და ფურაჟის ნაკლებობის გამო დაბალია.

თებერვალში დაიწყო მუშაობა მექანიკური გაგორების მოსაწყობად, მაგრამ ამას ჯერ არ მოუცია თავის შედეგი. ზოგიერთი ქარხნები სისტემატიურად არ ასრულებენ ხელშეკრულებას მექანიკური გაგორებისათვის საჭირო მოწყობილობის მიწოდების შესახებ.

მეორე ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა საწარმოო გეგმის შესრულებაზე, მდგომარეობს მუშა-ხელის ნაკლებობაში. მარტში ექსპლოატაციაზე მუშაობდა საჭირო მუშა-ხელის—60,9 პროც., საშუალოდ კი მთელ კვარტალში—67,3 პროც.; სულ მარგანეცის მრეწველობას აკლია 1.000 მუშა. თუ მხედველობაში მივიღებთ მშენებლობას და დამხმარე საწარმოებს, მაშინ მუშა-ხელის დანაკლისი მიაღწევს—2.400 კაცს.

მუშა-ხელის შეგროვება მეტად არადამაკმაყოფილებლად სწარმოებს, უმთავრესად მუშათა არა საკმაო მომარაგების გამო.

საშენებელი მასალები

საშენებელ მასალათა ტრესტის ხაზით გეგმების შესრულება შემდეგ სურათს იძლევა: გლაუბერის მარილის ამოღების კვარტალური გეგმა შესრულებულია 94,6 პროცენტით, ბიტუმის გეგმა—71,8 პროც., ლითოგრაფიული ქვის გეგმა—51,3 პროც., თაბაშირის გეგმა—28,3 პროც.

რაც შეეხება აგურის ქარხნებს, იქ ასეთი მდგომარეობაა: ლოჭინის აგურის ქარხანამ, როგორც გეგმითაც იყო გათვალისწინებული, მუშაობა დაიწყო მხოლოდ მარტში. სწარმოებდა ნედლი აგურის დამზადება. გეგმა შესრულდა 39,9 პროც. ნოსირის ქარხანამ კვარტალური გეგმა შეასრულა—76,5 პროც.; ტიფლის ქარხანამ აგურის გამოწვის გეგმა შეასრულა—100 პროც., ნედლი აგურის დამზადების დარგში კი ადგილი აქვს დიდ ჩამორჩენას (კვარტალური დავალება შესრულებულია მხოლოდ 38,8 პროც.). ცუდი ამინდის გამო აგურის დაყალიბება დაიწყო მხოლოდ 20 მარტს და გაგრძელდა სულ ხუთ დღეს.

მოწამეთის კირის ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების კვარტალური გეგმა შეასრულა—46,9 პროც.

ცეცხლგამძლე ნაკეთობათა ქარხანა „შრომა" 20 მარტიდან საშენებელ მასალათა ტრესტის სისტემიდან გადაეცა კასპის ცემენტის ქარხანას. პირველ კვარტალში სწარმოებდა უმთავრესად ნედლი აგურის დამზადება, კვარტალური დავალება შესრულებულია—66,5 პროც.

ქიმიური კომბინატი

ქიმიურმა კომბინატმა იანვრის გეგმა შეასრულა—51,6 პროც., თებერვლის გეგმა—96,6 პროც., ხოლო მარტის—91,2 პროც., მთლიანად კვარტალური დავალება შესრულებულია—80,9 პროც.

თებერვალში და მარტში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, ქარხანამ მიიღო საჭირო მასალა, რომლის ნაკლებობასაც განიცდიდა. გაუმჯობესდა აგრეთვე შრომის დისციპლინის მაჩვენებლები.

აკადემიური წარმატების აღრიცხვის შესახებ უმაღლ. სკოლებში

ახლოვდება გაზაფხულის გამოცდების სესიები უმაღლეს სკოლებში გამოცდების სესიების ორგანიზაციულად ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღ. სკოლაში პედაგოგიური პროცესის მოწესრიგებისა თვალსაზრისით. საჭიროა გავითვალისწინოთ ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომელიც თან ახლდა გამოცდების სესიებს შემოდგომაზე, რომ უფრო მომზადებულად შევხვდეთ გაზაფხულის სესიებს.

სასწავლო აღმზრდელობითი საქმიანობის აგეგმას და აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს „მეცნიერების საფუძვლების" და ტეხნიკის დაუფლების საქმეში. აგეგმა აღრიცხვა, მთლიანი პედაგოგიური პროცესის განუყრელი ნაწილია. ის უზრუნველყოფს სწორად ერთად სასწავლო პროგრამების თავის დროზე შესრულებას და რაც მთავარია სტუდენტების მიერ ამა თუ იმ დისციპლინაში მიღებული ცოდნის ხარისხის გამორკვევას.

უმაღლესი სკოლის მუშაობის ხარისხი განუყრელად არის დაკავშირებული მთელი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის გეგმიანად მოწყობასთან. კარგად შედგენილი კათედრების სამუშაო საწარმოო გეგმები და უმაღლესი სკოლის ერთიანი სამუშაო საწარმოო გეგმა ძირითადი პირობაა, მუშაობის ხარისხის ასაწევად და იმ კადრების მომზადებისათვის, რომლებსაც მოითხოვს მეორე სოციალისტური ხუთწლედი.

ლენინი თავის სადირექტივო მიმართვაში განსახკომში მომუშავე კომუნისტებისადმი სწერდა: „განსახკომში მომუშავე კომუნისტებს წინადადება ეძლევა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პრაქტიკული გამოცდილების აღრიცხვას და შემოწმებას, ამ გამოცდილების მითითებათა სისტემატიური გამოყენება და ყოველმხრივ აღმოფხვრილ უნდა იქმნას ზოგადი ხასიათის მსჯელობით და აბსტრაქტული ლოზუნგებით გატაცება. არ შეიძლება იმუშაო გეგმის გარეშე რომელიც განზრახულია ხანგრძლივი პერიოდით და სერიოზული მიღწევებისათვის". (ლენინი, ტ. მე-26 გვ. 42-43).

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 5 სექტემბრის დადგენილება დაწყებითი და საშუალო სკოლების შესახებ განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ მოთხოვნილებას ამ დადგენილების მიხედვით ყველა სასწავლო დისციპლინების სწავლება „უნდა წარმოებდეს ზუსტად განსაზღვრული და გულმოდგინედ დამუშავებული პროგრამების და სასწავლო გეგმების საფუძველზე და ტარდებოდეს სასტიკად განსაზღვრული განრიგით მიხედვით" ეს მოთხოვნილება რომელიც დასმულია საშუალო სკოლის წინაშე, სავალდებულოა უმაღლესი სკოლებისათვისაც.

გეგმიანობასთან მტკიცედ არის დაკავშირებული აღრიცხვის საკითხი ამხ. ლენინი აღრიცხვას სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში უდიდეს როლს ანიჭებდა. თავის ცნობილ წერილში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება" ლენინი სწერდა „აღრიცხვა და კონტროლი თუ მას მუშები, ჯარისკაცების საბჭოები, როგორც უმაღლესი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება აწარმოებს ან კიდევ ეს ამ ძალაუფლების მითითებით ან მინდობილობით წარმოებს აღრიცხვა და კონტროლი ყოველგან საყოველთაო უნივერსალური შრომის რაოდენობის და პროდუქტების აღრიცხვა და კონტროლი,—ამაშია სოციალისტური გარდაქმნის არსი, როდესაც პროლეტარიატის პოლიტიკური ბატონობა უკვე შექმნილი და უზრუნველყოფილია".

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ უმაღლეს სკოლებში აკადემიური წარმატების აღრიცხვის საქმეს უცქერიან, როგორც სტუდენტების ფორმალური ცოდნა ჩვეულების შემოწმებას. ამ გაუგებრობას ბოლო უნდა მოეღოს.

უმაღლეს სკოლებში აღრიცხვის საქმე იმ გვარად უნდა მოვაწყოთ, რომ ყოველი სტუდენტი თვალსაჩინოდ ხედავდეს პროგრამის რა ნაწილია მათ მიერ გავლილი, რას გადიან და რა დარჩათ გასავლელი. ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როდესაც სტუდენტებს უკვე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე ხელთ აქვთ მტკიცე პროგრამები ყველა იმ დისციპლინებში, რომელსაც ისინი გადიან.

აღრიცხვის ფორმები მტკიცე კავშირში იმყოფება სწავლების ცალკე მეთოდების გამოყენებასთან ამა თუ იმ დისციპლინებში. ამიტომაც აღრიცხვა პედაგოგიური პროცესის შემადგენელი და მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია. ვინც გამოცდებს როგორც ჩატარებული მუშაობის აღრიცხვის გარკვეული და სავალდებულო ფორმებს აშორებს საპროგრამო მასალის სწავლების მეთოდებს და სტუდენტთა წარმატების მიმდინარე აღრიცხვას მას არაფერი არ ესმის მარქსისტულ ლენინური პედაგოგიკის.

როგორც ცნობილია „მემარცხენე" ხასიათის დამახინჯებებმა უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში მოხსნა გამოცდების ჩაბარება, როგორც აღრიცხვის გარკვეული ფორმა. ეს იმიტომ, რომ მეცნიერების დარგში სისტემატიური ცოდნის შეთვისება დაყენებული იყო უკანა რიგში და სტუდენტის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობა შეცვალა ბრიგადული მუშაობის გაუპიროვნებამ, ლაბორატორიულ ბრიგადულმა მეთოდმა, სტუდენტის ცოდნის ინდივიდუალური შემოწმების ნაცვლად შემოიღო ე.-წ. დასკვნითი ხასიათის კონფერენციები, სადაც კოლექტივი ფარავდა ცალკე სტუდენტის აკადემიურ წარმატებას.

საქ. ცაკის 19 სექტემბრის დადგენილებით კატეგორიულად უარყოფილია აღრიცხვის ასეთი პრაქტიკა. სტუდენტების ცოდნის შეფასების საქმეში მთელი პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს პროფესორ მასწავლებელთა შემადგენლობას.

ცაკის დადგენილებაში ნათქვამია: „შემოღებულ იქნეს, როგორც წესი გამოცდების სესიები ორჯერ წელიწადში, შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრის ბოლოს. იმ საგნებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ ცალკე გამოცდები ასეთი საგნების სია უნდა დაწესდეს სასწავლო გეგმაში".

რაგინდ კარგად არ უნდა იყვეს დამუშავებული საგნის კურსი სემინარებში, პროსემინარებში, ლაბორატორიული დამუშავების დროს და სხვა, მიუხედავად ამისა საჭიროა მთელი კურსის სპეციალური განმეორება. განმეორებამ ცოდნა გარკვეულ სისტემაში უნდა მოიყვანოს და სტუდენტის მეხსიერებაში უნდა დარჩეს ის ჩვევა და დასკვნები, რომლებიც, მართლაც „**საჭიროა თანამედროვე განათლების თვალსაზრისით**" (ლენინი).

საგნის მთელი კურსის ჩაბარება პედაგოგიური პროცესის განუყრელი შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მას არ შეუძლია სტუდენტის ცოდნის მიმდინარე სისტემატიური აღრიცხვის შეცვლა ან მოხსნა. გამოცდა ამ საგნის ჩაბარება არ არის სტუდენტის ცოდნის შემოწმების პირველი და უკანასკნელი საშუალება, როგორც ეს ძველი უნივერსიტეტების სისტემაში იყო მოცემული.

მიმდინარე სისტემატიური აღრიცხვის ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის ყოველმხრივ შემოწმების საქმეში. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 25 აგვისტოს დადგენილებაში დაწყებითი და საშუალო სკოლის პროგრამებისა და რეჟიმის შესახებ სასკოლო მუშაობის აღრიცხვის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „**სასკოლო მუშაობის აღრიცხვას საფუძვლად უნდა დაედვას მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე ინდივიდუალური აღრიცხვა. მასწავლებელმა სასწავლო მუშაობის პროცესში ყურადღებით უნდა შეისწავლოს თვითეული მოსწავლე**".

ძველ სკოლაში გამოცდას სულ სხვა ხასიათი ქონდა. გამოცდა ძველ უმაღლეს სკოლებში მოწყვეტილი იყო ერთიან პედაგოგიურ პროცესისაგან. კოსსოს. და ზვარცის პედაგოგიური თეორია აკადემიური წარმატების აღრიცხვის დარგში, მთლიანად გაზეპირების პრინციპებზე იყო აგებული. ფაქტების მოგროვებას და მათ შეგნებულ ათვისებას ძალიან ნაკლებად ადგილი ქონდა დათმობილი. ამიტომ გამოცდაც „ლატარიის" ხასიათს ღებულობდა.

„მემარცხენეები" პედაგოგიკაში გამოდიოდნენ რა გამოცდების წინააღმდეგ და გამოცდების აღდგენას განიხილავენ, როგორც ძველი სკოლისაკენ დაბრუნების ცდას მხედველობიდან უშვებენ იმ თავისებურებას, რომელიც თან ახლდა გამოცდას ძველ უმაღლეს სკოლაში და ვერ ნახულობენ განსხვავებას ძველსა და ახალს შორის.

საბჭოთა უმაღლეს სკოლაში გამოცდების სესიებს თავისი შინაარსით არავითარი საერთო არ აქვს გამოცდების იმ სისტემასთან რომელსაც ადგილი ქონდა ძველს უნივერსიტეტებში.

ჩვენ სკოლაში გამოცდები პედაგოგიური მუშაობის დასკვნითი მომენტია, რომელიც ახალ ხარისხს ქმნის. ჩვენ უმაღლეს სკოლაში სტუდენტის მიერ კურსის აქტიურად დამუშავება მთელი წლის მანძილზე მასწავლებლის ხელმძღვანელობის და კონტროლის ქვეშ. უნდა ხდებოდეს. ეს მოთხოვნილება დაყენებულია საკ. ცაკის დადგენილებაში სადაც ჩვენ ვკითხულობთ „გამოყენებული იქმნას ლექციების როგორც სწავლების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს პროფესორის დაახლოებას მოსწავლეებთან, **ისე რომ ლექციების შემდეგ სწარმოებდეს მასალის საფუძვლიანი დამუშავება ასისტენტების ხელმძღვანელობით და პროფესორის სავალდებულო კონტროლით**". (ხაზი ჩვენია).

შემოდგომის სემესტრის ჩატარების დროს ადგილი ქონდა შემდეგი ხასიათის შეცდომას: ზოგიერთ შემთხვევაში გამოცდებს იბარებდნენ ასისტენტები, რაც კატეგორიულად უნდა აიკრძალოს, გამოცდები ატარებდა კოლექტიური საუბრის ხასიათს, რაც მოგვაგონებს ლაბორატორიულ ბრიგადული მეთოდის კონფერენციებს, ხშირად სტუდენტების შემოწმება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, ყველა ეს მომენტები მოწმობენ იმას, რომ გამოცდების შეფასებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს „მემარცხენე" ხასიათის დამახინჯებებს, რომლებსაც დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ.

გამოცდების ჩატარების საქმეში. არის აგრეთვე მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათის დამახინჯებანი. რაში მდგომარეობს ეს? უპირველეს ყოვლისა გამოცდა მოწყვეტილია სტუდენტის წლიური მუშაობის აღრიცხვისაგან, აქედან უკვე განწყობილება, რომ საჭირო არ არის ლექციებზე დასწრება, სემინარებში მუშაობა, ლაბორატორიის გავლა და ისე შეიძლება საგნების ჩაბარება, პროფესორთან, ერთი სიტყვით საგნის ნაჩქარევად მომზადება ჩაბარების მიზნით, რომ შემდეგ სავსებით დაივიწყოს ამ საგნისაც.

ამრიგად საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლა გამოცდების სესიების ჩატარების დროს.

გამოცდების დროს არ არის საჭირო, რომ სტუდენტს ბევრი საკითხები დაუყენოთ საკმარისია, რომ თითოეული სტუდენტი ღრმად და საფუძვლიანად შეჩერდეს ორ ან სამ საკითხზე. მაგრამ ამ საკითხების შესახებ პასუხის გაცემის დროს მან უნდა ნათელყოს ფაქტიური ცოდნა საგანში და ამ საკითხების ურთიერთი კავშირი საგნის მთელ კურსთან. პროფესორი რომელიც ატარებს სტუდენტობასთან ლექციურ კურსს, ხოლო პროსემინარებში კი ასისტენტები აწარმოებენ მასალის საფუძვლიან დამუშავებას,—წინასწარ უნდა გაეცნოს სტუდენტის ასისტენტების მიერ შეფასებას. გამოცდების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ იმ საკითხებს, რომელშიდაც ჩამორჩა სტუდენტი წლის განმავლობაში.

სტუდენტისათვის საგამოცდო კითხვების მიცემის შემდეგ მას საშუალება უნდა მიეცეს მოიფიქროს ეს კითხვა და შემდეგ გასცეს მას პასუხი. სანამ ერთი პასუხს გასცემდეს კითხვას, მეორე უნდა ფიქრობდეს მოცემულ საკითხზე.

როგორც ცნობილია გამოცდის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმად ითვლება ზეპირი გამოცდა. ეს იმდენად გავრცელებულ ფორმად ითვლება, რომ ის თითქმის ერთად ერთ ფორმად გადაიქცა. **ზეპირი გამოცდის ფორმა აუცილებლად ძალაში უნდა დავტოვოთ**, მაგრამ ზეპირი გამოცდის გვერდით მთელ რიგ საგნებში შემოღებულ უნდა იქმნას ე.-წ. წერითი გამოცდა. გამოცდების, ყოველი ცალკე ფორმა გამოყენებულ უნდა იქმნას ყოველ ცალკე კონკრეტულ შემთხვევაში იმის და მიხედვით თუ რომელი ტიპის უმაღლეს სკოლებთან და რა საგანთან გვაქვს საქმე. თუ ახ კონკრეტულად არ იქნება განხილული საკითხი ამ მიზნით ვერ ავცილდებით იმ შეცდომებს, რომლებიც ხშირად საკითხისადმი შაბლონური მიდგომის შედეგია. სტუდენტთა, აკადემიური წარმატების შეფასება უნდა სწარმოებდეს სამი ნიშნის მიხედვით: **დამაკმაყოფილებელი, კარგი და ფრიადი.**

შ. სიხარულიძე.

გავაჩაღოთ მასიურ-კულტურული მუშაობა საკოლმეურნეო მინდვრებში

„მთელი მასობრივი მუშაობა მინდორში, ბრიგადაში, ისე უნდა მოეწყოს, რომ კოლმეურნე არ მოსცდეს საწარმოო მუშაობას, არამედ პირიქით გამახვილდეს მთელი ყურადღება თესვის წარმატებით შესრულებაზე“ („პრავდა“).

მასიურ-კულტურული მუშაობა მინდვრებში

ხოფ. კოტიანეთის (სენაკის რაიონი) ამხ. მ. ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობის ბრიგადებში არ არის გაშლილი მასიურ-კულტურული მუშაობა. მინდვრად კოლმეურნეები მოწყვეტილნი არიან გაზეთებს, ცოცხალ საუბრებს აგრო-ტეხნიკის საკითხებზე, სასოფლო სამეურნეო ლიტერატურის და სხვ. **კოლმეურნეობას არა აქვს სამკითხველო.** ვრცელდება მხოლოდ სამი ცალი გაზეთი, რომელსაც იწერენ მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე, საკოლმეურნეო უჯრედის მდივანი და მოანგარიშე. **არ ეწყობა გაზეთების ხმამაღალი კითხვა.**

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ—ე. ხუხიამ განაცხადა, რომ მათ—**ამის შესახებ საკითხი ჯერ არ დაუმუშავებიათ.**

ადგილობრივი საკოლმეურნეო პარტუჯრედი არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ბრიგადებში მასიურ-კულტურული მუშაობის გაშლას. ამ საქმეში ძალზე სუსტია ადგილობრივი სკოლების, მასწავლებლების და მოწაფეების მონაწილეობა. საგაზაფხულო არდადეგების გამო განთავისუფლებული მოწაფეები და მასწავლებლები სრულიად არ არიან ჩაბმულნი მინდვრად კულტურული მუშაობის გაშლის საქმეში.

აღსანიშნავია, რომ რაიონული პროფორგანიზაცია და განათლების განყოფილებაც ამას არ აქცევს საჭირო ყურადღებას. რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარემ—უჩანეიშვილმა წინადადება მისცა კოოპერატიულ მუშაკების კავშირს, რომ მატერიალური დახმარება აღმოეჩინა ხოფ. კოტიანეთის კოლმეურნეობისათვის კულტურული მუშაობის გაშლის საქმეში. ამ უკანასკნელმა კი განაცხადა—**ჩვენ ამისათვის თანხები არ მოგვეპოვება.** ასევე განათლების მუშაკთა კავშირის რაიკომის ხელმძღვანელები აცხადებენ, **რომ—ეს საქმე მათ არ ეხებათ.** მაშინ, როდესაც კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის შესახებ არ მოიპოვება არც ერთი ბროშურა—სახელგამის სენაკის განყოფილების მაღაზიაში იჭედილია თაროები ასეთით, მის გასაგზავნათ ადგილებზე კი არავინ არ ზრუნავს.

ამ მდგომარეობას ეხლავე უნდა მოეღოს ბოლო. მ. ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობა რაიონში ერთ-ერთ მოწინავეთაგანია საგაზაფხულო ხვნის გეგმის შესრულების საქმეში, 30 მარტისათვის კოლმეურნეობამ ხვნის გეგმა შეასრულა 95 პროც. მოხნული იქნა 98 ჰექტარი 103 ჰექტარის ნაცვლად. კოლმეურნეობა მთლიანად ჩაება მოსავლიანობის გადიდების ლაშქრობაში, რომელიც გამოაცხადა საქ. კ.პ. (ბ) სენაკის რაიკომმა. მეორე ბრიგადამ რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. **ჩიჩიკო ჯოლია** თავი გამოაცხადა საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარების დამკვრელად და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია პირველი ბრიგადა.

საჭიროა საკოლმეურნეო პარტუჯრედმა ეხლავე მიაქციოს ყურადღება მასიურ-კულტურული მუშაობის გაშლას ბრიგადებში. მინდვრად გამოყენებულ უნდა იქნას თვითეული თავისუფალი წუთი გაზეთების და საკოლმეურნეო ლიტერატურის ხმამაღლა კითხვის მოწყობის, კედლის გაზეთების გამოცემის, საწარმოო თათბირების ჩატარებისათვის და სხვ. მინდვრად გასულ კოლმეურნეებს მაღალხარისხოვანი კულტმომსახურეობა—ასეთია ამოცანა.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

მაღალხარისხოვანი კულტმომსახურეობა კოლმეურნეებს

სტალინისის რაიონის მასწავლებელთა და პოლიტგანმუშაკების შეკრების მიმართვა საქართველოს ყველა რაიონების მასწავლებლებსა და პოლიტგანმუშაკებს

სტალინისის რაიონის მასწავლებელთა და პოლიტგანმომუშაკეთა შეკრება, რომელიც მოხდა მეორე ხუთწლედის პირველ ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის დაწყების წინ აღნიშნავს, რომ **საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაში უდიდესი როლის შესრულება შეუძლია სკოლებს და მასწავლებლებს.**

ჩვენი რაიონის სკოლებში, საქ. კ.პ (ბ) სტალინისის რაიკომის ხელმძღვანელობით საქ. კ.პ. (ბ) ც. კ. 1931 წ. 5 სექტემბრის და 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილებათა საფუძველზე გაიზარდა სწავლების ხარისხი, სკოლები ჩაბმულნი არიან საგაზაფხულო თესვის კამპანიაში, გაშლილია ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის სრული ლიკვიდაციისათვის, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მეტი.

ჩვენი რაიონის 600 მასწავლებელი და პოლიტგანმუშაკი აქტიურად ვებმებით მეორე ხუთწლედის პირველი ბოლშევიკური გაზაფხულის თესვის კამპანიაში უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობების ერთპიროვნული მეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების კულტმომსახურებას, რისთვისაც არდადეგების განმავლობაში მივემაგრებით ცალკე კოლმეურნეობებზე და საბჭოთა მეურნეობებზე.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, რომ ვადაზე დავამთავრებთ წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციას და საქ. კ.პ. (ბ) ცკას 1932 წ. 25 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე მიღებულ ღონისძიებებს გავატარებთ მთლიანად.

კოლმეურნეობებში ფართოდ გავშლით კულტმუშაობას, მოვაწყობთ **საკოლმეურნეო ბრიგადებში გაზეთების—და საკოლმეურნეო ლიტერატურის ხმამაღლა კითხვას** არდადეგების პერიოდში - თესვის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩავაბამთ მოწაფეებს და მთელ ამ მუშაობას დავუკავშირებთ სასკოლო მუშაობას ხარისხისათვის ბრძოლის ამოცანებს.

ვღებულობთ რა ამ ვალდებულებებს, ჩვენ სტალინისის რაიონის მასწავლებლების და პოლიტგანმუშაკების შეკრება მივმართავთ საქართველოს ყველა რაიონების მასწავლებლებს და პოლიტგანმუშაკებს, რომ მიბაძონ ამ ჩვენს მაგალითს. პირადათ ჩვენ კი საგაზაფხულო თესვის კამპანიის უკეთესი კულტმომსახურებისათვის **სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ სიღნაღის რაიონის მასწავლებლებს და პოლიტგანმუშაკებს.**

სტალინისის რაიონის მასწავლებელთა და პოლიტგანმუშაკების შეკრება.

ფართოდ გავშალოთ აგროტეხნიკური პროპაგანდა კოლმეურნეობებში

(წერილი სოხუმიდან)

საგაზაფხულო თესვის მზადებისათვის სოხუმის სუბტროპიკულ (ეთერ-ზეთოვან), მეხილეობის ინსტიტუტის პარტორგანიზაციამ იანვრიდან გაშალა მუშაობა. შედგენილი იქნა საგაზაფხულო თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღების კონკრეტული გეგმა. გამოყოფილი არის სტუდენტთა ბრიგადები, რომლებიც გაიგზავნენ საშეფო კოლმეურნეობებში მასიურ კულტურული და აგროტეხნიკური მუშაობის გასაშლელად. ჯერ ჯერობით გაგზავნილია 5 ბრიგადა.

საშეფო სოფლებში კოლმეურნეებთან ეწყობა თამბაქოს, ჩაის, არახისის და სხვ. კულტურების მოვლა-მოშენების საკითხებზე კითხვა - პასუხის საღამოები, ბრიგადები კოლმეურნეობებს ეხმარებიან თამბაქოს და სხვა ტეხნიკური კულტურების მოვლის საქმეში. ეხმარებიან აგრეთვე სწარმოო გეგმების თვითეულ კოლმეურნემდე დაყვანის მანქანაიარაღების და მუშა-საქონლის წესიერი მოვლის და გამოყენების საქმეში.

ბრიგადებს შორის ფართოთ არის გაშლილი სოცშეჯიბრება, ინსტიტუტებში გამოყოფილია სოცშეჯიბრების შემმოწმებელი შტაბი, სამბრიგადის მუშაობის შემოწმება უკვე ჩატარდა.

გ. ღლონტი მ. ნაკაიძე.

ვინ აფერხებს საკოლმეურნეო ლიტერატურის გავრცელებას

გასული წლის მარტში „საქ. ჩაიმ“ სახელგამს დაავალა, რამდენიმე ბროშურის გამოცემა ჩაის საკოლმეურნეო საკითხების შესახებ. დაიდო სათანადო ხელშეკრულებაც. სახელგამმა იკისრა ბროშურების გამოცემის უზრუნველყოფა ქაღალდით, პოლიგრაფიული ბაზით და ტეხნიკური ხელმძღვანელობით.

„საქ. ჩაი“ ვალდებული იყო მთელი ტირაჟი შეესყიდა სახელგამიდან ნაღდ ანგარიშზე და უფასოდ გაევრცელებია ჩაის კოლმეურნეთა შორის. რასაკვირველია, ღირებულების დაფარვაც „საქ. ჩაი“-ს ევალებოდა.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე „საქ. ჩაი“-მ წარსული წლის დასაწყისში სახელგამს გადასცა ხუთი სახელწოდების ხელთნაწერი და სახელგამმაც დაბეჭდა ისინი განსაზღვრულ ვადებში. აი, სამი მათგანის დასახელება: რ. დოლიძე — ჩაის კულტურა კოლმეურნეობებში; ტირაჟი 5.000 კ. კობახიძე—შრომის ორგანიზაცია ჩაის კოლმეურნეობებში — ტირაჟი 4.000 და რ. დოლიძე—1932 წლის ჩაის გეგმები კოლმეურნეობებში — ტირაჟი—15,000. პირველი ბროშურა გამოვიდა გასული წლის 8 მაისს, მეორე—11 მარტს, მესამე—20 თებერვალს.

მაგრამ „საქ. ჩაი“-მ არ მოისურვა სახელგამთან ანგარიშის გასწორება და ბროშურების გავრცელება. ვინაიდან ბროშურებს აწერია „უფასოდ“—სახელგამს არ შეეძლო მათი გაყიდვა თავის წერტების საშუალებით და მეორეც—იმის გამო, რომ სახელგამი არ იყო ამ ბროშურების სრულუფლებიანი პატრონი, ვინაიდან განსაზღვრული ხარჯები (საავტორო ჰონორარი) „საქ. ჩაი“-ს მიერ იყო გაღებული. ბროშურები სტამბიდან გადაგზავნილ იქნა სახელგამის საწყობში შესანახად საქმის გამორკვევამდე. მრავალი მიწერ-მოწერა და მოლაპარაკების შემდეგ „საქ. ჩაი“-მ დეკემბერში, ე. ი. ბროშურების გამოსვლიდან 8—9 თვის შემდეგ დაიხსნა ბროშურები და წაიღო. მაგრამ სად? კოლმეურნეობებში გასავრცელებლად? სრულიად არა. ტრაქტორცენტრის საწყობში. რატომ? რისთვის? ჩვენ არ ვიცით რა ურთიერთ დამოკიდებულებაში არიან „საქ. ჩაი“ და ტრაქტორცენტრი. შეიძლება ტრაქტორცენტრი ვალდებული იყოს „საქ. ჩაი“-ს წინაშე გაავრცელოს ლიტერატურა ჩაის კოლმეურნეთა შორის. შესაძლებელია. მაგრამ ტრაქტორცენტრის შემდეგი დამოკიდებულება დასახელებული ლიტერატურისადმი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს.

როგორ მოექცა ტრაქტორცენტრი ბროშურებს? მან „დროებით“ მოათავსა ისინი თავის საწყობში, და შემდეგ ამა წლის 5 აპრილს, დილით, მოულოდნელად, ბროშურებით დატვირთული საბარგო ავტო მიაყენა სახელგამის სამმართველოს. ავტოდან ბროშურები გადმოყარეს სამმართველოს შესასვლელ კარებთან, სავსებით დაშლილი და არეულ-დარეული. სახელგამის ადმინისტრაცია და წარმომადგენლები სახტად დარჩნენ და ვერ გამოერკვიათ თუ რაში იყო საქმე. „საქ. ჩაი“-ს და ტრაქტორცენტრის წარმომადგენლები კი შეკითხვაზე თუ რაშია საქმე, აცხადებენ **ჩვენ არაფერი არ ვიცით.**

ბოლოს სახელგამმა ყოველივე ეს აცნობა წერილობით მუშგლეხინს და სთხოვა ზომების საჩქაროდ მიღება. ალბად, მუშგლეხინი გამოარკვევს ამ საქმეში კონკრეტულ დამნაშავეს.

ამ დროს, როდესაც ჩვენ გვევალება გაუფრთხილდეთ ქაღალდს მიზანშეწონილად გამოვიყენოთ პოლიგრაფიული ბაზის შესაძლებლობანი, ირკვევა, რომ ექვსი ტონა ქაღალდი სავსებით ამაოდ დახარჯულა დასახელებული ბროშურების გამოცემისათვის. ირკვევა, რომ რამდენიმე ათასეული მანეთი ამაოდ დაუხარჯავს „საქ. ჩაი“-ს ამ ბროშურებზე.

ასეთ უთავბოლობას ბოლო უნდა მოეღოს, საკოლმეურნეო ლიტერატურის გავრცელების ხელის შემშლელებს პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ე. ტ.

მილიციელ ხუბულურის გასამართლება

რომელმაც მოკლა მუშფაკელი ბარძიმაშვილი

14 აპრილს, სანაპირო რაზმის და ა.-კ. გაერთიანებულ სახ. პოლიტსამმართველოს ჯარების სამხედრო ტრიბუნალი ამხ. ვ. მაისურაძის თავმჯდომარეობით და სამხედრო პროკურორის ამხ. ჩხიკვიშვილის მონაწილეობით, შეუდგა თბილისის მილიციის მოძრაობის მომწესრიგებელ დივიზიონის ათმეთაურის ხუბულურის საჯარო-საჩვენებელ გასამართლებას.

ა.-წ. 2 იანვარს ხუბულურმა მოკლა ამიერ-კავკ. საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტის მუშფაკის სტუდენტი, კომკავშირელი, ამხ. ვალოდია ბარძიმაშვილი.

როგორც წინასწარი გამოძიებიდან ირკვევა, ხუბულურს მოკლულ ბარძიმაშვილთან ჰქონია ძველი „ანგარიშები“ და იგი ეძებდა შემთხვევას, რომ მისთვის ეს „ანგარიში“ გაესწორებია.

მისათვის საკმარისი გახდა სრულიად უბრალო შემთხვევა, რომელმაც იმსხვერპლა მუყაითი მუშფაკელი და აქტიური კომკავშირელი, როგორც მას ახასიათებენ ორგანიზაციები.

საქმე შემდეგში იყო: ბარძიმაშვილისათვის ამ საბედისწერო დღეს, სოფლიდან თბილისში სავაჭროდ ჩამოსულან მისი ნათესავები ყასაბაშვილები, რომელთათვისაც ბაზარში მოუპარავთ ნავაჭრი საქონლით სავსე ხურჯინი. ქურდის ძებნის დროს ყასაბაშვილი შეჩერებია ვინმე გადამყიდველ ლომიძეს, რომელთანაც მოსვლია ლაპარაკი და გაურტყამს. ორთავე მოჩხუბარი წაუყვანიათ მილიციაში, მაგრამ იქ სხდომის გამო ისინი არ მიუღიათ მაშინვე. ყასაბაშვილი გამოქცეულა. მას ამ დროს შეხვედრია ბარძიმაშვილი, რომლისთვისაც აუხსნია საქმის ვითარება. ორთავენი შეხტომიან იქვე მიმავალ ტრამვაი № 3-ს და წასულან. ლომიძე დასდევნებია მათ ყვირილით „გააჩერეთ ტრამვაი“-ო. ხუბულურს, რომელსაც ამ დროს თურმე პატიმარი მიყავდა ქუჩაში, გაუჩერებია ტრამვაი. ყასაბაშვილი და ბარძიმაშვილი გაქცეულან ვანქის ქუჩით კომუნარების ქუჩისაკენ. ხუბულურს მიუტოვებია პატიმარი და ლომიძესთან ერთად დადევნებია გაქცეულებს. მილიციელს ამოუღია რევოლვერი და ვითომდა გაქცეულთა გასაფრთხილებლად ორჯერ გაუსვრია ჰაერში. ყასაბაშვილი გაჩერებულა, მისთვის ხუბულურს არ მიუქცევია ყურადღება და დასდევნებია ბარძიმაშვილს, რომელიც განაგრძობდა სირბილს.

მესამეჯერ მილიციელს უსვრია უკვე მაშინ, როდესაც გაქცეული გაჩერებულა, უსვრია პირდაპირ და სასიკვდილოთ დაუჭრია იგი. დაჭრილს რამდენიმე მანძილი კიდევ გაურბენია და უსულოდ დაცემულა ძირს.

ასე შეასრულა ხუბულურმა თავის მუქარა ბარძიმაშვილის მიმართ.

მოწმეების წინასწარი ჩვენებით, ხუბულური მარცხენა ხელით სწვდომია მხარში გაჩერებულ ბარძიმაშვილს, ხოლო მარჯვენათი დაუხლია რევოლვერი.

ტრიბუნალმა დაასრულა საბრალმდებლო დასკვნის კითხვა და დაჰკითხა ბრალდებულებს (ხუბულურთან ერთად პასუხისგებაში მიცემული ლომიძეც).

საქმეზე გამოწვეულია ექსპერტი.

გუშინ დილით ტრიბუნალი უნდა შესდგომოდა მოწმეთა და ექსპერტის დაკითხვას, მაგრამ უკანასკნელის გამოუცხადებლობის გამო სხდომა გადაიდო 15 აპრილის დილის 10 საათისათვის.

ხუბულური ნაწილობრივ სცნობს თავს დამნაშავედ. ლომიძე თავს დამნაშავედ არ სცნობს.

ხელოვნება

ა. ს. ლიუბოშის იუბილე

13 აპრილს მეორე სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის სახელმწიფო რუსულ თეატრის მსახიობის და რეჟისორის ა. ს. ლიუბოშის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავი საზეიმო წარმოდგენა. იუბილიარის მონაწილეობით და რეჟისორობით: წარმოდგენილ იქნა ოსტროვსკის კომედია „ბელუგინის ქორწინება“.

მეოთხე აქტის შემდეგ შესდგა საზეიმო სხდომა, რომელიც გახსნა საქ. განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების სექტორის გამგემ ამხ. შ. დუდუჩავამ მან დაახასიათა ა. ლიუბოშის, როგორც მსახიობის და რეჟისორის შემოქმედება და სთქვა, რომ საბჭოთა იუბილე პრინციპიალურად განსხვავდება იუბილეს ძველი გაგებისაგან ძველად იუბილე იყო შემოქმედების დასასრული, ჩვენს პირობებში კი იუბილე ნიშნავს განვლილი გზის შემოწმებას და ახალი ძალღონის მოკრეფას მუშაობის უფრო მეტი ინტენსივობით გაგრძელებისათვის სოციალისტურ მშენებლობის სასარგებლოდ.

დასასრულ, ამხ. დუდუჩავამ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა გაითვალისწინა რა ა. ლიუბოშის ნაყოფიერი მუშაობა, **შუამდგომლობა აღძრა საქ. ცაკის წინაშე, რათა მას მიენიჭოს საქართველოს დამსახურებული არტისტის სახელწოდება.**

შემდეგ იუბილიარს მიესალმენ: საქ. ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრ. გამგეობის სახელით ამხ. ვ. გოცირელი, თბილისის სახელმწიფო რუსული თეატრის საშეფო ქარხნის—„26“-ის სახელობის ქარხნის წარმომადგენელი ამხ. ხოშტარია, გაზ. „საბჭოთა ხელოვნება“-ს რედაქციის სახელით ამხ. ვ. ბოკუჩავა, რუსთაველის თეატრიდან ი. ქანთარია, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფ. ზავრიევი, თბილისის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან— კუპრაშვილი, სახელმწიფო ოპერიდან —დ. ბადრიძე, ცირკიდან რ. გამსახურდია და კაჩევსკი, სახელმწიფო სომხური დრამიდან—კაპამაკიანი, თბილისის მოძრავ მუშათა თეატრიდან—რადოლინი, რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან —მარშაკი, კ. მარჯანიშვილის თეატრიდან —დ. ჩხეიძე, სახელმწიფო რუსულ თეატრის კოლექტივის სახელით —შეინი, საქ. ფილარმონიიდან—ვ. ურუშაძე და ენერგეტიული ინსტიტუტის სტუდენტთა წარმომადგენელი.

იუბილიარმა მიიღო საპატიო სიგელები და ძვირფასი საჩუქრები.

საიუბილეო კომისიის სახელზე მიღებულია 200-ზე მეტი მისალოცი დეპეშა, მათ შორის კავკასიის წითელდროშოვან არმიის სარდალი ამხ. სმოლინისაგან, კ. წ. ა. შტაბის უფროს ამხ. ალაფუზოსაგან, დამს. არტ. გორინ-გორიაევისაგან, მოსკოვის კამერულ თეატრისაგან, სახ. არტ. აბელიანისაგან, სომხეთის სახელმწიფო თეატრისაგან, დამს. არტ. სობოლშიკოვ-სამარინისაგან, მოსკოვის წითელი არმიის თეატრისაგან და სხვ.

—:—

ა. ლიუბოშმა თავისი სასცენო მუშაობა დაიწყო 1903 წელს კორშის თეატრში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტად ყოფნის დროს. ამის შემდეგ ის მუშაობდა კომისარჟევსკაიას თეატრში, ხარკოვში, კიევში და სხვა მსხვილ თეატრალურ ცენტრებში, რევოლუციის შემდეგ კი შევიდა ლენინგრადის ყოფ. ალექსანდრის თეატრში.

1926 წლიდან ა. ლიუბოში მუშაობს თბილისში მსახიობათ და რეჟისორათ ჯერ თბილისის მუშათა თეატრში, შემდეგ წითელი არმიის თეატრში და მიმდინარე სეზონიდან თბილისის სახელმწიფო რუსულ თეატრში.

ა. ლიუბოშის მიერ თბილისში შექმნილ საუკეთესო აქტიორულ სახეებს ეკუთვნის ბერსენევი („რღვევა“), პროფ. გრანატოვი („კაცი პორტფელით“), მიხაილოვი („პური“), ბოროდინი („შიში“) და გაი („ჩემი მეგობარი“).

—:—

„ლაქაშებს შორის“

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული თეატრი მიმდინარე სეზონის უკანასკნელ პრემიერად ამზადებს „ვიქ. გაბესკერიას პიესას „ლაქაშებს შორის“. თემად აღებულია კოლხიდის ჭაობების დაშრობა.

პიესას დგამს რეჟ. დ. ანთაძე, მხატ. დ. კაკაბაძე, მთავარ როლებს ასრულებენ უშანგი ჩხეიძე, თ. ჭავჭავაძე, ნ. მაჭავარიანი, ვ. გოძიაშვილი, პ. კობახიძე და სხვ.

პრემიერა განზრახულია მაისის შუა რიცხვებში.

სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრი საგასტროლოდ მიემგზავრება ქუთაისსა და ზუგდიდში.

ქრონიკა

19 აპრილი — მორიგი საბჭოთა დღეა

19 აპრილს ჩატარებული იქნება მორიგი საბჭოთა დღე. დღის წესრიგში ორი საკითხია: 1 სახალხო მსაჯულთა ხელახალი გადარჩევის კამპანიის შედეგები და 2. სოციალისტური შეჯიბრების ოთხი წლისთავი.

1613-დან არსად სჩანს 419

თბილისის საბჭოს დეპუტატთა რიცხვი სულ უდრის 1613 კაცს. აქედან პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმულია 1194 კაცი, მაგრამ მათ შორის 6252 დეპუტატი აღრიცხულია როგორც პასიურები.

არჩეულ 1613 დეპუტატიდან საბჭოში არ გამოცხადებულა 419 დეპუტატი.

„მარქსის და ენგელსის ფილოსოფიური ევოლუცია“

16 აპრილს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში შესდგება პროფ. ივ. ვაშაყმაძის მოხსენება: „მარქსის და ენგელსის ფილოსოფიური ევოლუცია“. შესვლა თავისუფალია.

მინდვრის და ტყის მავნებლებთან მებრძოლ სპეციალისტების გამოშვება

სოფლის და ტყის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუტი ა.-წ. 15 აპრილს გამოუშვებს 89 ახალგაზრდა სპეციალისტს, რომლებიც დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებიან: მემინდვრეობის და ტექნიკურ კულტურების მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი 32 კაცი, მებაღეობის მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი 45 კაცი და მეტყეობის მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლი—12 კაცი.

კურსდამთავრებულები განაწილებული არიან რაიონებს შორის და იმუშავებენ „ობვ“-ს ადგილობრივ ორგანიზაციებში.

კურსდამთავრებულთა მთელი რაოდენობიდან საქართველოს რაიონებში იმუშავებს—58 კაცი, აზერბეიჯანში—17, სომხეთში—10, ჩრდილოეთ კავკასიაში—2 და ყირიმში—2 კაცი.

ფეხბურთი

ივანოვო-ვოზნესენსკი—თბილისი

12 აპრილს „დინამო“-ს სტადიონზე ჩატარდა უკანასკნელი შეჯიბრება ივანოვო-ვოზნესენსკის გუნდთან. თბილისის მხრიდან თამაშობდა „დინამო—ა“.

შეჯიბრება ძალზე საინტერესო გამოდგა და ორივე ტაიმის განმავლობაში მეტად დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

პირველ ტაიმში გუნდები თითქმის თანაბრად თამაშობდნენ, ხშირი იყო სახიფათო მომენტები ორივე მხარის კარებთან, მაგრამ გუნდების ცდას რეალური შედეგი არ მოყოლია და თამაშის პირველი განყოფილება დამთავრდა 0 : 0.

მეორე ტაიმში სტუმრებმა საგრძნობლად გააცხოველეს თამაშის ტემპი და შეძლეს ინიციატივის თავის ხელში ჩაგდება. ბურთის მოხდენილი გადაცემით ისინი ხშირად უახლოვდებიან თბილისის კარებს, მაგრამ არც ერთი მათი დარტყმა მიზანს ვერ აღწევს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ივანოვო-ვოზნესენსკის გუნდის ფორვარდები ლამაზად და მოხერხებულად თამაშობენ, მაგრამ რამდენადაც ლამაზია მათი კომბინაციები მინდორზე, იმდენად უეფექტო და უნაყოფოა გოლში დარტყმა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ თითქმის მთელი მეორე ტაიმი ისინი თბილისის „გოლში“ იხდენენ და ვერც ერთი ბურთი კი ვერ გაიტანეს.

შეჯიბრება დამთავრდა 0:0.

მატჩს დაესწრო 4.000-დე კაცი.

დნეპროპეტროვსკი — თბილისი

თბილისში ჩამოვიდა დნეპროპეტროვსკის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელიც აქ ჩაატარებს სამ შეჯიბრებას.

შეჯიბრებები გაიმართება 15, 16 და 18 აპრილს „დინამო“-ს სტადიონზე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების სამდივნოსთან ერთად 17 აპრილს საღამოს 7 საათზე ამხ. გორდელაძის კაბინეტში იწვევს თათბირს, რომელზედაც აუცილებლივ უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ნ. ამირაღოვი, ა. ატაბეკოვი, ბ. ბიბინეიშვილი, დ. ბუნიატ-ზადე, ი. ვაცეკი, ი. გელაშვილი, ა. დოგადოვი, ს. ჯუღელი, ა. დოლიძე, ი. ნოკიძე, ქაცარავა, ნ. ლეჟავა, ე. კვანტალიანი, მგალობლიშვილი, ნაფეტვარიძე, ი. პევცოვი, ა. ფირცხალავა, ნ. სოკოლოვსკი, ა. სტეფანოვი, ს. თოდრია, კ. ხიმერიკი, ა. შახსუვაროვი.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო-სტატ. სექტორში (ოთახი № 52) ამხ. სიდოროპულოსთან: გ. პ. გიგაშვილი, პ. ვ. გნაციუკი, ი. ი. გრინბერგი, ნ. გ. გავაშელაშვილი, ვ. ი. გენდლერი, პოლინა კ. გორიაჩოვა, შ. კ. გაბრიჩიძე, მ. ა. გოდელიძე, გასან-ზადე ყურბან, კ. ი. გორდელაძე, გასანოვ მახმუდ გასან-ოღლი, ვ. ი. ღამურაშვილი, ო. მ. გაზარიანი, გ. გ. გულიევი, ე. ი. გუბენიძე, გ. ი. გულიაშვილი, ა. ი. გძელიშვილი, ა. ი. გიუნაშვილი, ს. გ. გრიგორიანი, მ. ი. გამბაროვი, გ. ო. გალუმოვი, მ. ი. გლობა, ტ. მ. გალუსტიანი, ლ. ა. გორდიაშვილი, პ. ი. გურიაშვილი, ნ. ი. გოჩიკაშვილი, გაზიევ მამედ მაგრამ-ოღლი, ე. გ. გოგინაშვილი, ა. ი. გუგუნავა, ვალენტინა ნ. გლაზკოვა, ს. ს. მგელაძე, ი. ბ. გეწაძე, გ. ვ. გულბანი, ა. კ. გაგუა, მ. ა. გრომოვი, ე. ი. გრიგორიანი, ფ. პ. გურგენიძე, ელენა გ. გულიაშვილი, თ. მ. გვრიტიშვილი, მ. ა. გოცირიძე.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის კულტპროპგანყოფილება დღეს საღამოს 7 საათზე რაიკომის შენობაში იწვევს საწარმოო უჯრედების კულტპროპორგანიზატორების თათბირს.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) თბ. ორგ. სტალინის სახ. რაიკომის კულტპროპგანყოფილება აცხადებს, რომ დღეს საღამოს 7 საათზე რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება პროპაგანდისტების მორიგი სემინარი შემდეგ თემაზე. „პროლეტარიატის დიქტატურა“. სემინარის ხელმძღვანელი ამხ. ზ. ჩახვაძე სემინარისათვის წაკითხულ უნდა იქნას შემდეგი მასალები „პროლეტარიატის დიქტატურა და ეკონომიური პოლიტიკა“ (სტეცკის წერილი „პრავდა“-ში 29 მარტ. 1933 წ.).

სემინარს აუცილებლად უნდა დაესწრონ დასაწყის და საკანდიდატო პარტსკოლების ხელმძღვანელები.

—:—

ორჯონიკიძის სახ. რაი-საკ. კომისია, წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ პირთ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაი-საკ. კომისიაში—დეჟურნის ქ. № 19, მესამე სართ. პარტ-გამომძიებელ—ავთონიძესთან. გამოუცხადებლობის შემთხვევაში—მათი საკითხი გაირჩევა მათ დაუსწრებლად.

მეხუმოვი ანდრო სარქისის ძე, მასხარაშვილი შ. (საარტ. განყ.), ჩიქვაძე ნიკ. მერაბის ძე, ნადიძე მოსალი, ჩარაიძე ნიკ. იასონის ძე, ცოცოლაშვილი ალ. (სახელგამის სტამბა), რობაქიძე გიორგი ლევანის ძე, (აბრეშ. ქარხანა), მელანიშვილი გიორგი—ეორა, ზაქ. ძე, (იქიდანვე), კოჭლაშვილი (სახელგამის სტამბა), ლოლაშვილი ეს. ივანეს ძე (აბრეშ. ქარხანა), კოგანი სოფ. გრიგ. ას. (1-ლი სტამბა), ალამბაროვა და ხმელევსკი (სატელეფ. ქსელი), ავგარენკო სტეფ. ვლასის ძე, დიმ. ავი ვას. პეტრეს ძე (საქ. კარაქტრესტი), სარქისიანი ბაგრატ, [illegible] პაპლიაშვილი მარიამ ნიკ. ას. (აბრეშ. ქარხანა), პაპუაშვილი გრიგ. ზაქარიას ძე, თათარაშვილი ვლადიმერ რომანის ძე, სხირტლაძე დ. ჩიტაევა („გრუზტორგი“), შენგელია სერგო ივანეს ძე (1-ლი სტამბა), გიგოშვილი შალვა ალ. ძე (იქიდანვე), გოგიაშვილი მარია ივ. ას. (აბრეშ. საქკ. ქარხ.), დოლიძე დავით თაყას ძე (იქიდანვე), ჯაფარიძე სოლ. გიორგის ძე („ზ. ვ.“ სტამბა), პოლიაკოვი-ტკაჩენკო და მარუტოვი (იქიდანვე), კიკაბიძე იოს. ანდრ. ძე, ლატროვი რადიონ, ავაკოვი ოგანეს ავეტის ძე, ლეჟავა პარმენ ლუკას ძე.

—:—

დღეს საღამოს სრულ 8 საათზე ს.კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპში (ოთახი № 5,—პირველი სართული) დანიშნულია 1) ბურჭულაძის, 2) ხარაბაძე და პარკაძის 3) შაფაქიძის მეექვსე ჯგუფის გეომეტრიის სახელმძღვანელოების განხილვა.

განხილვაზე მოწვეულნი არიან შემდეგი ამხ. ამხ.: ბურჭულაძე, ხარაბაძე, პარკაძე, შაფაქიძე, კ. სულაქველიძე, აბდუშელიშვილი, ვ. ს. ცხაკაია, გ. გოგუაძე, მ. კონიაშვილი, დ. მესხი, კ. ბერიძე, ნ. მელიქოვი, თ. გეგეჭკორი, ძიძაძე, დ. იმნაძე, იაკ. კოსტავა, ღ. ჯალაღანია, არ. ხარაძე, თ. ყაზარაშვილი, მ. ლომინაძე, ისიონ მოსეშვილი, განხილვაზე სასურველია დასწრება აგრეთვე ამხანაგის პრაქტიკის მასწავლებლებისაც.

დღეს, 15 აპრილს საღამოს 8 საათზე შესდგება

გაზ. „კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა საბრიგადო ორგანიზატორების

სემინარის მორიგი მეცადინეობა

სემინარის მსმენელთათვის დასწრება აუცილებელია. მეცადინეობა იწარმოებს გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთ. ქ. № 16).

გაზ. „კომუნისტი“-ს დამკ. მუშკორთა საორგ. სექტორი.

სახელმწ. დრამ. ს.ს.ს.რ. სახ. არტ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

16 აპრილი 5 აბ. 8 წარ.	17 აპრილი 7 აბ. 8 წარ.	18 აპრილი აბონ. გარეშე
[illegible]	როგორ	მზის დაბნელება საქართვ.

აბონემენტის გადასახადი უნდა იყოს მთლ. დაფარული. საბონენტო სალარო დაიხურება 25 აპრილს. ნ. 445

რუსთაველის თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღ.

16 აპრილი 9 აბ. 8 წარ.	17 აპრილი აბონემ. გარეშე	18 აპრილი აბონემ. გარეშე
in tirannos	in tirannos	in tirannos

დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში 11—2 ს. და საღ. 6—9 საათზე. დასაწ. 7 ნახ. საათზე. ნ. 446

სახკინმრეწვის კინო-თეატრები:

ოქტომბერი ხმოვ. კინო. 6-30, 8-30, 10-30	ხმ. ფილ. ამერიკ. ცხოვ. **პროსპერიტი** პრ. გარ. ხმ. საგუშაგოზე № 1
დამკვრელი 6, 7-30, 9, 10-30	**მწვანე შესახვევი** ბრ. გარ. სოიუზკინოს ჟ. № 5.
დარბაზი 6, 7-40, 9-15, 11	სახკინმრეწვის ნაწარმოები **თავადის ასული მერი**
რ. ლიუქსემბურგის 6, 7-30, 9, 10-30	ახალი ხმ. ფილმი **ქვეყნის დიდება** პრ. გარ. ხმოვანი ჟურნალი № 4.
სპარტაკი კომინტ. ქ. 5 6-30, 8, 9-30, 11	სახკინმრეწვის ნაწარმოები **ბელა** პრ. გარ.—საბჭოთა ფლოტისათვის.
მეცნიერება და ტეხნიკა დასაწ. 7-30, 9-30	მხატვრული მეცნიერული ფილმი **თქვენი ჯანმრთელობისათვის**
ოქტომბერი 12, 1-30, 3	აღმოს. ფილმი **სტუმარი მექიდან** პრ. გარ. საგუშაგოზე № 1.
რ. ლიუქსემბურგის 12, 1-30, 3	მხიარული კომედია **შორ შორ შორ** პრ. გარ. „სოიუზკ.“-ს ჟურნ. № 5.
საბავშო კინო დასაწ. 12 ს.	საბავშო კომ. **უპატრონო ბავშვები** პრ. გარ.—ორი ცელქი.

სარეწაო კავშირთან არსებული

სარეწფეიქარსამკერვალო კავშირი

აცხადებს,

რომ თბილისის სახელოსნოსთვის

საჭირია მომუშავე ქალები

საექსპორტო ხალიჩების მოსაქსოვად,

მიიღებიან აგრეთვე მოწაფეები.

ყოველგვარ ცნობები და პირობების გაგება შეიძლება სარეწაო კავშირის შენობაში № 21.

სარეწ-კოოპერაციის ქუჩა № 36. 434

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულება. მიღ. დილით 8—12 ს საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის გამზ. № 116, სასტუმრო „ევროპა“-ს პირდაპირ. ტელ. 12-67.

ა. დ. ელენტი

შინაგანი სნეულებანი. სპეც. კუჭ ნაწლავის სნეულებათა გამოკვლევა [illegible] ალ[illegible]ბა. მიღებ ყოველდღე 6—7 სა[illegible] [illegible] ფასოდ. წყნეთის ქუჩა № 8. 13—2

ყურადღება!

ლენინის 6 ტომეულზე ხელისმომწერთა საყურადღებოთ ცხადდება,

რომ ხელისმომწერი რომელსაც დღემდე გადახდილი აქვს 10 მანეთზე ნაკლები, ვალდებულია ა-წ. 15 მაისამდე შეასრულოს 10 მანეთად, რის შემდეგ დაუყონებლივ გადაეგზავნება III ტომი ხოლო 5 მანეთი დარჩება ბეთ შემდეგი ტომების ანგარიშში.

იბეჭდება II ტომი

აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ დარჩენილი წიგნები გაიყიდება სახელგამის მაღაზიებში თითო ცალი 10 მანეთად და ხელისმომწერს გადახდილი ბეც უკან არ დაუბრუნდება.

დამატებით ფულის შეტანა და ახლად ხელისმოწერაც მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიებში და პერიოდსექტორში.

ტფილისის ხელისმომწერმა წიგნი თვითონ უნდა წაიღოს პერიოდსექტორიდან.

გრძელდება ხელისმოწერის მიღება

სახელგამის პერიოდსექტორი.

ნ. 447 რუსთაველის პრ. № 34.

ექიმი

ჯავახიშვილი

იოს. ვას.

შინაგანი სნეულებანი, სპეც. ფილტვების დაავადება

ავად ბის მიღება საღ. 6-8 ვარდისუბნის და მლეთის შესახვევით, გუდაურის ქუჩა № 4.

13—10 729

ექიმი

ი. ი. ზერიშვილი

ვენერიული საშარდე-სასქესო ორგანოების. სიფილ. და კანის ავადმყოფ. დილ. 9-12 ს. საღ. 6—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრ. „ევროპას“ (ყ. „ნოე“-ს პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახ. № 8

700 25—13

ნადეჟდა ივანეს ასული და მიხეილ ვართანის-ძე ბუხოლდები შვილებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელ ძმის, ცოლის ძმის და ბიძის

ალექსანდრე ივანეს-ძე ვასილევის

უდროოდ გარდაცვალებას ქ. ქუთაისში. დაკრძალვა ცალკე ამოცხადდება. 827

ღრმად დამწუხრებულნი: შვილი მარუსა, სიძე აკაკი, შვილი-შვილები, პაპურა, ანჟელა მელქაძეები იუწყებიან დაუვიწყარ და საყვარელ

სტეფანე დიმიტრის-ძე ხარებავას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ს., პლეხანოვის გ. № 122, კუკიის სასაფლაოზე. 826

გულმოკლული ელენე და კლემენტი აბულაძეები დავსტირით უდროოდ დაკარგულ ძვირფას ბიძაშვილს მასწავლებელ

ელენე (გოგუცა) აბულაძეს

დაკრძალვა დღეს, სოფელ კვახჭირში (იმერეთი). ნ. 442

დამწუხრებულნი: იაგორა, ოლღა ქიმერიძეები, და დარია შვილებით: მარიამი, გიორგი, ელენა აბრამიშვილები იუწყებიან ძვირფას

მიხეილ ივანეს-ძე ქიმერიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 7 ს. პასტერის ქ. № 5, გამოსვენება 16 აპრილს, 4 ნახ. ს. ვერის სასაფლაოზე. 823

დამწუხრებული მეუღლე ბუჟუჟი შვილებით: ვანო, პავლე, შალვა, ნინო, იოსები, რძალი მარო, შვილის-შვილები: ჟანნა, ელგუჯა, რომანი იუწყებიან ძვირფასი

თომა ივანეს-ძე თოხაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. აკეთში (გურია) 16 აპრილს. 825

მეუღლე კატუშა, შვილები: ცაცო და რუსუდანი, სიძედრი ანნა მაისურაძეები, დები: ევგენია და თამარი ქმრებით, დისშვილები სერგო და შურა მახარობლიშვილები იუწყებიან ძვირფას

ლევან გიორგის-ძე ჯანაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. 829

ვასასი, მიხეილი, ვასო, ლუბა, ელიზბარი, სონია, ფილიმონი, რევაზი და გრიგოლ როინიშვილები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მათთვის ძვირფას

პეტრე ძნელაძის

უდროოდ დაკარგვის გამო. დასაფლავება 15 აპრილს. 829

ქმარი ექვთიმე, შვილები: კუკური, იურიდი, მულები: ლიდა, ბაბინე, ტატიანა ქმრებით იუწყებიან მათთვის ძვირფას

თამარა დავითის-ას. კანდელაკის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ბათუმში 18 აპრილს, 5 ს. კომინტერნის 68. 828

საქართველოს მსუბუქ მრეწველობის სახკომის თანამშრომლები: ჩხარტიშვილი, ფაჩულია, კანდელაკი, საბაშვილი, ჩხეიძე, პლოტკინი, ჯაბადარი, ანდღულაძე, კანკავა, ლობჟანიძე, სიმონოვი, ლომინაძე, მესხი ჩერქეზიშვილი, ყარანგოზიშვილი, იაშვილი იუწყებიან

შალვა ჩოჩიას

უდროოდ დაკარგვას. 819

დამწუხრებული ცოლი მართა შვილით, ძმა მიტო ცოლშვილით, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გიგუცა ანდრიას-ძე ალექსიძე

დაკრძალვა 15 აპრილს, 5 ს. ვერის სასაფლაოზე, გამოსვენება ბარნოვის მე-3 ჩიხი № 5. 818

დამწუხრებული ძმები: ზაქარია ცოლშვილით, ვანო, დები: მალუცა, ნასტია კიკნაძეები, დისწული თამარა ანჯაფარიძე იუწყებიან ძვირფას

ილიკო ლუარსაბის-ძე კიკნაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 15 აპრ. 5 ს. პურის მოედანი, ჩიხი № 2, ვერის სასაფლაოზე. 815

„საქქიმსარეწკავშირი“-ს თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე კავშირის მომუშავე ალექსანდრე ლომთაძის მამის

ივანე ლომთაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქალაქ ბათუმში 15 აპრილს. 891

13 აპრილს ქ. გორში გარდაიცვალა

გიორგი შალვას-ძე ზანგურიძე

რასაც მწუხარებით იუწყებიან ქალიშვილი სოფიო, სიძე ექ. ისიდორე, შვილიშვილები: სედია და ქუჩო ჭანტურიები. დაკრძალვა 16 აპრილს იქვე. 840

თბილისის სატყეო მეურნეობის („ლესპრომხოზი“-ს) მუშა-მოსამსახურენი ვიზიარებთ ამხ. შიო გედევანიშვილის მწუხარებას მისი ძმის

ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე გედევანიშვილის

გარდაცვალების გამო. 839

საალმშენებლო ინსტიტუტის საკონსტრ. სპეც. მე-3 კურსის 1-ლი ჯგუფის სტუდენტობა მწუხარებას გამოსთქვამს ჩვენი ჯგუფის სტუდენტის ირადიონის მამის

ივანე შარაშიძის

გარდაცვალების გამო. 824

უახლოესი მეგობრები: თამარა კორძახია, ვერა ლორთქიფანიძე და მარო ძიძიშვილი აუწყებს საზოგადოებას, რომ სოფ. გუნდაეთში (ქიათურის რაიონი) 15 აპრილს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

გოგია ალექსანდრეს-ძე ბარათაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 837

ღრმად დამწუხრებულნი დედა ფაქიზო, ცოლი ელენე, ძმა გრიშა მეუღლით, დებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 20 აპრილს სოფ. ონოღიაში დანიშნულია

ფაკა ვასილის-ძე გაბუნიას

სამოქალაქო პანაშვიდი. 816

თავზარდაცემული მშობლები: ნატალია, იესე, ცოლი ქეთევან, შვილი ლენიკო, სიდედრი მარუსია, სიმამრი გრიშა თავზარაშვილები, სიძე ვალიკო ქინქლაძე იუწყებიან საყვარელ

მიხეილ იესეს-ძე როჟუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ახალსოფელში (ოზურგეთის რ.). 821

გულმოკლული მშობლები: მედეა, ალექსანდრე ძმა თამაზი მაღულარიები, ბებიები, ბიძები, მამიდები, დეიდები იუწყებიან პაწია

მზია მაღულარიას

დაკარგვას.

გამოსვენება 15 აპრილს 5 ნახ. საათზე ბარნოვის ქ. № 26, ვერის სასაფლაოზე. ნ.444

ბიძები: ვანო, ილია და ისმაილი ცოლშვილებით, მამიდები: ნეონილა, მარიამი და ელენე თევზაძეები, მამიდაშვილი აბიბო შარაშენიძე იუწყებიან

მარგარიტა თევზაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება კალინინის ქ. № 8, 15 აპრილს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 835

სამუდამოდ გულმოკლული მშობლები: პავლე და ქეთევანი, ძმები: კოტე და მიშა იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვიქტორ პავლეს-ძე იმედაძე

დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 833

გულდაწყვეტილი მშობლები არსენ, მაშო შვილებით: შალიკო, ქეთო, მიშა, ვანიჩკა, ბაბუცა, ლიდა, ტატიანა იუწყებიან დაუვიწყარ

თამარა არსენის-ას. ჯახუტაშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 ს. კაჩუბეევის ქ. № 5. დაკრძალვა 16 აპრილს 4 ს. 834

აბრეშუმის სკოლა-ფაბრიკის თანამშრომლები ულრმეს მწუხარებას გამოვსთქვამთ ჩვენი თანამშრომლის შუშანა გირკელიძის ძმის

გრიშა გირკელიძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 822

გაუბედურებული მეუღლე ნინუცა, შვილები: თამარა, შუშანა, რევაზი, დარეჯანი, რძალი ნადია შვილებით: კატო, ქეთო, ვლადიმერი ქიქოძეები იუწყებიან

არსენ მიხეილის-ძე ქიქოძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 16 აპრილს ს. ბახვში (გურია). 820

დამწუხრებული მშობლები ვერა და ალიოშა, ბაბუა ივლიანე, ბებია ცაბუ ცომაიები, ბაბუა სოლომონ, ბებია ოლღა პაიკაძეები იუწყებიან თავიანთი შვილის და შვილიშვილის

პატარა გოგის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება სოხუმის ქ. № 2, 16 აპრილს 5 საათზე. 817

მეზობლები ცხარე ცრემლით დავსტირით

სიმონ ხიზანაშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება გორის ქუჩა (დიდუბე) № 26, 15 აპრილს დღის 5 საათზე, დასაფლავება საბურთალოზე. 836

დამწუხრებულნი: პუნტულა, ეთერი, ბაბო ნიკოლაიშვილები მშობლებით ვაუწყებთ საზოგადოებას საყვარელი ნათლიის

მარკოზ ანდღულაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 13 აპრილს ს. ბახვში. 831

ქალაქის მეორე საავადმყოფოს თერაპევტიული განყოფილების ექიმები და საშუალო პერსონალი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას ამხანაგის მიხეილ ვარდოშვილის ძმის

იოსებ ვარდოშვილის

გარდაცვალების გამო. 832

ქობულეთის ლეკტეხსირიოს საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საქართველოს ტრესტის „ლეკტეხსირიოს“ დირექტორის ამხ. გოთუას

პატარა გივის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 808

კურსების საქარხნო-საფაბრიკო 7 წლედის პედპერსონალი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სასწავლო ნაწილის გამგის

რაჟდენ კონსტანტინეს-ძე კვერნაძის

ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. ნ. 443

დეიდა პასიკო, ბიძა სიმონი ჩიქოვანები, დეიდაშვილები: მარუსია, თამარა ქმრებით, დათიკო ცოლშვილით, სიმონიკა, ვერა იუწყებიან ძვირფას

თამარა ნიკოლოზის ას. ჩარკვიანის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 აპრილს 5 ს. ვერის სასაფლაოზე. 811

დედა სოფიო, მეუღლე გაიანე შვილით, დები თამარი, ვერა ქმრებით, მარო, ლიუბა, ნინო ბეჟანიშვილები მწუხარებით იუწყებიან

ალექსანდრე გრიგ.-ძე ბეჟანიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება 15 აპრილს 5 ს., უნივერსიტეტის მე 2 ჩიხი. 812

დამწუხრებული დედა ალათი, ძმები: გერასიმე, რაფიელი გრიგოლი ცოლშვილით, დაი ფატია იუწყებიან, რომ 18 აპრილს ქუთაისში დანიშნულია დაუვიწყარ

თამარა ჩხაიძე-რიაბუხას

სამოქალაქო პანაშვიდი. 813

დამწუხრებული და გულმოკლული მშობლები: პეტრე, ფატია, ძმები: ქაქულა, დათიკო, ბიძები: ელიზბარი, რაჟდენი, ბიცოლა ელენა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

კლავდია გაბელაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. ონტოფოში 18 აპრილს. 814

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ., № 68. მთავლიტის რწმუნებული ა 1337